

კავკასიის უნივერსიტეტი  
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

**თანამედროვე სამართლის  
აქტუალური პრობლემები**

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის  
სტუდენტთა მე-10 კონფერენციის მოხსენებები

თბილისი

2015

UDC(უაკ)34.01

თ-295

„თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემები“ კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტთა მოხსენებების კრებულია, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტისა და დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლობით გამოიცა. კრებულში თავმოყრილია საინტერესო მოხსენებები თანამედროვე სამართლის პრობლემურ საკითხებზე სხვადასხვა მიმართულებით.

სამეცნიერო რედაქტორები: სერგი ჯორბენაძე  
დიმიტრი გეგენავა

ტექნიკური რედაქტორები: მაია ღუბაძე  
თორნიკე ნემსწვერიძე

ყდის დიზაინი: დიმიტრი გეგენავა

წიგნი მოამზადა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობამ.

© ავტორები, 2015

© კავკასიის უნივერსიტეტი, 2015

ISBN 978-9941-0-7736-4

## შინაარსი

წინათქმა.....	5
საქონლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვებზე დაწესებული აკრძალვების შესაძლო ზეგავლენა საქართველოზე ევროკავშირის სამართლისა და ევროასოციირების ხელშეკრულების ჭრილში.....	7
<i>მარიამ ლომიძე</i>	
კორპორაციული მართვის სისტემები თანამედროვე სამართალში.....	30
<i>ანა ქაშხაძე</i>	
ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ურთიერთმიმართება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.....	52
<i>ქეთევან ჯანგველაძე</i>	
დანაშაულის ფსიქოლოგიური ასპექტები.....	59
<i>სალომე კავთელაძე</i>	
პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ფიგურა.....	73
<i>ანი იმედაშვილი</i>	
მედიცინის მუშაკის უფლება-მოვალეობები და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების შემთხვევაში.....	95
<i>გიორგი ჩაკვეტაძე</i>	

მამაკაცის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის  
უფლების პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემები საქართველოში .....115

*მარიამ ცისკარაშვილი*

შრომის უფლების საკანონმდებლო მოწესრიგება საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში .....131

*ნინო ჩიხრაძე*

აღნაგობის უფლება ძველი ქართული სამართლისა და რომის სამართლის  
მაგალითზე.....142

*გიორგი კვირიკაშვილი*

## შინაოქმას

წინამდებარე ნაშრომთა კრებული ეძღვნება კავკასიის სამართლის სკოლის 10 წლის იუბილეს. კრებულში თავმოყრილია კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკლავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მცირე კვლევითი ნაშრომები, რომელთა პრეზენტაცია განხორციელდა კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტთა მეთე სამეცნიერო კონფერენციაზე, 2015 წლის გაზაფხულზე.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის სამართლის სკოლა ყოველწლიურად ატარებს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციას, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას. ფრიად მისასალმებელია კონფერენციებში პირველკურსელთა მონაწილეობა, რომელნიც სამართლის სკოლაში შემოსვლისთანავე ერთვებიან სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

წარმოდგენილ წიგნში თავმოყრილია ნაშრომები სამართლის სხვადასხვა მიმართულებიდან: კერძო სამართლიდან, სამართლის ისტორიიდან, ზოგადი თეორიიდან, ადამიანის ძირითადი უფლებებიდან, სისხლის სამართლიდან და ა.შ. რაც მთავარია, მიუხედავად ავტორთა მწირი სამეცნიერო გამოცდილებისა, თითოეული მოხსენება პრობლემაზე ორიენტირებულ კვლევას წარმოადგენს და თანამედროვე სამართლის აქტუალურ საკითხებს ეხება.

კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ტრადიცია სათავეს 2006 წლიდან იღებს და დღეის მდგომარეობით მასში 200-მდე სტუდენტს აქვს მონაწილეობა მიღებული. კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ტურში კონფერენციის მუშაობა წარიმართება სექციური მუშაობის რეჟიმში, რაც გულისხმობს პრეზენტაციების მოხმენას სამართლის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. კომპეტენტური ჟიური თითოეული სექციიდან არჩევს საუკეთესო ნაშრომებს და ავტორებს აძლევს შენიშვნებს ნაშრომის შემდგომი დახვეწის მიზნით. აღნიშნული მისია საიუბილეო კონფერენციისათვის იტვირთა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა, რომლის სპეციალისტები დაეხმარნენ შერჩეულ სტუდენტებს ნაშრომების ტექნიკურ და შინაარსობრივ დახვეწაში.

იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი სტუდენტური კრებულების გამოცემა და ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებში ჩართვა სტიმულს მისცემს ძალიან ბევრ მომავალ იურისტსა და სტუდენტს.

ზაზა მარუაშვილი

მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის

სამართლის სკოლის დეკანი

თბილისი, 2015 წლის აპრილი

საქონლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვებზე  
დაწესებული აკრძალვების შესაძლო ზეგავლენა  
საქართველოზე ევროკავშირის სამართლისა და  
ევროასოციაციის ხელშეკრულების ჭრილში

მარიამ ლომიძე\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ტატიანა ევასი  
სამართლის დოქტორი*

შესავალი

თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობაზე დადებითად აისახება და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა განვითარების ხელშესაწყობისათვის. ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს განვითარდეს დახურული საზღვრების პირობებში. ღია და სამართლიანი ვაჭრობა კონკურენტუნარიანობას ზრდის. ამ დროს მომხმარებელს საშუალება ეძლევა, მიიღოს სარგებელი. ევროკავშირი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორსა და ექსპორტიორს, უმსხვილეს ინვესტორს, მთლიანი შიდა პროდუქტის პირობებში უმსხვილესი ეკონომიკის მქონე გაერთიანებულ ზონას<sup>1</sup> და მასთან სავაჭრო ურთიერთობებით, შედარებით, ღარიბ ქვეყნებს ეძლევათ საშუალება, ექსპორტის მეშვეობით გაზარდონ შემოსავალი და განავითარონ ეკონომიკა.

საქართველომ უკვე გადადგა ნაბიჯი ევროკავშირისაკენ, – გაფორმდა ასოციაციის შესახებ შეთანხმება. ამ შეთანხმების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).<sup>2</sup> მისი აღსრულებისათვის საჭიროა შიდა კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევრო-

---

\* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი.

<sup>1</sup> European Commission, Free Movement of Goods - Guide to the Application of Treaty Provisions Governing the Free Movement of Goods, Belgium, 2010, 8.

<sup>2</sup> ასოციაციის შესახებ შეთანხმება, კარი IV, ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.

კავშირში მოქმედ რეგულაციებთან; თავისუფალი ვაჭრობა იწვევს კონკურენციის ზრდას, რაც ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების განვითარებას. ეს კი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია, ხოლო, რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა, მით უფრო აქტიურია საერთაშორისო ვაჭრობა.<sup>3</sup>

ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის სამართლებრივ მდგომარეობასა და კანონმდებლობაზე. საჭიროა ცვლილებების განხორციელება, დარგების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ა.შ. დგება თავისუფალ ვაჭრობაზე აკრძალული შეზღუდვების წარმოქმნის საშიშროება.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი, ინდუქციური, დედუქციური, ლოგიკური და კვლევის სხვადასხვა მეთოდები. განხილულია, თუ რა გავლენა აქვს ასოცირების შესახებ შეთანხმებას საქართველოზე. ასევე, რა გავლენა ექნება ევროკავშირის კანონმდებლობას გაწევრიანების შემთხვევაში; განხილულია ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები; საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და მათი შედეგები; რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო და როგორ შეიძლება მოხდეს მისი თავიდან აცილება; ვრცლადაა განხილული ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა. იგი საშუალებას გვაძლევს, სწორად იქნეს გაგებული თითოეული მუხლი და ნორმა; ნაჩვენებია რეალობაში არსებული პრობლემები და მათი შესაძლო გადაჭრის გზები.

## **1. ევროკავშირის სამართლის გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე საქონლის თავისუფალ გადაადგილებასა და ვაჭრობის სფეროში**

ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს აქვთ იგივე ფორმალური სამართლებრივი სტატუსი, როგორც ევროკავშირის პირველად კანონებს.<sup>4</sup> საქონლის თავისუფალი გადაადგილება წარმოადგენს ევროკავშირის ერთ-

<sup>3</sup> <<http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents>> [20.04.2015].

<sup>4</sup> Opinion of A.G. Trstenjak in Case C-271/08, *Commission v Germany*, 2010 E.C.R. I-7087, paras 183-199. Opinion of Advocate General Mengozzi in Case C-341/05, *Laval un Partneri*, 2007 E.C.R. I-11767, para 84. იხ. ციტირება: Cecco F., *Fundamental Freedoms, Fundamental Rights and the Scope of Free Movement Law*, *German Law Journal* (Forthcoming), 2013, 15.



ერთ ფუნდამენტურ წესს და მას აქვს უპირატესი ძალა შიდა ნორმებთან შედარებით.<sup>5</sup> იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, მისი კანონმდებლობა საქართველოსთვისაც გახდება მოქმედი და შესასრულებლად სავალდებულო. იგი სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა. ევროკავშირის ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები ავტომატურად ამოქმედდება, ვინაიდან მათ შესასრულებლად სავალდებულო ძალა გააჩნია და არ საჭიროებს იმპლემენტაციას,<sup>6</sup> ხოლო ამ ორგანოების მიერ მიღებული დირექტივები უნდა გადმოვიდეს საქართველოს კანონმდებლობაში და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ *jus cogens*, რომლის დარღვევაც აკრძალულია და არ არსებობს დარღვევის გამამართლებელი საფუძვლები. ასევე, რიგი ვალდებულებებისა – *erga omnes* – შესასრულებლად სავალდებულოა. ასეთი ნორმების დაცვის მიმართ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული სამართლებრივი ინტერესი, რადგან ისინი ყველასათვის სავალდებულოა.<sup>7</sup>

ნათელია, რომ საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ყველა ნორმა, რომელიც არეგულირებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, სავალდებულო გახდება. წევრობამდე, საქართველოს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს DCFTA.<sup>8</sup> ამ ხელშეკრულებით უქმდება იმპორტსა და ექსპორტზე დაწესებული გადასახადები. შესაბამისად, ჩნდება იმ პრობლემების წარმოქმნის საფრთხე, რაც ევროკავშირის ქვეყნებში არსებობს და ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა ევროკავშირის სამართლით აკრძალული რაოდენობრივი შეზღუდვებისა და დისკრიმინაციული ხასიათის შიდა დაბეგვრის ამკრძალავ ნორმებს აღნიშნული ხელშეკრულება არ აწესებს.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეწყობისათვის ევროკავშირის კანონმდებლობის მიერ დაწესებული აკრძალვები ხშირად საჭიროებს ზუსტ გამარტებას. წევრი ქვეყნები მაინც იღებენ ისეთ ზომებს, რომლებიც არ-

---

<sup>5</sup> ECR 649, Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein, saqme 120/78, 1979.

<sup>6</sup> TFEU, Art. 288.

<sup>7</sup> Evans M., Koutrakos P., *The International Responsibility of the European Union*, Oregon, 2013, 164.

<sup>8</sup> ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), კარი IV.

ვევენ დებულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და ხელს უშლიან საქონლის თავისუფალ გადაადგილებას. ევროპის განვითარებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხშირია ასეთი ფაქტები. ამას ადასტურებს ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს პრაქტიკა და სწორედ ამის საფრთხე შეიძლება დადგეს საქართველოშიც.

## **2. თავისუფალი სავაჭრო ზონა და შიდა ბაზარი**

ევროკავშირის შიდა ბაზრის არსებით ელემენტებს წარმოადგეს: თავისუფალი სავაჭრო ზონა, – სადაც წევრ სახელმწიფოებს შორის საბაჟო გადასახადები და სხვა სავაჭრო შეზღუდვები აკრძალულია; საერთო საბაჟო ტარიფი არის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ერთად დადგენილი ვალდებულებები მესამე სახელმწიფოებიდან იმპორტირებულ საქონელზე, ხოლო შიდა ბაზარი კი - ზონა შიდა საზღვრების გარეშე. მასში უზრუნველყოფილია საქონლის, ადამიანების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. საბაჟო გადასახადებისა და მსგავსი ეფექტის მქონე გადასახადების აკრძალვა წარმოადგენს ერთიანი შიდა ბაზრის ცენტრალურ იდეას. ევროკავშირი დაფუძნებულია საბაჟო კავშირზე, რომელიც აუცილებელია ერთიანი ბაზრის ფუნქციონირებისათვის. საჭიროა, რომ ოცდარვა წევრი სახელმწიფო მოქმედებდეს ისე, თითქოს ის არის ერთი მთლიანობა.<sup>9</sup> თავისუფლება კი პირდაპირი შედეგია მშვიდობის, ერთიანობის და თანასწორობისა.<sup>10</sup>

### **2.1. საქონლის თავისუფალი გადაადგილება**

საქონლის თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის ერთიანი შიდა ბაზრის ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საგნის დაახლოებით 75%-ის სწორედ საქონელი წარმოადგენს.<sup>11</sup>

---

<sup>9</sup> Craig P., Burca G., EU Law, Text, Cases, and Materials, fifth edition, New York, 2011, 611.

<sup>10</sup> Borchardt K., The ABC of European Union Law, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2010, 022.

<sup>11</sup> European Commission, Free Movement of Goods - Guide to the Application of Treaty Provisions Governing the Free Movement of Goods, Belgium, 2010, 8.

საქონლის თავისუფალი გადაადგილება დარეგულირებულია ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მუხლებით. ეს მუხლები განაპირობებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებასა და აწესებენ საბაჟო კავშირს, იმ საფუძველს, რომელზეც ერთობაა აშენებული.<sup>12</sup> თავისუფალი გადაადგილების დებულებები „ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი სვეტებია, რომელზეც ერთობის შენობაა დაფუძნებული“.<sup>13</sup>

## **2.2. რა შემთხვევებში ვრცელდება საქონლის თავისუფლად გადაადგილებაზე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების დებულებები**

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 30-ე, 34-ე და 110-ე მუხლები არეგულირებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას. იმისათვის, რომ ისინი ამოქმედდეს და ამ მუხლების დებულებები გავრცელდეს კონკრეტულ შემთხვევებზე, საჭიროა ოთხი მთავარი კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

პირველ რიგში აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები არ ზღვებოდეს სრულად ჰარმონიზებულ სფეროში, რომელიც რეგულირებული იქნება ევროკავშირის სპეციალური კანონმდებლობითა და ნორმებით. აუცილებელია, რომ სრულად დაკმაყოფილდეს საქონლის ცნების ელემენტები. საქონლის ცნების განმარტება გაკეთებულია ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს გადაწყვეტილებაში. კერძოდ, „საქონელი უნდა განიმარტოს, როგორც პროდუქტი, რომელიც შესაძლებელია, შეფასებულ იქნეს თანხაში და რომელსაც შეუძლია იყოს კომერციული ოპერაციების ობიექტი“.<sup>14</sup> საქონელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პროდუქტი და ობიექტი, ელექტროდენი, ბუნებრივი გაზი და სხვ. აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საქონელი და მომსახურება. ზოგ შემთხვევაში მათი გარჩევა არც თუ ისე ადვილია. მაგალითად, თევზი საქონელია, თუმცა თევზაობის უფლება – მომსახურება. საქონელი არის „პროდუქტი, რომელიც დამზადებულია წვევრ ქვეყანაში ან მოდის სხვა მესამე სახელმ-

---

<sup>12</sup> Phinnemore D., Church C., European Union and European Community: a Handbook and Commentary on the post-Maastricht Treaties, London, 1994, 85.

<sup>13</sup> Mancini AG, საქმე 238/82, Duphar v. Netherlands, ECR, 1984.

<sup>14</sup> CJEU, საქმე 7/68, Commission v Italy. [1968] ECR 423.

წიფოდან, მაგრამ თავისუფალ მიმოსვლაშია წევრ ქვეყნებს შორის“.<sup>15</sup> ევროკავშირის სამართალი კრძალავს შეზღუდვებს მომსახურების თავისუფალ მიწოდებაზეც, თუმცა ეს რეგულირდება სხვა მუხლებით. შესაბამისად, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საქონელი და მომსახურება.<sup>16</sup>

საჭიროა, არსებობდეს წევრ ქვეყნებს შორის საზღვრის გადაკვეთის ელემენტი. თუ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები გავლენას ახდენს მხოლოდ ქვეყნის შიგნით წარმოებულ საქონელზე, მაშინ ამ ხელშეკრულების ნორმები მათზე არ ვრცელდება და არ გამოიყენება.<sup>17</sup> შესაბამისად, საზღვრის გადაკვეთის ელემენტი საწინდარია კონკრეტულ შემთხვევაზე ამ მუხლების დებულებების გავრცელებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა ეხება მხოლოდ ამ სახელმწიფოს, მაგრამ აქვს იმის პოტენციალი, რომ ხელი შეუშალოს წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას, მასზე გავრცელდება თავისუფალი გადაადგილების შესახებ დებულებები. სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა,<sup>18</sup> თუ რა წარმოადგენს მხოლოდ ქვეყნის შიდა სიტუაციას - ეს არის შემთხვევა, რომელიც ეხება მხოლოდ ქვეყნის შიდა მდგომარეობას და არც ერთი ფაქტორი დაკავშირებული არ არის ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებულ შემთხვევებთან.<sup>19</sup>

ზომები მიღებული უნდა იყოს წევრი სახელმწიფოს ან ევროკავშირის ინსტიტუტის მიერ. წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები გაგებული უნდა იქნეს ფართო ინტერპრეტაციით. ეს მოიცავს ყველა უფლებამოსილ პირს და ინსტიტუტს, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივს. ზომები შეიძლება მიღებულ იქნეს სამივე შტოს – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ. ამ ცნების ქვეშ, ასევე, ერთიანდებიან ორგანოები და იურიდიული პირები, რომლებიც დაფუძნებულია საჯარო სამართლით. გამონაკლისებია კერძო სამართლის პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს. ეს ზომები არ უნდა იყოს მხოლოდ კერძო ხასიათის მქონე. მაგალითად, მიღებული კერ-

---

<sup>15</sup> TFEU, Art. 28 (2).

<sup>16</sup> Groves P., *European Community Law*, London, 1995, 180.

<sup>17</sup> Downes A., *The legal control of mergers in the EC*, Great Britain, 1991, 21.1.

<sup>18</sup> საქმე 175/78, R v. Saunders, [1979] ECR 1129.

<sup>19</sup> Tryfonidou A., *The Outer Limits of Article 28 EC: Purely Internal Situations and Development of the Court's Approach Through the Years*, UK, Leicester, 2007, 4.

ძო ინდივიდებისა და კომპანიების მიერ. ზოგჯერ რთულია იმ ხაზის გავლენა, რომელიც ყოფს კერძო და საჯარო აქტივობებს. ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში – მასტიმულირებელი ორგანო გახლდათ კერძო კომპანია, მაგრამ ის იყო დაფუძნებული, ხოლო საბჭო არჩეული, სახელმწიფოს მიერ.<sup>20</sup>

სახელმწიფოს მიერ დებულებების დარღვევაში იგულისხმება როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედება, ანუ უმოქმედობა. წევრი სახელმწიფოს უმოქმედობაც შეიძლება გახდეს ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევის მიზეზი. მაგალითად, როდესაც წევრი სახელმწიფო არ მიიღებს საჭირო ზომებს, რათა აკრძალოს ის ბარიერი, რომელიც ხელს უშლის საქონლის თავისუფალ გადაადგილებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად გამოიყოფა ოთხი კრიტერიუმი: სრულად ჰარმონიზებული სფერო, საქონლის ცნება, საზღვრის გადაკვეთის ელემენტი და წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები.

### **3. შეზღუდვები საქონლის თავისუფალ გადაადგილებაზე, რომელიც ევროკავშირის სამართლის მიერ აკრძალულია**

ევროკავშირის სამართლით აკრძალულია საქონლის თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული სამი შეზღუდვა. პირველი ორი შეზღუდვა პირდაპირ დაკავშირებულია ფულის გადანდასთან. ასეთი შეზღუდვები მოიცავს საბაჟო გადასახადებსა და გადასახადებს, რომელთაც გააჩნია საბაჟო გადასახადების ეკვივალენტური ეფექტი.<sup>21</sup> ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიერ აკრძალული ქმედებების განხორციელება გაუმართლებელია. მეორე შეზღუდვას წარმოადგენს დისკრიმინაციული ხასიათის შიდა დაბეგვრა.<sup>22</sup> ეს არის წევრი სახელმწიფოს შიდა ბაზარზე შესული საქონლის დაბეგვრა. ამ სახის შეზღუდვის გამართლება შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი დისკრიმინაციის დროს. რიგ შემთხვევებში ზემოთ აღნიშნულ ორ შეზღუდვას აქვს ფისკა-

---

<sup>20</sup> Groves P., European Community Law, London, 1995,133.

<sup>21</sup> TFEU, Art. 30.

<sup>22</sup> იქვე, Art. 110.

ლური, ანუ ფულადი ხასიათი. რაც შეეხება მესამე შეზღუდვას, ის არის არასატარიფო ხასიათის. ესაა რაოდენობრივი შეზღუდვა.<sup>23</sup>

### 3.1. სატარიფო ბარიერები

სატარიფო ბარიერები არის ფულადი ხასიათის შეზღუდვები და გამოიყენება საქონლის იმპორტისა და ექსპორტის დროს – წევრი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებით აკრძალულია საბაჟო გადასახადები და ისეთი შეზღუდვები, რომელთაც საბაჟო გადასახადების ეკვივალენტური ეფექტი აქვს.<sup>24</sup> აკრძალულ სატარიფო ბარიერებს მიეკუთვნება დისკრიმინაციული ხასიათის შიდა დაბეგვრაც.<sup>25</sup> სასამართლო გადაწყვეტილებები ცხადყოფს ხელისუფლების ამ შტოს წარმომადგენლების სურვილს, რომ აღნიშნული მუხლები სერიოზულად იქნეს აღქმული და გაგებული; არ უნდა მოხდეს ამ დებულებების გვერდის ავლა რაიმე ფორმით.

#### 3.1.1. საბაჟო გადასახადები; გადასახადები, რომელთაც აქვს საბაჟო გადასახადების მსგავსი ეფექტი

საბაჟო გადასახადის განმარტება გაკეთებულია სასამართლოს გადაწყვეტილებებში. საბაჟო გადასახადი არის ნებისმიერი ფულადი ხასიათის ვალდებულება, მიუხედავად მისი სიმცირისა, რომელიც დაკისრებულია და შემოღებულია საქონლისათვის იმის გამო, რომ ის კვეთს საზღვარს.<sup>26</sup> ამ განმარტებიდან გამოიყოფა ორი ელემენტი: ფულადი ხასიათი და საზღვრის გადაკვეთა.

საბაჟო გადასახადის მსგავსი ეფექტის მქონე გადასახადის განმარტება, ასევე, გაკეთებულია სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ეს არის „ნებისმიერი ფულადი გადასახადი, მიუხედავად მისი სიმცირისა ან გამოყენების რეჟიმისა, რომელიც დაკისრებულია ადგილობრივ ან უცხოურ საქონელზე იმის გამო, რომ კვეთს საზღვარს და რომელიც არ წარმოადგენს საბაჟო

---

<sup>23</sup> იქვე, Art. 34-35.

<sup>24</sup> იქვე, Art. 30.

<sup>25</sup> იქვე, Art. 110.

<sup>26</sup> CJEU, joint cases 2-3/69, Sociaal Fonds voor de Diamantarbeiders.

გადასახადს მკაცრი გაგებით“.<sup>27</sup> „რაც არ უნდა ეწოდებოდეს, როგორი გამოყენების რეჟიმიც არ უნდა ჰქონდეს მას, თუ იგი შეიძლება ჩავთვალოთ როგორც იმპორტირების დროს, ასევე, შემდგომში, ცალმხრივად დაკისრებულ ვალდებულებად, რომელიც სპეციალურად დაკისრებულია წვერი სახელმწიფოდან იმპორტირებულ პროდუქტზე, რომელიც ცვლის ამ პროდუქტის ფასს და ამიტომაც აქვს მსგავსი ეფექტი საქონლის თავისუფალ გადაადგილებაზე, როგორც საბაჟო გადასახადს.“<sup>28</sup> მნიშვნელობა აქვს არა დაწესებული გადასახადის მიზანს, არამედ მის ეფექტს. ასევე, არ არის მნიშვნელოვანი შემზღვეველი გადასახადის ფორმა. ამის მაგალითებია: ჯანმრთელობის შემოწმება,<sup>29</sup> სტატისტიკური ბაჟი,<sup>30</sup> იმპორტირებული საქონლის შენახვის გადასახადი<sup>31</sup> და სხვ.

საბაჟო გადასახადისა და ისეთი გადასახადების გამართლება, რომელთაც საბაჟო გადასახადის მსგავსი ეფექტი აქვთ, დაუშვებელია. არსებობს მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც 30-ე მუხლის გარეთ რჩება, ეს არის გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული გადასახადი.<sup>32</sup> მაგალითად, სავალდებულო ვეტერინარული და ადამიანების ჯანმრთელობის შემოწმება,<sup>33</sup> თუმცა აუცილებელია, რომ ასეთი გადასახადი არ აღემატებოდეს ამ სერვისისათვის საჭირო რეალურ ღირებულებას – იგი უნდა იყოს პროპორციული.

### 3.1.2. დისკრიმინაციული ხასიათის შიდა დაბეგვრა

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების დებულებების მიხედვით წვერ სახელმწიფოს უფლება არა აქვს, დააწესოს პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებისმიერი სახის შიდა ბეგვრა სხვა წვერი სახელმწიფოს მიერ ნაწარმოებ საქონელზე, რომელიც აღემატება მსგავსი ადგილო-

---

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> CJEU, joint cases 2-3/62, *Lebkuchenabgabe*.

<sup>29</sup> იხ. საქმე 314/82 *Commission v Belgium*.

<sup>30</sup> იხ. საქმე 24/68 *Commission v Italy*.

<sup>31</sup> იხ. საქმე 132/82 *Commission v Belgium*.

<sup>32</sup> *Craig P., Burca G., EU Law, Text, Cases, and Materials, fifth edition, New York, 2011, 615.*

<sup>33</sup> საქმე 87/75, *Bresciani v Amministrazione Italiana delle Finanze*, [1976], ECR 129.

ბრივი საქონლისათვის დაწესებულ ბეგარას.<sup>34</sup> უფრო მეტიც, წევრ სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ, სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ ნაწარმოებ საქონელზე დააწესონ ისეთი ხასიათის ბეგარა, რომლის საშუალებითაც მოხდება ადგილობრივი პროდუქტის არაპირდაპირი დაცვა. სასამართლოს განმარტებით, ბეგარა არის სახელმწიფოს შიდა მოსაკრებლის ზოგადი სისტემა, რომელიც ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით სისტემატურადაა დაწესებული ზოგიერთი სახეობის პროდუქტისათვის, მიუხედავად მისი წარმოშობისა.<sup>35</sup> საბაჟო გადასახადები და დისკრიმინაციული ხასიათის შიდა დაბეგვრა ორივე წევრი სახელმწიფოს ისეთი ზომებია, რომელთაც აქვს ფულადი ხასიათი. მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავებაა ის, რომ 28-30-ე მუხლებით აკრძალულია ისეთი ვალდებულება, რომელიც საქონელზე საზღვრის გადაკვეთის გამოა დაკისრებული. რაც შეეხება 110-113-ე მუხლებს, ისინი გამოიყენება მაშინ, როდესაც დისკრიმინაციული ხასიათის გადასახადი დაწესებულია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ქვეყნის ფარგლებს შიგნით. იგი კავშირში არაა საზღვრის გადაკვეთასთან.

110-ე მუხლის პირველი პარაგრაფი კრძალავს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ხასიათის დისკრიმინაციას.

პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც იმპორტირებული და ადგილობრივი საქონელი განზრახ ჩაყენებულია განსხვავებულ მდგომარეობასა და პირობებში. ეს ავტომატურად უკანონოა. პირდაპირი ხასიათის დისკრიმინაციულ მოპყრობას არ აქვს გამამართლებელი საფუძვლები. არაპირდაპირი დისკრიმინაციაა, როდესაც კანონმდებლობა ჩანს ნეიტრალური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფრო დიდ ტვირთს აწესებს სხვა წევრი სახელმწიფოდან შემომავალ საქონელზე.<sup>36</sup> ასეთი ზომები შეიძლება ობიექტურად გამართლდეს.<sup>37</sup> უთანასწორო საგადასახადო სისტემა აკრძალულია, როდესაც საქონელი არ არის მკაცრად მსგავსი, მაგრამ ერთმანეთთან კონკურენციაშია. ბაჟის ეკვივალენტური ეფექტის მქონე მოსაკრებლად უნდა ჩაითვალოს ისეთი გადასახადიც, რომელიც თითქოს ადგილობრივ და უც-

---

<sup>34</sup> TFEU, Art. 110-113.

<sup>35</sup> საქმე 90/79 Commission v. France.

<sup>36</sup> Craig P., Burca G., EU Law, Text, Cases, and Materials, fifth edition, New York, 2011, 621.

<sup>37</sup> იქვე, 623.



ხოურ საქონელზე ერთნაირად ვრცელდება, მაგრამ, ფაქტობრივად, მხოლოდ უცხოურს ეხება, რადგანაც ამ სახეობის პროდუქცია გადასახადის დამდგენ წევრ სახელმწიფოში საერთოდ არ იწარმოება.<sup>38</sup>

110-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების წინაპირობაა საქონლის მსგავსება. მოქმედებს ურთიერთჩანაცვლების ტესტი – თუ რა ხარისხით აღიქვამს მომხმარებელი საქონელს, როგორც ურთიერთშემცვლელს (ფასი, საქონლის მახასიათებლები და სხვ.).<sup>39</sup> თუ საქონელი მსგავსი არაა, მაშინ გამოიყენება 110-ე მუხლის მეორე პუნქტი.<sup>40</sup> შესაძლებელია დამცავი ეფექტის არსებობა: განსხვავება ბეგარის რაოდენობას შორის. მაგალითად, ღვინო და ლუდი არ არის მსგავსი პროდუქტი მკაცრი გაგებით, მაგრამ ისინი მომხმარებლისთვის ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტს წარმოადგენს.

### **3.2. რაოდენობრივი შეზღუდვების აკრძალვა; რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვები და მათი აკრძალვა**

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება კრძალავს საქონლის იმპორტირებისას რაოდენობრივ შეზღუდვებსა და რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვების დაწესებას წევრ სახელმწიფოებს შორის.<sup>41</sup> ასევე, აკრძალულია საქონლის ექსპორტირებისას დაწესებული რაოდენობრივი შეზღუდვები.<sup>42</sup> ხელშეკრულების მუხლები აწესებს მხოლოდ ასეთ აკრძალვებს და არ განმარტავს იმას, თუ ზოგადად რას წარმოადგენს რაოდენობრივი შეზღუდვა. ამ ტერმინის შინაარსის განმარტება გაკეთებულია ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც რაოდენობრივი შეზღუდვა, არის წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული ისეთი ზომა, რომელიც წარმოადგენს მთლიან ან ნაწილობრივ შეზღუდვას, დაწესებულს

<sup>38</sup> გაბრიჩიძე გ., ევროპული კავშირის სამართალი, თბილისი, 2012, 172.

<sup>39</sup> Craig P., Burca G., EU Law, Text, Cases, and Materials, fifth edition, New York, 2011, 625.

<sup>40</sup> იქვე, 626.

<sup>41</sup> TFEU, Art. 34.

<sup>42</sup> TFEU, Art. 35.

საქონლის იმპორტზე, ექსპორტზე ან სატრანზიტო საქონელზე.<sup>43</sup> ასეთი შეზღუდვა შეიძლება იყოს ორგვარი: ნაწილობრივი (კვოტა) შეზღუდვა და აკრძალვა, აღკვეთა - მთლიანი შეზღუდვა.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება რაოდენობრივ შეზღუდვებთან ერთად აწესებს რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვების აკრძალვასაც.<sup>44</sup> განსხვავება რაოდენობრივ შეზღუდვებსა და რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვებს შორის ძალიან უმნიშვნელოა. 28-ე და 30-ე მუხლებში არ არის მინიშნება ამ ორს შორის სამართლებრივი განსხვავებისა.<sup>45</sup> რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვების განმარტება გაკეთებულია სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და იგი „დასონვილის ფორმულის“ სახელითაა ცნობილი. რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვებად უნდა ჩაითვალოს „წვერი სახელმწიფოს მიერ მიღებული ყველა სავაჭრო წესი, რომელთაც შეუძლიათ ხელის შეშლა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რეალურად ან პოტენციურად, წვერ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობისათვის“.<sup>46</sup> კანონმდებლობაზე, რომელიც ზღუდავს ვაჭრობას, მხოლოდ მაშინ „შეიძლება გავრცელდეს ხელშეკრულების ფუნდამენტური თავისუფლებების შესახებ დებულებები, როდესაც იგი ეხება წვერ ქვეყნებს შორის ვაჭრობას“.<sup>47</sup> ივარაუდება, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ის ზომა, რომელიც სხვა სახელმწიფოს მიერ წარმოებულ საქონელს აყენებს ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში, ხელს უშლის საქონლის ბაზარზე თავისუფალ დაშვებას. შესაბამისად, ეს წარმოადგენს მთავარ კრიტერიუმს ხელშეკრულების 34-ე მუხლის გავრცელებისათვის.<sup>48</sup> აუცილებელი არ არის არსებობდეს დისკრიმინაციული განზრახვა, საკმარისია ხელისშემშლელი ეფექ-

---

<sup>43</sup> CJEU, Geddo, საქმე 2.73, European Court Reports 1973 -00865, “Riseria Luigi Geddo v Ente Nazionale Risi”, preliminary ruling, 1973.

<sup>44</sup> TFEU, Art. 34.

<sup>45</sup> CJEU, საქმე 8/74, Dassonville.

<sup>46</sup> CJEU, საქმე 8/74, Dassonville.

<sup>47</sup> Mataija M., Internal Situations in Community Law: An Uncertain Safeguard of Competences Within the Internal Market, Columbia Public Law Research, Zagreb, 2009, 23.

<sup>48</sup> Lianos I., In Memoriam Keck: The Reformation of the EU Law on the Free Movement of Goods, CLES Research Paper series 5/2014, London, 2014, 8.

ტი.<sup>49</sup> „დასონვილის ფორმულა“ შინაარსობრივად არის უფრო ფართო და ვრცელი, ვიდრე დისკრიმინაციის აკრძალვა. „დასონვილის ფორმულა“ ზოგადად შეზღუდვების აკრძალვაა. სახელმწიფოებს ამჯერადაც აქვთ პოზიტიური ვალდებულება, რომ ხელი შეუწყონ საქონლის თავისუფალ გადაადგილებას. „დასონვილის ფორმულა“, ასევე, მოიცავს წევრი სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი პროდუქტის ხელშეწყობას. როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა აწესრიგებს პროდუქტის ფიზიკურ შემადგენლობას ან ეხება მის შეფუთვის, იგი აუცილებლად წარმოადგენს რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვას.<sup>50</sup>

ზოგჯერ შესაძლებელია, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა ეხებოდეს რამდენიმე ფუნდამენტურ თავისუფლებას, თუმცა სასამართლო უნდა გამოიყენოს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ის ნორმები, რომლის ასპექტიც უფრო ჭარბობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>51</sup>

34-ე მუხლი შესაძლებელია გავრცელდეს იმ არამკაფიოდ გამოხატულ შეზღუდვებზეც, რომელიც „დასონვილის საქმეში“ გამოჩნდა. რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვების განმარტება არ მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა იყოს დისკრიმინაციული. მარცვლები, რომელიც დირექტივა 70/50-სა<sup>52</sup> და დასონვილში დაითესა, ნაყოფი სანახევროდ “Cassis De Dijon”-ის საქმეში გამოიღო.<sup>53</sup> ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს ამ მნიშვნელოვან საქმეში<sup>54</sup> შემოღებული აქვს სხვადასხვა პრინციპი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია. მაგალითად, ორმხრივი აღიარების პრინციპი, რომლის არსიც მდგომარ-

---

<sup>49</sup> Craig P., Burca G., *EU Law, Text, Cases, and Materials*, fifth edition, New York, 2011, 637.

<sup>50</sup> Davies T. G., *Process and Production Method - Based Trade Restrictions In The EU*, Amsterdam, 2008, 6.

<sup>51</sup> საქმე C-20/03 *Criminal proceedings against Marcel Burmanjer, René Alexander Van Der Linden and Anthony De Jong* [2005] ECR I-4133.

<sup>52</sup> Craig P., Burca G., *EU Law, Text, Cases, and Materials*, fifth edition, New York, 2011, 647.

<sup>53</sup> CJEU, *Cassis de Dijon*, საქმე 120/78, “*Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein*”, preliminary ruling, 1979.

<sup>54</sup> *Completing the Internal Market: White Paper from the Commission to the European Council* (Milan, 28-29 June 1985), COM(85) 310, June 1985. იხ. ციტირება: Dzabirova L., *New Developments in the EU Internal Market - Harmonisation vs. Mutual Recognition*, *Romanian Journal of European Affairs*, No. 1, Vol. 9, 2009, 2

რეობს იმაში, რომ, თუ პროდუქტი ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერად იქნა ჩაშვებული ბაზარზე, მაშინ ის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აღიარებულ უნდა იქნეს სხვა წევრ სახელმწიფოშიც. ორმხრივი აღიარება არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. იგი ყველა სახის წინააღმდეგობის, ქვეყნებს შორის კოორპორაციის გაძლიერებისა და ევროპული საწარმოების ერთად მუშაობის წახალისებისათვის გამოიყენება.<sup>55</sup> ასევე აღიარებულია პრინციპი – საფუძვლის წესი, რომლის თანახმად, ევროკავშირის სამართალში საჭირო ნორმების არარსებობის შემთხვევაში წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო ზომები, რათა ხელი შეუშალოს არასამართლიან სავაჭრო პრაქტიკას. სასამართლომ, ასევე, ჩამოაყალიბა არამკაფიოდ გამოხატული შეზღუდვების გამამართლებელი საფუძვლები; შემოიღო 36-ე მუხლში მოცემული გამამართლებელი საფუძვლების გარდაკიდევ ახალი გამოჩვეულები. ამ გადაწყვეტილებამდე ითვლებოდა, რომ ამ მუხლში არსებული გამოჩვეულები იყო ამომწურავი და რომ სხვა გამოჩვეულების დაშვება არ მოხდებოდა, მაგრამ ნათელი გახდა, რომ სხვა საფუძვლებიც მისაღებია. ზოგი მათგანი ამ გადაწყვეტილებაში იყო ნახსენები. სხვები სასამართლომ დროთა განმავლობაში დაამატა.<sup>56</sup> არსებობს სახელმწიფოების მიერ მიღებული მრავალი წესი, რომელიც არ ახდენს პირდაპირ დისკრიმინაციას საქონელზე მათი წარმოშობის მიხედვით, თუმცა მაინც ქმნის წინააღმდეგობას წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებზე.

ხელშეკრულების დებულებებში მოცემული აკრძალვები არ არის აბსოლუტური ხასიათის, რადგანაც მათი დარღვევა რიგ შემთხვევებში დაშვებულია.<sup>57</sup> პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მის მიერ მი-

---

<sup>55</sup> For a more complete overview, see: C. Barnard, *The Substantive Law of the EU – The Four Freedoms*, 2009, p. 166-167; D. Chalmers, G. Davies and G. Monti, *European Union Law*, 2010, p. 874-875. The only limitation applicable is that mandatory requirements cannot include interests which are purely economic, as that can be seen in e.g. Case 352-85 *Bond van Adverteerders v The Netherlands* [1988] ECR 2085, para 34. იხ. ციტირება: Nihoul P., Nieuwenhuyze E., Solomon, *The Eu and The Member States - Power Adjudication in the European Jurisprudence on the Free Movement of Goods*, Belgium, 2012, 3.

<sup>56</sup> Nistorescu C., *The Free Movement of Goods on the European Single Market*, Romania, Craiova, 2013, 1.

<sup>57</sup> საქმე C-20/03 *Criminal proceedings against Marcel Burmanjer, René Alexander Van Der Linden and Anthony De Jong* [2005] ECRI-4133.

ლებულ ზომებს მომხმარებელთა<sup>58</sup> ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის<sup>59</sup> დაცვის მიზნით ამართლებს. „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილობრივი სასამართლოს გადასაწყვეტია, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები მოქმედებს თუ არა ადგილობრივი და სხვა სახელმწიფოების საქონელზე ერთნაირად, განსხვავების გარეშე; არის თუ არა დასახული მიზანი საზოგადოების ინტერესებში და არის თუ არა სახელმწიფოს ეს ზომები პროპორციული ამ მიზნის მისაღწევად.“<sup>60</sup>

სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ განსხვავება უნდა გაკეთდეს საქონელთან დაკავშირებულ ზომებსა და გაყიდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს შორის. საქონელთან დაკავშირებული ზომები ხელს უშლის ბაზართან კავშირს და ამიტომაც მათზე ვრცელდება 34-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვები. ამის მაგალითებია, საქონლის შეფუთვისთან, ეტიკეტირებასა და სარეკლამო პრაქტიკებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ასეთი ზომები თანაბარ ტვირთს აწესებს მოცემული ტერიტორიის ბაზარზე არსებულ ყველა მონაწილეზე. შესაბამისად, არ არის აკრძალული. სახელმწიფოს მიერ მიღებული ის ზომები, რომლებიც კრძალავს ან ხელს უშლის საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, მაგრამ, ფაქტობრივად და სამართლებრივად, ერთნაირად მოქმედებს ადგილობრივ და სხვა სახელმწიფოს მიერ წარმოებულ საქონელზე, ხელს არ უშლის თავისუფალ ვაჭრობას.<sup>61</sup> სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: პირველი – თანაბრად ეხებოდეს ადგილობრივ და სხვა წევრ სახელმწიფოებში წარმოებულ საქონელს, არ ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი და მეორე, ეს ზომები იმისათვის არ უნდა იყოს მიღებული, რომ პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელი შეუშალოს ვაჭრობას; იგი არ უნდა აწესებდეს ტოტალურ აკრ-

---

<sup>58</sup> ECR 649, Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein, saqme 120/78, 1979.

<sup>59</sup> საქმე C-20/03 Criminal proceedings against Marcel Burmanjer, René Alexander Van Der Linden and Anthony De Jong [2005] ECRI-4133.

<sup>60</sup> საქმე C-20/03 Criminal proceedings against Marcel Burmanjer, René Alexander Van Der Linden and Anthony De Jong [2005] ECRI-4133.

<sup>61</sup> საქმე C-20/03 Criminal proceedings against Marcel Burmanjer, René Alexander Van Der Linden and Anthony De Jong [2005] ECRI-4133.

ძალვას გაყიდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.<sup>62</sup> ამის მაგალითებია: მალაზიების გახსნის საათები და სამუშაო საათების ხანგრძლივობა,<sup>63</sup> გაყიდვების მეთოდები,<sup>64</sup> შეფუთვა და ეტიკეტირება<sup>65</sup> და სხვ. ეს განსხვავება სასამართლომ ერთ-ერთი საქმის – “Criminal proceedings against Bernard Keck and Daniel Mithouard” – გადაწყვეტილებაში გააკეთა.<sup>66</sup>

### 3.3. რაოდენობრივი შეზღუდვებისა და რაოდენობრივი შეზღუდვების ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვების გამამართლებელი საფუძვლები

არის შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა დაწესებულ აკრძალვებთან ერთად ითვალისწინებს ამ აკრძალვების გამამართლებელ საფუძვლებსაც. რაოდენობრივი შეზღუდვების აკრძალვისათვის წვერი სახელმწიფოს დამცავი ნორმები ზუსტადაა გაწერილი ხელშეკრულებაში.<sup>67</sup> გაკეთებულია ჩამონათვალი, თუ რა შემთხვევებში იქნება გამართლებული საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები. ასეთ საფუძვლებს წარმოადგენს: საზოგადოებრივი მორალი, საჯარო პოლიტიკა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ეროვნული საგანძურის დაცვა, რომელიც წარმოადგენს მხატვრულ, ისტორიულ ან არქეოლოგიურ ღირებულებას, ან დაცვა სამრეწველო და კომერციული საკუთრებისა.<sup>68</sup> ასეთი აკრძალვები და შეზღუდვები არ უნდა წარმოადგენდეს თვითნებურ დისკრიმინაციას ან შეფარვით ხელს არ უნდა უშლიდეს წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს. 36-ე მუხლში ჩამოთვლილი დამცავი საფუძვლე-

---

<sup>62</sup> იხ. Punto Casa, საქმე C-69 & 258/93 [1994] ECR I-2355. იხ. Familapress saqme C-368/95 [1997] ECR I-3689.

<sup>63</sup> იხ. Familapress საქმე C-368/95 [1997] ECR I-3689. Clinique Case, saqme C-315/92, [1994] ECRI-317; Mars, Case C-470/93 [1995] ECR I-1923.

<sup>64</sup> Clinique Case, საქმე C-315/92, [1994] ECRI-317; Mars, Case C-470/93 [1995] ECR I-1923.

<sup>65</sup> CJEU, joined cases C-267/91 and C-268/91, “Criminal proceedings against Bernard Keck and Daniel Mithouard”, preliminary ruling, 1993.

<sup>66</sup> TFEU, Art. 36.

<sup>67</sup> TFEU, Art. 36.

<sup>68</sup> CJEU, Cassis de Dijon, საქმე 120/78, “Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein”, preliminary ruling, 1979.

ბი ეხება ზოგადად, ყველანაირი სახის შეზღუდვას. სასამართლო პრაქტიკამ გამოკვეთა არამკაფიოდ გამოხატული შეზღუდვების გამამართლებელი საფუძვლებიც.<sup>69</sup> მათ სავალდებულო მოთხოვნებს უწოდებენ, რომლებიც მოიცავს მომხმარებელთა დაცვასა და კომერციული გარიგებების სამართლიანობას. მათ აქვთ არაეკონომიკური ბუნება.<sup>70</sup> ეს სია არ არის ამომწურავი და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით კიდევ უფრო ვითარდება. იგი მოიცავს გარემოს დაცვას, კულტურის პოლიტიკას, ტექნიკური მედიის მხარდაჭერას, ეროვნული და სოციალური უსაფრთხოების სისტემის ბალანსის მხარდაჭერას, კონსტიტუციური უფლებების დაცვას. მტკიცების ტვირთი ეკისრება წევრ სახელმწიფოს, თუმცა ყველა სახის დაცვა გაგებული უნდა იყოს ვიწროდ და შეზღუდულად. ამ გამამართლებელ საფუძვლებთან ერთად აუცილებლად უნდა შემოწმდეს და დაცული იყოს პროპორციულობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ზომები აუცილებელი უნდა იყოს გაცხადებული მიზნების მიღწევისათვის; არ უნდა არსებობდეს უფრო რბილი და სუსტი ზომები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასურველი მიზნის მიღწევა; ზოგადად, ზომები უნდა იყოს მიზნის პროპორციული ვიწრო გაგებით. შეიძლება არსებობდეს გამამართლებელი საფუძველი, თუმცა სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა არ იყოს მისი პროპორციული.<sup>71</sup>

#### 4. ევროპულ თანაბეგობრობათა სასამართლოს პრაქტიკა

სასამართლოს, უმეტეს შემთხვევაში, განმარტებული აქვს კონკრეტული ნორმები, პრინციპები და ცნებები. ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასამართლოები ხშირად მიმართავენ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კითხვებით. პასუხები ეხმარება მათ პრობლემური საკითხების გადაჭრაში. კანონის მოთხოვნების აღსრულებისა და მათი გამოყენებისათვის აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის განხილვა. იგი ნორმების შინაარსის, დანიშნულებისა და რეალური მიზნის ამომწურავად და სიღრ-

---

<sup>69</sup> Akkermans B., Property Law and the Internal Market, the Future of European Property Law, Edited by S. van Erp, A. Salomons and B. Akkermans, München, 2012, 10.

<sup>70</sup> საქმე 261/81 Rau v. De Smedt [1982] ECR 3961.

<sup>71</sup> CJEU, Geddo, საქმე 2.73, European Court Reports 1973 -00865, “Riseria Luigi Geddo v Ente Nazionale Risi”, preliminary ruling, 1973.

მისეულად ჩაწვდომისთვის მეტად მნიშვნელოვანია. მუხლები და დებულებები, რომელიც არეგულირებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, ერთი შეხედვით, მარტივად გასაგები და აღსაქმელია. ისინი აწესებს იმ ნორმებისა და ზომების აკრძალვებს, რომელთაც შეუძლია ხელი შეუშალოს თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ამოვიკითხავთ განმარტებასაც კი, თუ რა შინაარსის მატარებელია თითოეული მათგანი. მაგალითად, იმის განმარტებას, თუ რას წარმოადგენს რაოდენობრივი შეზღუდვა, არ გვაძლევს მუხლის შინაარსი. მას ვხვდებით მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებებში. “Geddo”-ს საქმეზე<sup>72</sup> სასამართლომ განმარტა, რომ რაოდენობრივ შეზღუდვას წარმოადგენს ის ზომები, რომლებიც საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე დაწესებულ მთლიან ან ნაწილობრივ შეზღუდვებად ითვლება. ძალზედ რთულია სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების გამოიჯვანა ერთმანეთისაგან და განსხვავებების აღმოჩენა, მათი სწორად შესაბამისობა კონკრეტულ მუხლთან. მაგალითად, როგორ უნდა გაირკვეს, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემზღუდველი ხასიათის ზომა წარმოადგენს რაოდენობრივ შეზღუდვას თუ რაოდენობრივი შეზღუდვის ეკვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვას. ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა უნდა გამოიყენონ ევროკავშირისაკენ მიმავალმა ქვეყნებმა და გაითვალისწინონ სხვა სახელმწიფოების მიერ დაშვებული შეცდომები.

## **5. საქართველო და ევროკავშირი – ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)**

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა ცხადყოფს, რომ ქვეყანას გეზი ევროპისაკენ აქვს აღებული. მიზანი ევროპული ღირებულებების ქვეყნისათვის საკუთილდღოდ გამოყენებაა. სწორედ ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, სურველი ევროპული კავშირების წევრობისა. 2014 წლის გამოკითხვებში მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ევრო-

---

<sup>72</sup> Fix L., Georgia Knocking on Europe’s Door, Russia, Georgia and the EU Association Agreement, DGAP kompakt, №10, June, 2014, 4.



კავშირის წევრობას.<sup>73</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).<sup>74</sup> ევროინტეგრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნებია: კონკურენციის პოლიტიკის გატარება; სასურსათო უსაფრთხოებაზე ზრუნვა; ვაჭრობაზე ტექნიკური ბარიერების მოხსნა და ა.შ. ამ მოთხოვნების შესრულება საკმაოდ რთული ამოცანაა, თუმცა იგი დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ თუ სხვა მიმართულებით განვითარებაზე. ერთიანი შიდა ბაზრის არსებობა, პირველ რიგში, მომხმარებლისთვისაა კარგი. მათ ეძლევათ საშუალება, საქონლისა და პროდუქტის გაცილებით ფართო არჩევანი ჰქონდეთ. თავისუფალი ვაჭრობა საქონლის მიმწოდებლებისათვის საკუთარი საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისა და განვითარების წინაპირობაა.<sup>75</sup> ამ შეთანხმების საფუძველზე, საქართველოსათვის გაიხსნება ევროკავშირის შიდა ბაზარი. იგი გულისხმობს საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მეწარმეებმა უნდა გადალახონ მრავალი ბარიერი, სანამ იხინი საქონელსა და მომსახურებას თავისუფალ ბრუნვაში გაუშვებენ. ეს ბარიერები მოიცავს: წინასწარ უფლებამოსილების მოპოვებას, იმპორტზე ლიცენზირების მოთხოვნებსა და სხვა.<sup>76</sup>

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას, ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.<sup>77</sup> DCFTA-მდე მოქმედებდა FTA – თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც იყო ვადიანი ხელშეკრულება. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავ-

---

<sup>73</sup> იხ. <<https://www.ndi.org/files/Georgia-April14-Survey-Political-Georgian.pdf>> [20.04.2015].

<sup>74</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი IV, ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.

<sup>75</sup> Sayde A., Abuse of EU Law and Regulation of the Internal Market, Oregon, 2014, 222.

<sup>76</sup> Chirita A., The EU Free Movement as Seen through the Lens of Competition Law, England, Durham, 2015, 6.

<sup>77</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. იხ. <<http://www.economy.ge/ge/dcfta>> [17.12.2015].

ვებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს, როგორც სატარიფო, ასევე, არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას.

ასოცირების ხელშეკრულების მეოთხე კარის დებულებებში გაწერილია ამ ხელშეკრულების მიზნებიც. მათ შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა წარმოადგენს. რაც მიიღწევა საქართველოს სავაჭრო და ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის რეფორმირებით ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად. CFTA ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროში ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მათ შორის, ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით.<sup>78</sup> ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან გათვალისწინებულია ყველა სახის საქონელისათვის საიმპორტო გადასახადის გაუქმება და სექსპორტო გადასახადების აკრძალვა ევროკავშირის ტერიტორიაზე.<sup>79</sup> ევროკავშირის სამართლისა და მოთხოვნების შესაბამისად უნდა გაუქმდეს საბაჟო გადასახადები, გადასახდელები და სხვა მოსაკრებლები. ხელშეკრულება კრძალავს როგორც იმპორტზე,<sup>80</sup> ასევე ექსპორტზე<sup>81</sup> დაწესებულ საბაჟო გადასახადებს. ხელშეკრულება საბაჟო გადასახადს განმარტავს როგორც „ყველა სახის გადასახადს ან ნებისმიერი ტიპის მოსაკრებელს, რომელიც დაწესებულია, ან დაკავშირებულია საქონლის ექსპორტსა, ან იმპორტთან, ყველა სახის ქვე-გადასახადის ან ქვემოსაკრებელის ჩათვლით, რომელიც დაწესებულია, ან დაკავშირებულია ასეთ იმპორტსა, ან ექსპორტთან“.<sup>82</sup> ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლი კრძალავს საბაჟო გადასახადებს, რომელიც დაწესებულია საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე,<sup>83</sup> თუმცა საბაჟო გადასახადის განმარტება ამ ხელშეკრულებაში არ არის. მისი ამოკითხვა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებებშია შესაძლებელი. შესაბამისად, ამ განმარტების ხელშეკრულებაში ჩაწერა დადებით ფაქტად მიიჩნევა.

---

78 <<http://www.mfa.gov.ge>> [20.04.2015].

79 <<http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents>>[20.04.2015].

80 DCFTA, Art. 26.

81 DCFTA, Art. 29.DCFTA, Art. 24.

82 DCFTA, Art. 24.

83 TFEU, Art. 30.

დამტკიცებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.<sup>84</sup> მასში ვაჭრობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაწერილია ისეთი აქტივობები, როგორცაა: მხარეების თანამშრომლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისათვის საქართველოს მომზადება; ახალი კანონმდებლობის და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, მათ შორის ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის შემუშავება; ქართული ბიზნესისათვის ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისათვის მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა; საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება; ტრენინგები ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული კანონმდებლობის სფეროში, შესაბამისობის შეფასების ნაწილში; ტრენინგების პროგრამის შემუშავება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც ჩართულები არიან საკანონმდებლო დახლოების პროცესში და სხვ. როგორც ჩანს, 2015 წლის სამოქმედო გეგმაში აქცენტი უფრო მეტად გაკეთებულია ვაჭრობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, რომლებიც აკრძალულ სატარიფო ბარიერებთან ერთად DCFTA-ს შემადგენელი ნაწილია, მათ შორის, სანიტარულ ზომებზე, საბაჟოზე, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ.

## **6. ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა**

აუცილებელია, რომ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ვინაიდან საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, კანონმდებლობის შესაბამისობა საჭიროა იმ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც ქვეყანამ ასოცირების შესახებ შეთანხმებით აიღო. ამ ეტაპზე აკრძალვები ეხება მხოლოდ ფისკალური ხასიათის საბაჟო გადასახადებს. წევრობასთან ერთად აკრძალვები გაფართოვდება და მოიცავს რაოდენობრივ შეზღუდვებსა და დისკრიმინაციული ხასიათის შიდა დაბეგრასაც.

---

<sup>84</sup> <<http://www.eu-nato.gov.ge>>[20.04.2015].

DCFTA ასევე მოიცავს დაახლოების ზოგად დებულებებს,<sup>85</sup> რომლის მიხედვითაც საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შეფასების ხელშეწყობის მიზნით, მხარეებმა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტში რეგულარულად უნდა განიხილონ დაახლოებაში მიღწეული პროგრესი.<sup>86</sup> უნდა გაუქმდეს შეუსაბამო ეროვნული კანონმდებლობა. ის დებულებები ან ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობასა და ასოცირების შესახებ შეთანხმებას.<sup>87</sup>

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ნორმების განმარტებამ ცხადყო, რომ ამ აკრძალვების სწორად გაგება, ინტერპრეტაცია და პრაქტიკაში დამკვიდრება საკმაოდ რთულია. სახელმწიფოები მაინც ახერხებენ მათ დარღვევას. თუ საქართველო მიიღებს თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელისშემშლელ და შემზღვეველ ზომებს, ისინი უნდა გაუქმდეს.

## დასკვნა

იყო ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ეს დიდი კეთილდღეობის მომტანი, თუმცა მეტად საპასუხისმგებლოა. აუცილებელია, რომ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა სრულ ჰარმონიაში იყოს მოყვანილი ევროკავშირის სამართალთან. ჩანს, რომ წევრი სახელმწიფოების მიერ ნორმების აღსრულება და სრულად დაცვა არც ისე ადვილი საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სამართალი არეგულირებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, კრძალავს ფულადი თუ რაოდენობრივი ხასიათის შეზღუდვებს, სასამართლო პრაქტიკამ ნათლად აჩვენა, რომ რეალობაში ბევრი პრობლემა იჩენს თავს.

მიუხედავად დაწესებული აკრძალვებისა, სახელმწიფოები მაინც ხშირად აწესებენ შეზღუდვებს, რაც ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობას წევრ სახელმწიფოებს შორის. ასევე, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ შეზღუდვების გამამართლებელი საფუძვლები, რომელსაც კანონმდებლობა აწესებს, არასწორად იქნება გამოყენებული სახელმწიფოების მიერ. მნიშვნელოვანია შეზღუდვების სახეობის დადგენა და მათი ერთმანეთისაგან გა-

---

<sup>85</sup> DCFTA, თავი 15, დაახლოების ზოგადი დებულებები IV კარის შესაბამისად.

<sup>86</sup> DCFTA, Art. 271.1.

<sup>87</sup> DCFTA, Art. 272.

მიჯენა, რადგანაც ზოგიერთ შეზღუდვას შეუძლებელია ჰქონდეს გამამართლებელი საფუძვლები, ზოლო ზოგიერთ მათგანს, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლობა თავად უშვებს.

პრობლემების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ თითოეული მუხლისა და ნორმის შინაარსი სწორად იყოს გაგებული. საქართველომ უკვე აღებული ვალდებულებები პირნათლად უნდა შეასრულოს. მსგავსად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა, ქართულ საერთო სასამართლოებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, ამიტომ, პრობლემების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება, თუ საქართველო გაითვალისწინებს უკვე არსებულ მრავალწლიან პრაქტიკას. მნიშვნელოვან განმარტებებს, რომლებიც ამ საქმეებშია გაბნეული, თავი მოეყრება და ამკრძალავ ნორმებთან ერთად იქნება წარმოდგენილი. ამით ყველასათვის გაადვილდება ნორმის შინაარსის ზუსტად გაგება და აღსრულება. უნდა გადაიხედოს კანონმდებლობა, სახელმწიფოს ყველა ორგანოსა თუ ინსტიტუტის სამართლებრივი აქტები და ნორმები, რათა გაუქმდეს შემზღუდველი, ხელისშემშლელი და შეუსაბამო დებულებები.

როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა, აკრძალულ საბაჟო გადასახადებს რაოდენობრივი შეზღუდვებისა და დისკრიმინაციული შიდა დაბეგვრის აკრძალვაც დაემატება. დიდი ალბათობით, მსგავსი ტიპის პრობლემები საქართველოს რეალობაშიც დადგება. ამ პრობლემების გადაჭრის გზები, პირველ რიგში, ნორმის შინაარსის ზუსტ ინტერპრეტაციასა და სასამართლოს მრავალფეროვან პრაქტიკაშია.

# კორპორაციული მართვის სისტემები თანამედროვე სამართალში

ანა ქაშაძე\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

**კახაბერ კუჭავა**

*სამართლის მაგისტრი*

## შესავალი

კორპორაციული მართვა თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინსტიტუტია, თუმცა იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ნაკლებად არის განვითარებული. კორპორაციული მართვა უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიულ მართვასა და ეფექტურ მონიტორინგს.<sup>1</sup> იგი არის სისტემა, რომელიც იკვლევს იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც ინვესტორები იქმნიან გარანტიებს, რომ ინვესტიციის შედეგად ისინი მოგებას მიიღებენ.<sup>2</sup> ცნობილია, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია, განვითარებულ ეკონომიკასთან ერთად განვითარებული სამართლებრივი სისტემებიც აქვთ. ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია კორპორაციული მართვის სხვადასხვა ფილოსოფიას განამტკიცებენ. ამერიკული მოდელი უპირატესობას ანიჭებს ე.წ. საგარეო კორპორაციულ მართვას, ხოლო გერმანული მოდელი – შიდა კორპორაციულ მართვას. მოცემულ ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ კორპორაციული მართვის ამერიკული და გერმანული სისტემების თავისებურებანი და შევადაროთ ისინი კორპორაციული მართვის ქართულ მოდელს.<sup>3</sup>

---

\* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი.

<sup>1</sup> Principles of Corporate Governance for Economic for Economic Cooperation and development, 2004, 6.

<sup>2</sup> George M., What do We Know about Different Systems of Corporate Governance, 2012.

<sup>3</sup> Handbook on International Corporate Governance, Country Analyses, Edited by Ch. A. Mallin and E. Elgar, 2006.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს მუხლებს კორპორაციული მართვის შესახებ, თუმცა კანონის მოწესრიგება საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანია.<sup>4</sup> მეწარმეთა კანონი იწვევს გაუგებრობასა და აღრევას კორპორაციის ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლებამოსილების მატარებელ ორგანოთა შორის. გარდა ზემოაღნიშნულისა, საინტერესოა „ერთგულების“ მოვალეობის ცნება და მისი ცალკეული შემთხვევები კორპორაციული მართვის კუთხით. მოცემულ ნაშრომში, ასევე, მოკლედ შევეხებით აქციონერთა სარჩელის რეგულირებას.

## 1. კაპიტალურ საზოგადოებათა ფორმები

ამერიკული სამართალი იცნობს კაპიტალური საზოგადოების მხოლოდ ერთ ფორმას - კორპორაციას, ხოლო კორპორაციის ის ფორმა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაში გამოიყენება, ეწოდება სამეწარმეო კორპორაცია.<sup>5</sup> ამერიკული სამართალი ერთმანეთისგან არ განასხვავებს სააქციო საზოგადოებას და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ეს ქართულ და გერმანულ სამართალშია, თუმცა არსებობს კორპორაციის ორი სახეობა - ღია და დახურული კორპორაცია.<sup>6</sup>

დახურული კორპორაცია ხასიათდება პარტნიორთა მცირე რაოდენობით, კერძოდ, აქციონერთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წესდებაში მითითებულ რაოდენობას.<sup>7</sup> ასეთი კორპორაციის აქციები ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე არ არის გატანილი და საჯარო ვაჭრობაში არ მონაწილეობს. უფრო მეტიც, შეზღუდულია ამ აქციების გასხვისებაც, ე.წ. უპირატესი შესყიდვის უფლების ან სხვა აქციონერთა თანხმობის დაწესების გზით; კორპორაციას არ აკისრია ანგარიშგებისა და საჯაროობის ის მოვალეობები, რომელიც გათვალისწინებულია ღია კორპორაციისათვის. ღია კორპორაციას ჰყავს ბევრი აქციონერი. მისი აქციები მონაწილეობს საჯარო ვაჭრობაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის საშუალებით, ან ბირჟების

---

<sup>4</sup> ცერცვაძე ა., ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლებამოსილებები სააქციო საზოგადოებაში საქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით, ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1, 2013, 31.

<sup>5</sup> Hopt K., Leyens P., Board Models in Europe, Working Paper, N18/2004, 11.

<sup>6</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006.

<sup>7</sup> Delaware General Corporation Law, 2013.

გარეშე მაკლერებისა და ბროკერების მეშვეობით. ღია კორპორაციას აკისრია ანგარიშგებისა და საჯაროობის მოვალეობები.<sup>8</sup>

გერმანული საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს სააქციო საზოგადოებას, კომანდიტურ სააქციო საზოგადოებას და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.<sup>9</sup> რაც შეეხება ქართულ საკორპორაციო სამართალს, ის ერთმანეთისაგან განასხვავებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებას.

## 2. მონისტური სისტემა

ერთმანეთისგან განსხვავდება მართვის მონისტური, ანუ ერთსაფეხურიანი და დუალისტური, ანუ ორსაფეხურიანი სისტემები. პირველს განამტკიცებს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, დანიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ესპანეთის საკორპორაციო სამართალი, ხოლო მეორეს – გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის საკორპორაციო სამართალი. ზოგიერთი ქვეყანა განამტკიცებს შერეულ სისტემას, მაგალითად: საფრანგეთი, ფინეთი, პორტუგალია და ბელგია.<sup>10</sup>

კორპორაციების მართვის ერთსაფეხურიანი სისტემისათვის დამახასიათებელია ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციების თავმოყრილია ერთი ორგანოს - ბორდის ( ოარდ) ხელში.<sup>11</sup> ამერიკულ კორპორაციებში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები გადანაწილებულია აქციონერთა საერთო კრებას – ბორდსა და მენეჯერებს შორის.<sup>12</sup> კორპორაციის მართვას ახორციელებს ერთი ორგანო – ბორდი, რომელიც იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებსაც ითავსებს.

---

<sup>8</sup> Merkt H., Göthel S., US-Amerikanisches Gesellschaftsrecht, 2. Auflage, 2006, Rn. 252.

<sup>9</sup> Hirte/Heribert, Kapitalgesellschaftsrecht, 4. Auflage, Köln, 2003, 1.

<sup>10</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 110.

<sup>11</sup> Jungmann C., The Effectiveness of Corporate Governance in One-tier and Two-tier Board Systems, European Company and Financial Law Review, Vol. 3, No. 4, 2006.

<sup>12</sup> Buxbaum, Richard M., The Internal Devision of Powers in Corporate Governance, California Law Review, Vol. 73, No. 6, 1985, 1671.



ბორდი ერთადერთი სავალდებულო ორგანოა, რომელიც ამერიკული სამართლის მიხედვით კორპორაციას უნდა ჰქონდეს.<sup>13</sup> ერთმანეთისგან განსხვავებენ ბორდის წევრი დირექტორების ორ ჯგუფს: ერთნი, რომლებიც აქტიურად და ყოველდღიურად არიან ჩართულნი ხელმძღვანელობით საქმიანობაში და ითვლებიან კორპორაციის თანამშრომლებად, ე.წ. აღმასრულებელ დირექტორებად, და მეორენი, რომლებიც არ წარმოადგენენ კორპორაციის თანამშრომლებს, ანუ არიან ე.წ. არა აღმასრულებელი წევრები. არა აღმასრულებელი წევრები ჰგვანან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ კომპანიის სტრატეგიას, ახორციელებენ მონიტორინგს და სხვა უფლებამოსილებებს. ღია კორპორაციებში, როგორც წესი, ბორდი ქმნის კომიტეტებს, რომლებშიც სულ ცოტა ერთი დირექტორი მაინც უნდა შედიოდეს. ყველაზე გავრცელებულ კომიტეტებს წარმოადგენს: Audit Committee – მისი ფუნქციაა კორპორაციის საფინანსო და საბუღალტრო საქმისწარმოების შემოწმება; Nominating Committee – მისი ამოცანაა ბორდის წევრებისა და კომპანიის სხვა მნიშვნელოვანი პოზიციის თანამშრომლების ასარჩევად კანდიდატების დასახელება; Compensation Committee – მისი კომპეტენციაა კორპორაციის წამყვანი თანამშრომლების ხელფასების განსაზღვრა და კომპანიის საბონუსე სისტემის შემუშავება; საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში ვხვდებით ასევე Credit Committee-ს.<sup>14</sup>

როგორც წესი, ამერიკული ბორდი თავად განსაზღვრავს თავის კომპეტენციას და ამით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანული და ქართული სამეთვალყურეო საბჭოსაგან, რომლის კომპეტენცია კანონით ზუსტად არის დადგენილი.<sup>15</sup>

დახურულ კორპორაციებში, როგორც წესი, ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება თვითონ ბორდი, რომელიც, ჩვეულებრივ, აქციონერებისგან შედგება და მიღებულ გადაწყვეტილებებსაც თვითონ ასრულებს. რაც შეეხება ღია კორპორაციებს, მათში ბორდი ფუნქციითა დელეგირებას ახდენს პროფესიონალ მენეჯერებზე, თუმცა კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე, ჩართული არიან ბორდის აღმასრულებელი წევრებიც. ბორდი ნიშნავს მენეჯერებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კორპორაციის ყოველ-

<sup>13</sup> Kindler A., Der Amerikanische Aufsichtsrat, 2010, 30.

<sup>14</sup> Gevurtz F. A., Corporation Law, 2<sup>nd</sup> Edition, 2010, 413.

<sup>15</sup> Oltmannus, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen, 2001, 13.

დღიურ საქმიანობას და წარმოადგენენ მას ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა ბორდს ყოველთვის აქვს მათთვის მითითების მიცემის უფლება. მენეჯერებს ეკისრებათ ისეთივე მოვალეობები, როგორც ბორდის წევრებს და ამიტომ, როდესაც საუბარია კორპორაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაზე, ბორდის წევრთან ერთად იგულისხმება ასევე მენეჯერების პასუხისმგებლობაც. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ განსხვავებას გერმანული ან ქართული სამეთვალყურეო საბჭოსგან, რომელსაც არ აქვს უფლება, თავისი უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს გამგეობაზე.<sup>16</sup>

### 3. დუალისტური სისტემა

დუალისტური სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად მიიჩნევა მართვის ორგანოებს შორის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციების მკვეთრად გამოიჯვანა. მათ შორის არსებობს იერარქიული ურთიერთდაქვემდებარება და არ წარმოადგენენ თანასწორუფლებიან ორგანოებს.<sup>17</sup> გერმანულ სამეთვალყურეო საბჭოს ახასიათებს სხვადასხვა თავისებურება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ მოდელის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო მასშტაბით.<sup>18</sup>

გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ ნაკლად ითვლება მასში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობა. გარდა აღნიშნულისა, გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს მთავარ ნაკლად მიიჩნევენ მის მრავალრიცხოვნობას. მაშინ, როდესაც საერთაშორისო გამოცდილებით ოპტიმალურად აღიარებულია 8-10 წევრიანი ბორდი,<sup>19</sup> გერმანიაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში 20-ზე მეტია.<sup>20</sup> გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგ ნაკლად მიიჩნევა წევრთა კვალიფიკაცია. გერმანული კანონმდებლობა არ ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი-

---

<sup>16</sup> 111, Abs. 5 und Abs. 4 AktG

<sup>17</sup> Huffer, Uwe, Aktiengesetz, Kurzkommentar, 6. Auflage, München, 2004, Rn. 76.

<sup>18</sup> Merkt H., Die Publizität von Unternehmen, Tübingen, 2001; Hopt K., Das System der Unternehmensüberwachung in Deutschland in: Institut der Wirtschaftsprüfer (IDW), Kapitalmarktorientierte Unternehmensüberwachung, Düsseldorf, 2001.

<sup>19</sup> კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, IFC, თბილისი, 2010, 57.

<sup>20</sup> Lutter/Markus, Vergleichende Corporate Governance - Die Deutsche Sicht, ZGR 2/2001, 224.

სათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, როგორც ამას აკეთებს ამერიკული საკორპორაციო სამართალი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წევრთა დამოუკიდებლობაც, რომელიც ორი გარემოების გამო ეჭვქვეშ დგას: 1. შრომის სიმბოლური ანაზღაურება, განსხვავებით ამერიკული ბორდის წევრებისაგან, და 2. საბჭოს წევრების ინფორმაციული დამოკიდებულება გამგეობის წევრებზე.<sup>21</sup> ამერიკული ბორდისაგან განსხვავებით, გერმანულ სამეთვალყურეო საბჭოში შედარებით განუვითარებელია კომიტეტებში მუშაობა, თუმცა გერმანულ დიდ კორპორაციებში გახშირდა სამეთვალყურეო საბჭოში კომიტეტების არსებობა.

#### 4. კორპორაციული მართვის ქართული სისტემა

კორპორაციული მართვის სისტემა, რომელიც ქართულ საკორპორაციო სამართალშია განმტკიცებული, ეყრდნობა გერმანულ გამოცდილებას, თუმცა მრავლადაა მათ შორის განსხვავებაც. ქართული საკორპორაციო სამართლის თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან.<sup>22</sup> შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა იძლევა მოდელის არჩევის შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის გაზაფხულზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს კანონმდებლობით კორპორაციული მართვის მკაცრად დადგენილი ორსაფეხურიანი სისტემა წარსულს ჩაბარდა. ცვლილებები უმეტესად აშშ-ის სამართლის გავლენის შედეგად განხორციელდა, ხოლო სამართლის ნორმის ერთი სამართლის სისტემიდან

---

<sup>21</sup> Baums T., Aktienrecht Fur globalisierte Kapitalmarkte-Generalbericht, Johann Wolfgang Goethe Universität Frankfurt am Main, No. 89, 2002, 19.

<sup>22</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მეორეში კოპირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ტრანსპლანტის მიმღების სამართლის განვითარებაზე.<sup>23</sup>

ქართულ კანონმდებლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო წინაპირობების განუსაზღვრელობა მიგვაჩნია. ეს ფაქტი პრაქტიკაში არც თუ იშვიათად საფუძველია სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ფორმალურობისა და არაეფექტურობის. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ კანონი რაიმე ნორმას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეალურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს, არ შეიცავს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორს ანიჭებს უფლებას, იმავდროულად იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია სწორედ დირექტორების საქმიანობაზე კონტროლია. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დირექტორი იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭომ დირექტორატზე კონტროლი შეამციროს, რაც შესაძლოა ცუდად აისახოს საზოგადოების მომავალზე.<sup>24</sup> მართალია, ამ შესაძლებლობას დირექტორებს ბევრი სხვა, განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაც აძლევს, თუმცა, ამ შემთხვევაში განმარტებულია, თუ რისი უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს ასეთ წევრს.<sup>25</sup>

დირექტორატი სამეწარმეო საზოგადოების მართვის აუცილებელი ორგანოა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების საქმიანობის სწორად წარმართვაში.<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი აშშ-ის სამართლის მსგავსად არ ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულობას, აშშ-ის სამართლისაგან განსხვავებით იგი არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი დირექტორების არსებობას, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფდა დირექტო-

---

<sup>23</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 5.

<sup>24</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას, სამართლის ჟურნალი, №1, 2013, 253.

<sup>25</sup> International Finance Corporation, Supervisory Board, Best Practices, 535.

<sup>26</sup> ლაზარიშვილი ლ., სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან, პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 309.

რების საქმიანობაზე კონტროლს.<sup>27</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ღირექტორატის უფლებები და ფუნქციები გაზრდილია, ხოლო საწარმოზე კონტროლი შესუსტებული, ქართული კორპორაციული მართვის მოდელი მიმზიდველი არ არის ინვესტორებისათვის. მნიშვნელოვანი საკითხია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობაც. საქართველოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ოდენობა 3-დან 21-მდე<sup>28</sup> მერყეობს, მაშინ, როდესაც საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ოდენობა 8-10 უნდა იყოს.<sup>29</sup>

## 5. ერთგულების მოვალეობის ცნება

კორპორაციის ხელმძღვანელთა ერთგულების მოვალეობის ინსტიტუტი თანამედროვე საკორპორაციო სამართალში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს. მისი ასეთი მნიშვნელობა სათავეს ამერიკულ სამართალში იღებს.<sup>30</sup> ერთგულების მოვალეობის დეფინიცია ემყარება ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებით ამერიკაში არსებულ მდიდარ სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, ერთგულების მოვალეობის შეფასების მასშტაბად მიიჩნევა კეთილსინდისიერება და კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისათვის მსახურება.<sup>31</sup> ერთგულების მოვალეობის თანახმად, ღირექტორებს მოეთხოვებათ კორპორაციის ინტერესების დაცვა სხვა ნებისმიერ პირად ინტერესებთან შედარებით.<sup>32</sup> პირადი გამორჩენის მიზნით თანამდებობის გამოყენების შემთხვევებს განეკუთნება საკუთარ თავთან გარიგების დადება (ღირექტორს ასეთი გარიგების დადება არ ეკრძალება, თუმცა მას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეეძლოს დამტკიცება იმისა, რომ ეს გარიგება

---

<sup>27</sup> ცერცვაძე ლ., ღირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას, სამართლის ჟურნალი, №1, 2013, 254.

<sup>28</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი.

<sup>29</sup> კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, IFC, თბილისი, 2010, 60.

<sup>30</sup> Kleinberger D. D., Agency, Partnerships and LLCs, 2<sup>nd</sup> edition, New York, 119.

<sup>31</sup> Knapp Ch., Die Treuepflicht Der Aufsichtsratsmitglieder von Aktiengesellschaften und Direktors von Corporations, Ein vergleichender Beitrag zur Begründung und Konkretisierung der Treuepflicht von Verwaltungsmitgliedern im deutschen und US-amerikanischen Aktienrecht, München, 2004, 69 .

<sup>32</sup> Allen W., Kraakman R., Subramanian G., Commentary and Cases on the Law of Business Organization, 2nd Edition, New York, 2007, 241.

საწარმოსთვის აბსოლუტურად მომგებიანი და სამართლიანი იყო<sup>33</sup>), საწარმოს კომერციული შანსების პირადად გამოყენება, ინსაიდერული ინფორმაციით ვაჭრობა.<sup>34</sup>

ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე „Guth Loft-ის წინააღმდეგ“. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: გასი იყო კორპორაცია „ლოფტის“ დირექტორი და პრეზიდენტი. ამ კორპორაციას ჰქონდა ტკბილეულობისა და სასმელების გასაღების საკუთარი ქსელი. ერთ დღეს კომპანია „პეპსი-კოლას“ აქციათა უმრავლესობის მფლობელმა, მეგარგელმა, გასს შესთავაზა „პეპსი-კოლას“ სიროფის დამზადების რეცეპტის შესყიდვა კომპანიისაგან, რომელიც მაშინ გაკოტრების პროცესში იმყოფებოდა. გასმა იყიდა ეს რეცეპტი, თუმცა არა თავისი კორპორაციისათვის, არამედ თავისთვის. მან მეგარგელთან ერთად დააფუძნა ახალი კორპორაცია, რომელმაც დაიწყო „პეპსი-კოლას“ წარმოება. დელავერის უმაღლესმა სასამართლომ გასის ქმედება მიიჩნია „ლოფტის“ წინაშე ერთგულების მოვალეობის დარღვევად, რის გამოც გასს დაეკისრა „პეპსი-კოლას“ ახალ კომპანიაში თავისი წილის გადაცემა კომპანია „ლოფტისთვის“.<sup>35</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორებს აკრძალული აქვთ კომერციული შანსების პირადად გამოყენება, გამონაკლისს მაინც ითვალისწინებს აშშ-ში მოქმედი სამართალი, კერძოდ, დირექტორს შეუძლია კორპორაციის კომერციული შანსები თვითონ გამოიყენოს, თუ იგი დაასაბუთებს, რომ კორპორაციას არ შესწევს უნარი იმისთვის, რომ ეს შანსები თვითონ გამოიყენოს.<sup>36</sup> დელავერის შტატის სამეწარმეო სამართლის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია, მისთვის ცნობილი სამეწარმეო შანსები თავდაპირველად კორპორაციას აცნობოს, ხოლო საწარმოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში დირექტორს შეუძლია სამეწარმეო შესაძლებლობებით თავად ისარგებლოს.<sup>37</sup> მიუხედავად ერთგულების მოვალეობის ერთიანი დეფინიციის არარსებობისა, ქართულ კანონმდებლობაში, ერთგულების მოვალეო-

---

<sup>33</sup> Kraakman R., Davies P., Hansmann H., Hertig K., Kanda H., Rock E., The anatomy of Corporate Law, Oxford University Press, New York, 2003, 24.

<sup>34</sup> Knapp, Die Treuepflicht Der Aufsichtsratsmitglieder von Aktiengesellschaften und Direktors von Corporations, 2004, 72.

<sup>35</sup> Guth v. Loft, Inc. 5A.2D.503 (Del. Supr. 1939).

<sup>36</sup> Schreiber v. Ryan, 396 A.2d 512 (Del.Ch. 1978)

<sup>37</sup> ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 171.

ბის ცალკეული შემთხვევები მაინც გვხვდება. დირექტორებს პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების გამო.<sup>38</sup> ამ ნორმის ფართო განმარტების საფუძველზე შესაძლებელია იმავე დასკვნამდე მისვლა, თუმცა დირექტორის კეთილსინდისიერების კონტროლის მომწესრიგებელი ნორმა არ არსებობს, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.<sup>39</sup>

## 6. აქციონერთა სარჩელი

თანამედროვე საკორპორაციო სამართალში მტკიცედ მოიკიდა ფეხი კორპორაციების ორგანოების წინააღმდეგ აქციონერთა სარჩელის უფლებამ. ამერიკულ კორპორაციული მართვის სისტემაში აქციონერებს უფლება აქვთ, კორპორაციის მოთხოვნები საკუთარი სახელით წარადგინონ სასამართლოში, თუ ამ მოთხოვნებს კორპორაცია თვითონ არ იყენებს.<sup>40</sup> აქციონერთა დერივატიული სარჩელი ამერიკაში მეტად საკამათოა. ერთი მხრივ, იგი ითვლება დირექტორთა ძალაუფლების აუცილებელ კორექტივად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად დირექტორების მოვალეობათა განსახორციელებლად, ხოლო მეორე მხრივ, ხშირად ხდება ამ უფლების ბოროტად გამოყენება.

გერმანულ კორპორაციული მართვის სისტემაში, ამერიკულისაგან განსხვავებით, ვხვდებით ასეთი სარჩელის დაშვების ინსტიტუტს, რომელიც ზღუდავს ე.წ. „მძარცველი აქციონერების“ მიერ სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კვორუმის არსებობა, კერძოდ, სარჩელის დასაშვებობის ინიცირების უფლება აქვთ საწესდებო კაპიტალის 1 %-ის ან 100 000 ევროს მფლობელ აქციონერებს.

---

<sup>38</sup> „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>39</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას, სამართლის ჟურნალი, №1, 2013, 265.

<sup>40</sup> Merkt H., Göthel S., US-Amerikanisches Gesellschaftsrecht, 2. Auflage, 2006, Rn. 1031.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად.<sup>41</sup> როგორც ვხედავთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული სამართალი ამერიკული საკორპორაციო სამართლის გავლენას იზიარებს, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში მისი გამოყენების შემთხვევები მაინც არ არსებობს, რაც უცნაურია იმდენად, რამდენადაც ქართული საკორპორაციო სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, დერივატიულ სარჩელს არ უყენებს დასაშვებობის წინაპირობებს და ლიბერალურ მიდგომას ავითარებს.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების მართვის დონე გასულ წლებთან შედარებით მეტნაკლებად ამაღლდა, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში კორპორაციული მართვა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საერთაშორისო პრაქტიკას.<sup>42</sup> მიზანშეწონილია, კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების დანერგვა და მართვის ორგანოთა უფლებამოსილებათა მკვეთრი განაწილება, რაც განაპირობებს ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.<sup>43</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ მომზადებული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის სრულყოფის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა სამეთვალყურეო საბჭოს პროფესიონალიზაციის უზრუნველყოფას. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქცია კი არ განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო წინაპირობებს.

აუცილებელია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა შეიმუშაოს ნორმა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეალურ

---

<sup>41</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>42</sup> ეუჭავა კ., კორპორაციულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში, კორპორაციული მართვა, ყოველკვარტალური ბიულეტენი, ინვარი-მარტი, №12, 2008, 4-5.

<sup>43</sup> მაჭავარიანი ს., პასუხისმგებლობა კორპორაციულ ჯგუფში აშშ-ისა და გერმანიის სამართლის მიხედვით და მისი პრინციპების ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში, სამართლის ჟურნალი, №1, 2013, 137.



დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. დირექტორთა საქმიანობის მონიტორინგის, ინტერესთა კომფლიქტის აღკვეთისა და კორპორაციაზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაბალანსების განხორციელების მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების უნარი გააჩნდეს. ხშირ შემთხვევაში ობიექტურობა მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარკვეული რაოდენობა არ მუშაობდეს კომპანიაში, ან მის შვილობილ საწარმოში. მართალია, ეს საკითხი ბანკებისათვის მოაწესრიგა კორპორაციული მართვის კოდექსმა, თუმცა ამ ნორმებს არ აქვთ სავალდებულო ძალა. მიზანშეწონილია, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად შეიცვალოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ოდენობა და განვითარდეს ერთგულების პრინციპისა და მოვალეობის ლეგალური დეფინიცია.

# ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ურთიერთმიმართება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

## ქეთევან ჯანგველაძე\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

**სერგი ჯორბენაძე**

*ასისტენტ-პროფესორი*

### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აგებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, ამიტომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მეტად საინტერესო და აქტუალურია ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლების ანალიზი, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი ურთიერთმიმართება ხელშეკრულების მოშლასთან. განსაკუთრებული ყურადღება კი გვინდა გავამახვილოთ ამ ორი ინსტიტუტის დამდგარი სამართლებრივი შედეგების ანალიზზე. ამავე დროს, ხელშეკრულებებში ხშირად არის არეული ტერმინები: „ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულების მოშლა“. ასეთ დროს სასამართლო, ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ადგენს, რომელ ინსტიტუტს გულისხმობენ მხარეები. განსხვავების დადგენა აუცილებელია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტები ნაკლებად არის ერთმანეთისგან გამიჯნულნი და სწორედ ამის გამო სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები არასწორად იყენებენ ამ ცნებებს. ამდენად, ნაშრომის მიზანია, ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების გაანალიზება და მათი მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა, არსებული ხარვეზების განხილვა და სამომავლოდ მათი გამოსწორებისთვის სწორი გზების განსაზღვრა. რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, ამ

---

\* კაკასიის ინივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი.

კუთხით მეტად საინტერესო იქნება საერთაშორისოსამართლებრივი აქტების განხილვა, რომელიც სავალდებულო ძალის მქონეა საქართველოსთვის და, შესაბამისად, მათი შედარებითსამართლებრივი ანალიზი ხელს შეუწყობს განსახილველი ინსტიტუტების მიმართ უკეთესი ხედვის ჩამოყალიბებას, სამომავლოდ კი ქართული სამოქალაქო სამართლისთვის მისაღები სტანდარტების დანერგვის და მათი გამოყენების პერსპექტივის გაჩენას.

## **1. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები**

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და მართლწესრიგი უთუოდ გულისხმობს უმთავრესი პრინციპის – ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის დაუშვებლობასა და ვალდებულების რეალურ შესრულებას, მაგრამ ამ პრინციპის დაცვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი და ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგჯერ მონაწილეები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არღვევენ ხელშეკრულების პირობებს, იძულებული ხდებიან, ობიექტური ვითარების გამო, უარი თქვან ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 398-ე-399-ე მუხლები). შესაძლებელია ერთ-ერთმა მხარემ მნიშვნელოვნად დაარღვიოს ვალდებულება, რომელიც მეორე მხარეს მიანიჭებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ასეთი უარი დასაშვებია მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.<sup>1</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ცნებას და ამ უფლების წარმოშობის წინაპირობებს ადგენს სსკ-ის 405-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ“. ამ ნორმიდან შეგვიძლია გამოვყოთ ხელშეკრულებიდან გასვლის ცნების რამდენიმე ელემენტი: ა) ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა; ბ) ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი; გ) დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება; დ)

---

<sup>1</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 33-36.

ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვა. ყველა ამ ელემენტის არსებობა წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს.

ხელშეკრულებიდან გასვლა მოიხსენიება როგორც უარი ხელშეკრულებაზე, ანუ ისინი იდენტური ცნებებია. ხელშეკრულებიდან გასვლის ძალით ხორციელდება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის გაუქმება.<sup>2</sup> რაც შეეხება მის სამართლებრივ ბუნებას, იგი გახლავთ მიღებასავალდებულო ცალმხრივი გარიგება, ე.ი. მისი სამართლებრივი ძალისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა, თუმცა, ამავდროულად, ისიც საჭიროა, რომ ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვიდეს ხელშეკრულებიდან გამსვლელის გამოვლენილი ნება. ხელშეკრულებიდან გასვლა არის ე.წ. სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლება, რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს შეუძლია დამოუკიდებლად, სხვა პირის მონაწილეობისა თუ თანხმობის გარეშე მოახდინოს ზემოქმედება ხელშეკრულებით არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე.<sup>3</sup>

352-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. იგი გამოიხატება მხარეთათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებაში; 405-ე მუხლი კი ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წესს და სავალდებულო წინაპირობებს.<sup>4</sup> ამრიგად, 352-ე და 405-ე მუხლები ერთობლივად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის წესს.

ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება იყოს ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარჩენილი ნაწილის შესრულება კრედიტორისთვის აზრს კარგავს.<sup>5</sup> 405-ე მუხლით დადგენილია, რომ ხელშეკრულებაზე უარი ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტის არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი სავალდებულოდ არ მიიჩნევს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ბრალეულ დარღვევას, საკმარისია მხოლოდ დარღვევის ფაქტიც. ამ მოსაზრებას ამტკიცებს სსკ-ის 398-ე

---

<sup>2</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 504.

<sup>3</sup> ჭეჭვლაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 110.

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტუიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 432.

<sup>5</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 505.

მუხლი, რომელიც გარემოებების შეცვლის მოტივით უფლებას აძლევს მხარეებს, გავიღწიონ ხელშეკრულებიდან, თუკი ისინი ვერ შეთანხმდებიან შეცვლილ პირობებთან ხელშეკრულების მისადაგებაზე.<sup>6</sup>

ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა არ შეიძლება ჩავთვალოთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველად. საინტერესოა, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ, რა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დარღვევა. ეს საკითხი ალბათ უნდა გადაწყდეს კონკრეტული შემთხვევის შეფასების შედეგად. ზოგადად, მნიშვნელოვან დარღვევად უნდა განვიხილოთ ისეთი დარღვევა, რომელიც რეალურად უარყოფით გავლენას ახდენს შედეგზე, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე მხარეს უნდა მიეღო ვალდებულების შესრულების შედეგად.

ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუკი გარემოებები, რომლებიც გახდა ხელშეკრულების დადების საფუძველი, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა.<sup>7</sup> გარემოების შეცვლას უთანაბრდება ის შემთხვევაც, როდესაც წარმოდგენები, რომელთა საფუძველზეც ხელშეკრულება დაიდო, არასწორი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში მხარეები უნდა ეცადონ, ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს მიუსადაგონ, თუ ეს ვერ მოხერხდება, იმ მხარეს, რომლის ინტერესიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში გასვლის უფლება წარმოიშობა არა ვალდებულების დარღვევიდან, არამედ მდგომარეობის ობიექტური ცვლილების გამო. ობიექტურ ცვლილებებში იგულისხმება, რომ მისი გამომწვევი ფაქტორები არ ექვემდებარება ხელშეკრულების მხარეების კონტროლს და ხდება მათი ნებისგან დამოუკიდებლად, მაგალითად, ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა, ბაზარზე ფასების ცვლილება.

## 2. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები

როდესაც ვსაუბრობთ ხელშეკრულებიდან გასვლაზე, აუცილებელია განვსაზღვროთ მისი სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც დადგენილია

---

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანჭურუას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 385.

<sup>7</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 506.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან, ისე უშუალოდ კანონიდან. მხარეებს თავად შეუძლიათ გაითვალისწინონ ის გარემოებები, რომელთა არსებობისას ერთ-ერთ ან ორივე მხარეს მიეცემა უფლება, განაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.<sup>8</sup> ხშირად პრაქტიკაში ეს პირობები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებია. მაგალითად, საკრედიტო ხელშეკრულებებში მხარეები ბანკის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლად უთითებენ: ა) მსესხებლის მიერ კრედიტისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვის შეთანხმებული გრაფიკის ზედიზედ ორჯერ დარღვევას; ბ) მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების არსებობას, რომელმაც შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს საკრედიტო ვალდებულების შესრულება. გერმანული იურიდიული ლიტერატურა დასაშვებად მიიჩნევს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მხარეთა შეთანხმების დადებას უსიტყვოდ, კონკლუდენტური მოქმედებით. შესაბამისად, იგი რაიმე ფორმას არ საჭიროებს.<sup>9</sup>

რაც შეეხება კანონით დადგენილ წინაპირობებს, პირველ წინაპირობად შეგვიძლია დავასახელოთ შეტყობინება. იგი, მართლაც, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ შეტყობინების განუხორციელებლობა შესაძლოა გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი, თუ კონტრაპირების მხარე არ ეთანხმება მას.<sup>10</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეტყობინების ვალდებულება არ უნდა ავურიოთ სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ შეტყობინებასთან, რომელიც მოიაზრებს დამატებითი ვადის განსაზღვრის ან გაფრთხილების ვალდებულებას. სსკ-ის 355-ე მუხლით არ არის დადგენილი შეტყობინების სავალდებულო ფორმა. აქედან გამომდინარე, ის შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

რაც შეეხება დამატებით ვადასა და გაფრთხილებას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგი განსაზღვრულია სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანი არის მხარეთა შორის

<sup>8</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 113.

<sup>9</sup> Brox/Walker, Allgemeines schuldrecht, 32. Auflage, München, 2007, 156-157.

<sup>10</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 506.

არსებული ურთიერთობის შენარჩუნება. ამრიგად, უპირატესობა ენიჭება ვალდებულების შესრულებას და არა სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას. ამასთანავე, განსაზღვრული ვადა უნდა იყოს გონივრული, ე.ი. შესაძლებელი უნდა იყოს იმ ვალდებულების შესრულება, რომლის შეუსრულებლობაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ვალდებულება, რომლის დარღვევაც არის ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი, უნდა იყოს არსებითი ხასიათის მატარებელი და ნებისმიერი ტიპის ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება განვიხილოთ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველად. დამატებითი ვადის დაწესება შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად. ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიულ წინაპირობას წარმოადგენს გაფრთხილება. იგი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამოყენებული იყოს დამატებითი ვადა. ასევე, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება. კერძოდ: ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას. მაგალითად, ა-მ დაღო ბ-სთან ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ბ-ს ა-სთვის უნდა მიეწოდებინა ზამთრის ფეხსაცმლები 1 დეკემბრამდე, რომლებიც, თავის მხრივ, ბ-ს უნდა გაეყიდა სხვა ქალაქში მოგების მიღების მიზნით. მიწოდების დროული შესრულების შემთხვევაში ბ კისრულობს ვალდებულებას, შეიძინოს ა-სგან ფეხსაცმლის კიდევ ერთი პარტია, რომელიც მისთვის მიწოდებულ უნდა იქნეს 1 იანვრამდე. ამ შემთხვევაში კრედიტორის მიერ განსაზღვრული ვადა წარმოადგენს კრედიტორისათვის შესრულების ინტერესს და მისი გადაცილების შემთხვევაში იგი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. გ) განსაკუთრებული საფუძველებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.<sup>11</sup> კანონმდებელი აღარ ტვირთავს მხარეებს დამატებითი ვადის დაწესებისა და გაფრთხილე-

<sup>11</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 432.

ბის ვალდებულებით. ხელშეკრულებიდან გასვლის ორმხრივი ინტერესის არსებობა გულისხმობს, რომ მხარეებისათვის სასურველი შედეგი ხელშეკრულებიდან გასვლაა.

### 3. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები

ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სამართლებრივ ინსტიტუტს, ხელშეკრულებიდან გასვლასაც ახასიათებს მისი სფეციფიკური შედეგები. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მისი მონაწილე მხარეებისთვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება (ნატურით დაბრუნება).

ხელშეკრულებიდან გასვლას შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი:

- მხარეთა მიერ მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება (ნატურით დაბრუნება);
- ფულადი ანაზღაურება ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში;
- ზიანის ანაზღაურება.

352-ე მუხლის შესაბამისად ნატურით დაბრუნება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგია. უნდა აღინიშნოს, რომ ის გამოიყენება ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ნატურით დაბრუნება. მასში იგულისხმება ფაქტობრივად მიღებული შესრულების დაბრუნება, ზუსტად იმ საგნის, რომელიც ერთმა მხარემ ხელშეკრულების შესაბამისად მიიღო მეორე მხარისაგან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხარეს არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა ნატურით დაბრუნებასა და ფულად კომპენსაციას შორის.

ფულადი კომპენსაციის ვალდებულების დაკისრება მოვალისთვის არ გულისხმობს იმას, რომ ფული შესრულებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია. ფულადი სახით კომპენსაცია ხორციელდება ერთადერთი მიზეზით – როდესაც განხორციელებული შესრულების და სარგებლის დაბრუნება შეუძლებელია ფიზიკურად, მათი შინაარსიდან გამომდინარე. ფულადი ანაზღაურების შემთხვევები ნატურით დაბრუნების ნაცვლად, განსაზღვრულია სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილით. პირველ შემთხვევას წარმოადგენს მდგომარეობა, როდესაც შექმნილის ხასიათიდან გამომდინარე



შეუძლებელი ხდება მისი დაბრუნება. მაგალითად, ერთი პირის მიერ მეორისათვის გაწეული მომსახურება. ფულადი ანაზღაურება გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც მიღებულს მეორე მხარე გამოიყენებს, გაასხვიებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს. ამ შემთხვევებში კრედიტორის ინტერესის გათვალისწინებით გამოიყენება ფულადი კომპენსაცია. თუმცა კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა. კერძოდ, ეს შემთხვევებია, თუ: ა) ხელშეკრულების საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა; ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა; გ) საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს, ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეს შესაძლებელია წარმოემვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ზოგადად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ვრცელდება არა ხელშეკრულებიდან გასვლის გამო წარმოშობილ ზიანზე, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დადგენილი ნატურით დაბრუნების ვალდებულების დარღვევაზე, რის შედეგადაც კრედიტორს მიაღდა ზიანი.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა დაწესდეს შესრულების ვადის გადაცილებისთვის. მისი წესები ძალიან ჰგავს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს, კერძოდ, მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი დრო და ამ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულების სანაცვლოდ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუმცა ეს მსგავსება საკმაოდ ზედაპირულია და მათ შორის დიდი განსხვავება არსებობს. კერძოდ ის, რომ სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სავალდე-

ბულო წინაპირობას არ წარმოადგენს დამატებითი ვადის განსაზღვრა მოკლისათვის. ეს არის მხოლოდ მხარის უფლება, რომელიც დამოკიდებულია მის ნებაზე.

#### **4. ხელშეკრულების მოშლა**

##### **4.1 არსი და ფუნქცია**

გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით მოქმედებს ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი მხოლოდ მომავალში შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით.<sup>12</sup> გრძელვადიანი ხელშეკრულების შესრულებისათვის არ არის საკმარისი მხარეთა მიერ ერთი მოქმედების განხორციელება, არამედ ასეთი ხელშეკრულებები მოითხოვს გარკვეული პერიოდის განმავლობაში განგრძობად შესრულებას.<sup>13</sup> გრძელვადიანი ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ხელშეკრულების მოშლის ფუნქცია არის არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნება, არამედ შესრულებაზე მომავალში უარის თქმა. ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებისათვის მხარემ უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წინაპირობები.

##### **4.2 ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები**

###### **ა) „პატივსადები საფუძველი“**

სსკ-ის 399-ე მუხლი გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლას, საპატიო მიზეზის არსებობას უკავშირებს. „პატივსადები საფუძველი“ ცნებას სსკ განმარტავს როგორც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ან დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოქმნილ სიტუაციას. პატივსადები საფუძველი აბათილებს ხელშეკრულების მოშლისათვის ხელშეკრულებით ან კანონით განსაზღვრულ ვადებს, რადგან მათი დაცვის შემთხვევაში შეიძლება მხარის ინტერესებს სერიოზული საფრთხე შეექმნას. თუ რა ჩაითვლება პატივსადებ მიზეზად, სასამართლო პრაქტიკის შეფასების სფეროა. პატივსადები საფუძველი შეცვლილ გარემოებათა შე-

<sup>12</sup> ჭკჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 109.

<sup>13</sup> იქვე, 116-117.

დეგად გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლილებებია, რომლებიც მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს რისკების გადანაწილებისას ხელშეკრულების დადების დროს.<sup>14</sup> გარემოების შეცვლა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ის გავლენას ახდენს მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. სსკ-ის 399-ე ხელშეკრულების მოშლის პატივსადებ მიზეზთა შორის ასახელებს მხარეთა ორმხრივ ინტერესს.<sup>15</sup> ამასთან, პატივსადები საფუძველი სამოქალაქო სამართალში არა მარტო ხელშეკრულების შეწყვეტის, არამედ ზოგჯერ მისი გაგრძელების საფუძველიც კი ხდება.<sup>16</sup>

### **ბ) ხელშეკრულების დარღვევა**

როგორც წესი, პატივსადები საფუძველი არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების დარღვევასთან, თუმცა სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 პუნქტი ხელშეკრულების მოშლის წინაპირობად განსაზღვრავს ასევე დარღვევასაც. თავისი შინაარსით პატივსადები საფუძველი ფართოა და ზოგიერთ შემთხვევაში დარღვევასაც მოიცავს. თუ არსებობს არსებითი დარღვევა, იგი ხდება ხელშეკრულების მოშლის არსებითი საფუძველი, თუმცა ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. ამასთან, დამატებითი ვადა ან გაფრთხილება არაა საჭირო, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება.

### **გ) დამატებითი ვადა და გაფრთხილება**

განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ორივე მხარეს შეუძლია, მოშალოს იგი მხოლოდ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ. თუ რამდენი ხნით ადრე უნდა მოხდეს გაფრთხილება, ეს დამოკიდებულია ხელშეკრულების ხასიათსა და იმ მხარეზე, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების მოშლას. როდესაც საქმე ეხება ხელშეკრულების

---

<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 231.

<sup>15</sup> იქვე, 232.

<sup>16</sup> იქვე, 413.

მოშლის ისეთ საფუძველს, როგორცაა დარღვევა, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისათვის მიცემული ვადის უშედეგო გასვლის ან გაფრთხილების შემდეგ. თუ დარღვევა აშკარად არსებითია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უბრალოდ გაფრთხილება ყოველგვარი ვადის დაწესების გარეშე. აუცილებელია იკვეთებოდეს, რომ ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან დამატებითი ვადის ამოწურვამდე არის შეუძლებელი.<sup>17</sup>

## **5. ხელშეკრულების მოშლის შედეგები**

### **5.1. ხელშეკრულების მოშლის ზოგადი შედეგები**

ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება სამომავლოდ შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით, ამიტომ მიღებული შესრულების უკან დაბრუნება, კერძოდ, რესტიტუციის რეჟიმი გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, როგორც წესი, არ ვრცელდება. ხელშეკრულების მოშლის შედეგად მთავრდება მხარეთა ვალდებულების შესრულების მოვალეობა მოშლის მომენტიდან.<sup>18</sup>

### **5.2. ხელშეკრულების მოშლის შედეგები – გამონაკლისი ზოგადი წესიდან**

#### **5.2.1. რესტიტუცია ხელშეკრულების მოშლისას**

ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი: როდესაც ხელშეკრულების მოშლის შედეგად შესრულება აღარ არის საინტერესო უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ხელშეკრულების მოშლა ამ შესრულებაზე შეიძლება გავრცელდეს.<sup>19</sup> გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების მოშლასაც შეიძლება მიეცეს უკუძალა ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავსად. ასეთ შემთხვევაში მოშლაზე გავრცელდება 352-ე და 354-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებს, კერძოდ, თუ ხელშეკრულების მოშლას აქვს უკუძალა, მაშინ შესრულება დაბრუნდება ნატურით.

---

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე, 414.

<sup>19</sup> იქვე, 415.

## 5.2.2. ზიანის ანაზღაურება

ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, თუ არსებობს მოვალის ბრალი, ზიანი ანაზღაურდება სსკ-ს 407-ე მუხლით დადგენილი წესების მიხედვით.

საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 სექტემბრის განიხილება საქმეზე 3კ/672-02, სადაც უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც გამოიყენა სსკ-ის 399-ე მუხლი და პატივსაღები მიზეზის საფუძველზე მიიჩნია ხელშეკრულების მოშლა სწორად, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის წარმოდგენილი ურთიერთობა არ მიეკუთვნებოდა გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობას. ამასთან, უზენაესი სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც საერთოდ არ ჩათვალა სსკ-ის 405-ე მუხლის გამოყენება მიზანშეწონილად, მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის არარსებობის გამო. ამდენად, იმ ფაქტმა, რომ ვალდებულება არ იყო დარღვეული, კრედიტორს არ მიანიჭა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და არც სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე პატივსაღები მიზეზით შეიძლება ხელშეკრულების შეწყვეტა, ვინაიდან მხარეები არ იმყოფებოდნენ გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში.<sup>20</sup>

## 6. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ურთიერთმიმართება

ამ ორი სამართლებრივი რეჟიმის ურთიერთგამიჯვნისთვის საინტერესო იქნება ყურადღება გამახვილდეს მათი წარმოშობის იმ წინაპირობებზე, რომლებიც გვაჩვენებს ორი სხვადასხვა ინსტიტუტის როგორც მსგავსებას, ისე განსხვავებას.

გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთი წინაპირობა, რასაც სსკ-ის 399-ე მუხლი აწესებს, არის პატივსაღები საფუძველის არსებობა. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლელ მხარეს მხოლოდ მეორე მხარისთვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ დამატებითი ვადის დაწესების

---

<sup>20</sup> <<http://prg.supremecourt.ge/>> [04.05.2015].

გარეშე შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ უკანასკნელ შემთხვევებს განსაზღვრავს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ხელშეკრულებიდან გასვლისას საინტერესოა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევა, როდესაც მხარე უფლებამოსილია, ხელშეკრულებიდან გავიდეს დაუყოვნებლივ. შესრულების შეუძლებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია იყოს ობიექტური, სუბიექტური თუ ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული. ვადის დაწესების გარეშე გასვლა ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევაში. მათი სამართლებრივი ხასიათის გათვალისწინებით, გარკვეულწილად შესაძლოა მსგავსება დავინახოთ შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლასა და გრძელვადიანი ხელშეკრულების პატივსადები საფუძველით მოშლისას. ორივე შემთხვევაში იქმნება ისეთი გარემო, რომ მხარეს აღარ შეუძლია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ხოლო დამატებითი ვადის დანიშვნა აზრს კარგავს, ვინაიდან მისი დანიშვნის მიზანი ვალდებულების შესრულებაა, მოცემულ შემთხვევაში კი შესრულების პერსპექტივა აღარ არსებობს. გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტისთვის აუცილებელია შეტყობინება მიუვიდეს მეორე მხარეს, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს, რომ აუცილებელია, ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ვალდებულება არ შესრულდეს ან/და ხელშეკრულება დაირღვეს. აღნიშნულით, უბრალოდ, მხარეები გამოხატავენ, რომ მათ აღარ სურთ შემდგომი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება.

ხელშეკრულების მოშლისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვერ განხორციელდება, თუ არ არის სახეზე ვალდებულების დარღვევა. გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლისთვის ვალდებულების დარღვევა არ არის ერთადერთი წინაპირობა, რასაც ვერ ვიტყვით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე. აღნიშნული შემთხვევა ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია.

ამასთანავე, ვალდებულების დარღვევა არის ის საერთო საფუძველი, რაც ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტების მსგავსებას განაპირობებს. ორივე შემთხვევაში აუცილებელია, დარღვევა იყოს მნიშვნელოვანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა, ისე ხელშეკრულებიდან გასვლა

არ არის დამოკიდებული „ბრალეულობის პრინციპზე“, ანუ შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა იმისგან დამოუკიდებლად, ბრალეულია თუ არა ხელშეკრულების დამრღვევი მხარე<sup>21</sup>.

## 7. საერთაშორისო სამართლებრივი აქტების განხილვა და მათი შედარებითი ანალიზი

საინტერესოა, თუ როგორ რეგულირდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის 11 აპრილის კონვენციით, რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციაში ტერმინი – „ხელშეკრულებიდან გასვლა“ – არ გამოიყენება, თუმცა მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გასვლის და არა ხელშეკრულების შეწყვეტის რეჟიმს. ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კონვენციითაც დადგენილია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის უმთავრესი წინაპირობა ვალდებულების დარღვევაა, თუმცა კონვენციის თანახმად, მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა არის ფუნდამენტური ხასიათის.

ხელშეკრულებიდან გასვლა ანუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა, კონვენციის მიხედვით, უნდა დაგყოს, ერთი მხრივ, ხელშეკრულების არსებითი დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნად და, მეორე მხრივ, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნად ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო.<sup>22</sup> კონვენციის 49-ე მუხლით განსაზღვრულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეუძლია მხარეს განახორციელოს მეორადი მოთხოვნის უფლება. მხარეს ხელშეკრულებიდან

---

<sup>21</sup> მაჯარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2008, 157.

<sup>22</sup> „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის 11 აპრილის კონვენცია.

გასვლის უფლება ენიჭება, თუ ხელშეკრულებით ან კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა გამყიდველის მიერ მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას ან თუ გამყიდველი არ მიაწოდებს საქონელს კონვენციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მყიდველის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში, ან განაცხადებს, რომ ვერ მიაწვდის საქონელს ამ წესით დადგენილ ვადაში.

კონვენციის 49-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს მყიდველს, ერთი მხრივ, გათავისუფლდეს ნასყიდობის საგნისგან, შესაბამისად, მასზე თავდაპირველად დაკისრებული საპასუხო შესრულებისგან და, მეორე მხრივ, მოთხოვოს დამდგარი ზიანის მთელი ოდენობით ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის კომბინაციას ასევე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

ევროპული სახელშეკრულებო სამართალი არ აწესებს მყარ მიჯნას „ხელშეკრულების შეწყვეტასა“ და „ხელშეკრულებიდან გასვლას“ შორის, ანუ არ არსებობს მკაცრად გავლებული ზღვარი ხელშეკრულებიდან გასვლას, რომლის შემდეგაც მხარეებს უნდა აღუდგეთ წინანდელი მდგომარეობა და ხელშეკრულების შეწყვეტას შორის, როდესაც მხარეები ყველა მომდევნო ვალდებულებისგან თავისუფლდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სამართალში „შეწყვეტა“ ფარავს ორივე ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ შედეგს, კანონმდებელმა მიაგნო გამოსავალს. ხელშეკრულების შეწყვეტის, როგორც მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია კრედიტორს მოვალის მხრიდან არსებითი დარღვევის შემთხვევაში. არსებითი იქნება დარღვევა, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არსებითად ათმევს კრედიტორს იმას, რისი მიღების უფლებაც ჰქონდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარეს არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა, რომ ვალდებულებას ვერ შეასრულებდა.<sup>23</sup>

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით, შეწყვეტა ორივე მხარეს ათავისუფლებს მომავალი ვალდებულებებისგან. ამასთან, იგი არ ეხება იმ შესრულებას, რომელიც მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე. აღნიშნული დანაწესი ემსგავსება საქართველოს

---

<sup>23</sup> ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, ზ. ჭეჭვლაშვილის თარგმანი, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბილისი, 2004, 54.



სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტის რეჟიმს, რა დროსაც უკვე მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს არ უბრუნდებათ, თუმცა აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი. გამონაკლისი ეხება – რესტიტუციის ვალდებულებას და იმ შესრულების უკან დაბრუნებას, რომელსაც არ მოჰყვა შემხვედრი შესრულება. ეს გამონაკლისი ეფუძნება საერთო სამართლის დოქტრინას.<sup>24</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპები არ მიუთითებს კონკრეტულად ხელშეკრულების შეწყვეტისა ან ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტზე, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ევროპულ კერძო სამართალში არსებული „ხელშეკრულების შეწყვეტა“ თავის თავში მოიცავს ორივე სამართლებრივ რეჟიმს.

## დასკვნა

გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტების განხილვამ ცხადყო მათი გამოიჯენის პრობლემური ხასიათი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ორი სამართლებრივი რეჟიმის შედარება და მათი მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა. აღნიშნული საკითხი აქტუალური და პრობლემურია ქართულ სამოქალაქო სამართალში იმდენად, რამდენადაც კოდექსში არსებულ ხარვეზებთან ერთად ხშირია პრაქტიკაში მათი აღრევა, რაც თავისთავად სამოქალაქო სამართლის სუბიექტს უსამართლო მდგომარეობაში აყენებს. სტატიაში ძირითადად ყურადღება გამახვილდა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის წარმოშობის იმ წინაპირობებზე, რომლებიც ამ ორ ინსტიტუტს განასხვავებს. როგორც წესი, ეს ორი ინსტიტუტი გამოიყენება განსხვავებული ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება გრძელვადიანი ხელშეკრულებების დროს, როდესაც მხარეებს აკავშირებთ ხანგრძლივი სახელშეკრულებო ურთიერთობები, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობისთვის, ხელშეკრულების

---

<sup>24</sup> ფიფია, ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, 119.

გრძელვადიანი ხასიათი არაა საჭირო. საკმარისია არსებობდეს ორმხრივი ხელშეკრულება და დადგეს ის წინაპირობები, რაც მეორადი უფლების განხორციელებას სჭირდება. განხილული ორი ინსტიტუტის ყველაზე მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის სამართლებრივი შედეგები. თუ მხარეთა ან სასამართლოს მიერ არასწორად შეფასდება სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა და გამოყენებულ იქნება ის სამართლებრივი რეჟიმი, რაც კონკრეტული ურთიერთობისთვის შეუსაბამო იყო, მხარეები მოექცევიან არასათანადო პირობებში, რასაც, წესით, მათი სამართლებრივი მდგომარეობა არ ითვალისწინებდა. ამრიგად, კანონმდებლისთვის შესაძლებელია შეთავაზებულ იქნეს რამდენიმე რეკომენდაცია სსკ-ის სრულყოფის მიზნით:

1. სსკ-ს 491-ე მუხლის სათაურია „ხელშეკრულების მოშლა,“ მაშინ, როდესაც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს 352-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ 491-ე მუხლი გულისხმობს ხელშეკრულებიდან გასვლას, ამიტომ მუხლის სათაურიც უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

2. სსკ-ს 492-ე მუხლის თანახმად, „თუ მყიდველი არ ითხოვს არც ნაკლის გამოსწორებას, არც ხელშეკრულების მოშლას, შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება.“ ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულებიდან გასვლა იგულისხმება, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიც არ არის დაკავშირებული მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან, გამოიყენება გასვლა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება ჩაიწეროს: „ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი).“

# დანაშაულის ფსიქოლოგიური ასპექტები

## სალომე კავთელაძე\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი*

**გიორგი ლორია**

*სამართლის დოქტორი,*

*ასოცირებული პროფესორი*

### შესავალი

ცნება „დამნაშავე“, როგორც იურიდიული ტერმინი, ასახავს ადამიანის არა რაიმე განსაკუთრებულ კრიმინალურ მახასიათებლების არსებობას, არამედ იმ ფაქტს, რომ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული. ეს ცნება მნიშვნელოვნად განსხვავდება „დამნაშავე ადამიანისგან“, რომელიც გამოიყენება იდეის – დაბადებიდან დამნაშავეს მომხრეების მიერ.<sup>1</sup>

აზრთა სხვადასხვაობას საფუძველად დაედო ის, რომ მეცნიერთა ნაწილი გარესამყაროს ადამიანზე პირდაპირ ზემოქმედებას ემხრობოდა და ადამიანის განვითარებას განიხილავდა როგორც განპირობებულს გარემოცული პირობებით. მეორენი კი, პირიქით, ადამიანის ცხოვრებაში ბიოლოგიური ფაქტორის როლს უზომოდ აზვიადებდნენ. ამ დებულებებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიური და სოციალური მიმართულებები.

სოციოლოგიური სკოლა საზოგადოებრივ მეცნიერებებზე იყო დამყარებული, ანთროპოლოგიური კი მედიცინასა და ბიოლოგიაზე. გაჩნდა შუალედური მიმართულებაც, როგორც სოციოლოგიურისა და ანთროპოლოგიურის მექანიკური გაერთიანების შედეგი და მას ბიოსოციალური ეწოდა.

ამ მიმართულებების გაჩენა კლასიკური სკოლის „ლიკვიდაციასთან“ მჭიდრო კავშირშია, რადგან იგი იმ დროისთვის წაყენებულ მოთხოვნებს აღარ პასუხობდა. ეს სკოლა XVIII-XIX საუკუნის საზოგადოებისთვის ტიპურ „იურიდიულ მსოფლმხედველობას“ ეყრდნობოდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას დამნაშავეს ვინაობას

\* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი.

<sup>1</sup> ამინოვი ი. ი., იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 2014, 110.

არ ითვალისწინებდა. კლასიკური სკოლის დოქტრინის, მისი მკაცრი სამართლებრივი სქემის – „დანაშაული-სასჯელი“ – წინააღმდეგ სწორედ ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლები გამოვიდნენ.<sup>2</sup>

ანთროპოლოგიური მიმართულების ყველაზე ნათელი წარმომადგენელი ჩეზარე ლომბროზოა. მას სურდა, დამნაშავის ანატომიური და ანთროპომეტრიული, ასევე, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ნიშნების საფუძველზე დამნაშავეობის ბუნება აეხსნა. ბიოლოგიური ფაქტორების შესწავლა მისთვის საკმარისი იყო, ადამიანში დამნაშავე რომ ამოეცნო, თუმცა იგი ითვალისწინებდა ადამიანის აღზრდასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ თვისებებს.

ლომბროზო დამნაშავეებს მტაცებლებად მიიჩნევდა, რომლებსაც უჭირთ ჩვეულებრივ ადამიანურ პირობებთან შეგუება და ფსიქო-ფიზიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, მხოლოდ მკვლელობა, ძარცვა და ძალადობა შეუძლიათ. მისთვის დამნაშავეების გამოსწორება, ანუ წესიერ ადამიანად ქცევა წარმოუდგენელი იყო.

ადამიანის დამნაშავეობის განსჯის უფლებას, ლომბროზოს აზრით, ტანის, თავის, კიდურების, პირის, თვალების, ცხვირის გარეგნული ნიშნები იძლეოდა. „დამნაშავის ტიპის“ ადამიანის თავისებურებების გამოვლენა ადრეულ ასაკშია შესაძლებელი. ლომბროზოს ეკუთვნის ტერმინი „დამნაშავედ დაბადებული“, რომელიც, მისივე აზრით, საზოგადოებისგან უნდა განვაცალკევოთ.<sup>3</sup>

დანაშაულის ბუნებას ადამიანის ბიოლოგიური თავისებურებებით ხსნის ზიგმუნდ ფროიდიც. მან „დამნაშავედ დაბადებულის“ თეორიაში სიახლე შეიტანა. ლომბროზოსგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანთა რაღაც ნაწილი იბადება დამნაშავედ, ფროიდი თვლიდა, რომ დამნაშავედ უკლებლივ ყველა ადამიანი იბადება. უბრალოდ, უმეტესობა დამნაშავედ არ ყალიბდება, რადგან ბუნებრივ ინსტინქტებს ინტელექტი ახშობს.

---

<sup>2</sup> ავანესოვი გ. ა., კრიმინოლოგია, ნ. დ. ერიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 81-89.

<sup>3</sup> ლომბროზო ჩ., დანაშაული, მეცნიერების უახლესი წარმატებები დამნაშავის შესახებ, ანარქისტები, მოსკოვი, 2004.

თუკი ასეთი რამ არ ხდება, ნევროტიკული კონფლიქტი წარმოიქმნება, რომლის გარეგნული გამოვლინებაც დანაშაულია.<sup>4</sup>

სოციოლოგიური მიმართულების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ფრანგი სოციოლოგი *ვაბრიელ ტარდი*. იგი უარყოფს ცნებას – „დამნაშავედ დაბადებული“ და საზოგადოებრივი მოვლენების ფორმირებაში ინდივიდუალური ქცევის როლს სოციოლოგიური მიმართულებით ავითარებს.

*ტარდი* ინდივიდუალური ქცევის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დამნაშავე ტიპი შესაძლებელია მიბაძვის შედეგად ჩამოყალიბდეს. მისი აზრით, ადამიანები მიდრეკილნი არიან მიბაძვისკენ. „ყველაფერი რაც გენიალურია, ინდივიდუალურია, დანაშაულის საქმეშიც კი“, რაც ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეთა შორისაც არიან გამორჩეული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რომლებიც გენიალურად ასრულებენ ჩანაფიქრს, ამიტომ მათ მიერ ჩადენილი ძარცვის თუ მკვლელობის ყველაზე რაფინირებული ფორმები შეიძლება მიბაძვის ობიექტი გახდეს.

თავისი კვლევებით *ტარდი* იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოციალური პირობების შეცვლასთან ერთად „კრიმინალურობაც“ შეიცვლება, რადგან, ინდივიდუალური ქცევის ფორმირებასთან საზოგადოების როლი პირდაპირ კავშირშია.<sup>5</sup>

განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, დამნაშავეობის მიზეზობრივი კომპლექსის კვლევისას, ცხადია, რომ მხოლოდ იურიდიული საშუალებები და მეთოდები არ შეიძლება იყოს საკმარისად სასარგებლო. ხშირად ანტი-საზოგადოებრივი ქმედება ფორმალურად ექცევა სისხლის სამართლის კოდექსის ქვეშ, რადგან დამნაშავის შეურაცხადობის გამო ის დანაშაულად არ მიიჩნევა, ამიტომ დამნაშავეობის მიზეზების კვლევისთვის საჭიროა ადამიანის შესახებ ცოდნის ისეთი სფეროების გამოყენება, როგორცაა ფსიქოლოგია და მედიცინა.

---

<sup>4</sup> ავანესოვი გ. ა., კრიმინოლოგია, ნ. დ. ერიაშვილის რედაქციით, თბილისი, 2007, 81-87.

<sup>5</sup> ტარდი გ., დამნაშავე და დანაშაული, შედარებითი დამნაშავეობა, ხალხის დანაშაულბანი, მოსკოვი, 2004, 53-54.

## 1. გენეტიკის გავლენა დანაშაულზე

დამნაშავეობის განსაზღვრაში სოციალური და ბიოლოგიური თანაფარდობის ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ ფსიქიკის შინაარსობრივი მხარე, ანუ ყველაფერი, რაც პიროვნებას შეიძლება ახასიათებდეს - მისი მსოფლმხედველობა, ზნეობრივი და ეთიკური ფასეულობანი, მიზნები, სწრაფვა, ინტერესები, ინტელექტი და ნებელობა, არ არის განპირობებული გენოტიპით. ეს ნიშნები სოციალური წარმომავლობისა და მხოლოდ სოციალური მექანიზმების წესით თუ გადაეცემა თაობიდან თაობას. ისინი გენში კოდირებული არაა.<sup>6</sup>

ფსიქიატრიისა და ფსიქო-პათოლოგიის მონაცემების მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობაში დადებითი სოციალური თუ ნერვულ-ფსიქიკური თვისებები ჭარბობს უარყოფითს, თუმცა ვხვდებით საპირისპირო შემთხვევებსაც. სწორედ მსგავსი თანაფარდობის ადამიანები არიან ცალმხრივი, დისპარმონიული პიროვნებები. მეცნიერები აღნიშნავენ: „ზოგიერთი სამართალდამრღვევი ფსიქიკური გაუწონასწორებლობისა და შინაგანი შეუგუებლობის გამო განიცდის უხერხულობას ნორმალური, მშვიდი ცხოვრების პირობებში. მათ მოსწონთ მწვავე სიტუაციები, ადამიანთა ტანჯვა და ა.შ. ისინი ნებისმიერ საბაბს იყენებენ კონფლიქტური სიტუაციის შესაქმნელად“. ასეთი ქცევა ფსიქიკური ანომალიებისგან არის გამოწვეული, რომელიც აზროვნების დარღვევას, მეხსიერების არევას, ადამიანის ფსიქიკის მოშლას უკავშირდება.<sup>7</sup>

ანტისაზოგადოებრივ ქცევაზე განსაკუთრებით შესამჩნევ გავლენას სწორედ ეს ფაქტორები ახდენენ. მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების ფსიქიკა, რომლებსაც თან სდევთ აშკარა „არაადამიანური“ მოქმედებები, შეიძლება თავიდანვე დარღვეული იყოს გენეტიკური ან და სხვა გადაზრების გამო. განზრახვითი დანაშაულის ჩამდენი პირების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მათ უმრავლესობას ფსიქიკური პრობლემები აღენიშნება. მსჯავრდებულთა შორის, მაგალითად, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა, მძიმე სხეულის დაზიანებები და გაუპატიურებები, ფსიქიკური ანომალიების

<sup>6</sup> ადამიანის გენეტიკური ფსიქოლოგიის პრობლემები, მოსკოვი, 1978, 7 .

<sup>7</sup> ზეიგარნიკი ბ. ვ., პათოფსიქოლოგია, მოსკოვი, 1976, II; ემილიანოვი ბ. პ., ფსიქიკური ანომალიების მქონე არასრულწლოვნების დამნაშავეობა, სარატოვი, 1980.

მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალ პროცენტს აღწევს.

დამნაშავეობრივი გენის შესახებ თეორიას მეცნიერული დასაბუთება არ აქვს, თუმცა დანაშაულის ფსიქოლოგიის შესწავლისას კრიმინოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მემკვიდრეობით დაავადებებს. კერძოდ, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი ადამიანის პათოლოგიაში მემკვიდრეობითი (თანდაყოლილი) ფაქტორების არსებითი როლის შესახებ. მემკვიდრეობით დაავადებებს ხშირად მიეყვაროთ ხასიათის და, აგრეთვე, აზროვნებისა და ადამიანის მოქმედების დეფორმაცია მდე. ამ დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი სახის პათოლოგია მთლიანად აზიანებს პიროვნებას, ცვლის მის აზროვნებას, მოთხოვნილებების სისტემას, ემოციებს და ა.შ.

## **2. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური წინაპირობები; განდგომისა და შფოთვის ფენომენი**

დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ წინაპირობად შეიძლება ჩავთვალოთ განდგომისა და შფოთვის ფენომენი. მეცნიერთა მოსაზრებით, სოციალურ-ფსიქოლოგიური განდგომა ხშირად მშობლების მიერ გამოჩენილი გულგრილობის ან ოჯახის მიერ უარყოფის შედეგია. პიროვნების საერთო არასასურველ მიმართულობას აყალიბებს საზოგადოებისგან განცალკევებული და ემოციური კონტაქტების არარსებობა.

დიდი კრიმინოგენურობა გააჩნია პიროვნების შფოთვის ფენომენსაც, რომელიც უსაფუძვლო შიშის არსებობითაა გამოწვეული. შფოთვა შეიძლება წარმოიქმნას საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გამუდმებული შეგრძნებით, გარეგანი ფაქტორების წინაშე უძლეურობით და მათი სიძლიერის გაზვიადებით. მაშინ, როცა ადამიანს ახასიათებს ძლიერი შფოთვა და იგი უსაფრთხოების სუბიექტური მუქარის შეფასებას იწყებს, მან შეიძლება მიმართოს ძალადობას იმ ადამიანების ან მოვლენების მიმართ, რომლებსაც იგი საშიშად აღიქვამს. ასეთ შემთხვევაში, ადამიანი ჩადის დანაშაულს, რათა არ დაამსხვრიოს წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ ადგილზე სამყაროში და შეძლოს სოციალური არსებობის გაგრძელება.

ძლიერი შფოთვის წინაშე უძლეური პიროვნებისთვის ხშირად დამანასიათებელია ფსიქოლოგიური დაცვა, რაც მდგომარეობს არასასურველი ინფორმაციის ცნობიერად ან ქვეცნობიერად სპეციფიკურ გადამუშავებაში.

ფსიქოლოგიური დაცვის საშუალებით შესაძლებელია საკუთარ თავზე არასასურველი ინფორმაციის ზემოქმედების განეიტრალება. ამრიგად, პიროვნება ქვეცნობიერად თავს იცავს ბრალდებისა და თვითბრალდებისაგან, რაც მას ერთიანობის შენარჩუნებასა და საკუთარი „მეს“ დადებითად შეფასებაში ეხმარება.

ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი შესაძლოა დავაკავშროთ იმ ფაქტთან, რომ არსებული ნორმატიული სისტემა, ზნეობრივი ნორმების მსგავსად, არ არის მკაცრი წესების კრებული, რომლის შესრულებაც ნებისმიერ ვითარებაში ყველასთვის აუცილებელია. მაგალითად, არის მცნება – „არა კაც ჰკლა“, მაგრამ იგი არ ვრცელდება ომში ჯარისკაცების მოქმედებაზე. ანალოგიური პრინციპით სისხლის სამართლის კანონსაც ახასიათებს მოქნილობა. არსებობს ნორმები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავენ. კერძოდ, ესენია: შეურაცხადობა, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და ა.შ. ეს ფაქტი დამნაშავეს შესაძლებლობას აძლევს, გაავრცელოს შემარბილებელი გარემოებები თავისი კონკრეტული შემთხვევის მიმართ და დაირწმუნოს თავი საკუთარი მოქმედების სისწორეში. ასეთ გამართლებას *გ. საიქსი* და *დ. მათზა* ნეიტრალიზაციას უწოდებენ და თვლიან, რომ იგი ზორციელდება რამდენიმე გზით.

## 2.1. პასუხისმგებლობის უარყოფა

დამნაშავე ხშირად ცდილობს თავი წარმოიდგინოს როგორც რაიმე ზემოქმედების ობიექტი, გარემოს მსხვერპლი (ცუდი მეგობრები, ცუდი მშობლები, მატერიალური პრობლემები და ა.შ.) და ამით ნიადაგს იმზადებს ნორმიდან გადახვევისთვის.

რა საზარელიც არ უნდა იყოს ქმედების შედეგი, სუბიექტი არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუკი დადგენილი არ არის მისი დანაშაული (განზრახ ან გაუფრთხილებლობის სახით). სწორედ ამიტომ, დამნაშავე, რომელიც თავის ქმედებას და მის შედეგს არ უარყოფს, ცდილობს სხვას დააკისროს პასუხისმგებლობა ან დაამტკიცოს, რომ მას არ ჰქონდა ბოროტი განზრახვა.



## 2.2. ზიანის უარყოფა

დამნაშავეები ხშირად ცდილობენ, უარყონ თავინთი ქმედებით მიყენებული ზიანი ან ზარალი. ისინი ხშირად მიიჩნევენ ხულიგნობას უწყინარ სიცელქედ, ჩხუბს – ურთიერთობის გარკვევის საშუალებად ან მეზობლის ავტომობილის გატაცებას – უხეირო ხუმრობად. მათთვის თავის გასამართლებელი საბუთია ის, რომ მათმა ქმედებებმა არც ერთ ადამიანს საგრძნობი ზიანი არ მიაყენა. უფრო მეტიც, დამნაშავეების თვალსაზრისით, ნამდვილი ზიანი, თავად საკუთარ თავს (ციხეში მოხვდა) ან თავის ახლობლებს (დედამ შვილი – მარჩენალი დაკარგა) მიაყენეს.

დამნაშავეთა ნაწილი თავის ქმედებას მხოლოდ მატერიალური ზიანის მიყენებისას აღიქვამს დანაშაულად. ისინი უარყოფენ კანონში არსებული ფორმალური დანაშაულებების შემადგენლობას, რომელიც, შედეგის მიუხედავად, ითვალისწინებს ქმედებებზე პასუხისმგებლობას.<sup>8</sup>

## 2.3. მსხვერპლის არსებობის უარყოფა

დამნაშავეთა ფსიქიკის განსაკუთრებული თავისებურებაა ისიც, რომ ისინი ხშირად ამახვილებენ ყურადღებას მსხვერპლის პიროვნებაზე, რათა თავიანთი ქმედება წარმოაჩინონ როგორც სამართლიანი შურისძიების ან დასჯის აუცილებლობა. მათივე წარმოდგენით მსხვერპლი ბოროტმოქმედია, რომელსაც კეთილშობილი შურისმაძიებელი დამსახურებულად დასჯის. ამ ხერხს „რობინ ჰუდის კომპლექსსაც“ უწოდებენ. გამოკითხულ მსჯავრდებულთა შორის 45% თვლის, რომ უსამართლო ადამიანთან სამართლიანი არ უნდა იყოს; 57,3% მიიჩნევს, რომ უპატიოსნო ადამიანის მოტყუება შეიძლება.

დამნაშავეთა შორის ასეთი სტერეოტიპების არსებობას ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალურ-ეთიკური ნორმები. ხშირად ადამიანები აღფრთოვანებით ხვდებიან კრიმინალური წარსულის მქონე პირებისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, მაგრამ ეს სახიფათო პოზიციაა. იგი უარყოფს ადამიანის უფლებების ცნების განუყოფლობას და სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპს. სოციალური შერჩევის პროცე-

---

<sup>8</sup> ამინოვი ი. ი., იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 2014, 114-120.

სისტემის ხელის შეშლა მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი შეიძლება უფრო საშიში და სასტიკი დამნაშავეების რაოდენობრივ ზრდაში გადაიზარდოს.

## **2.4. მსჯავრმდებლების მსჯავრის დადება**

დამნაშავისთვის დამახასიათებელია ყურადღების გადატანა მისი მსჯავრმდებელი ადამიანების ქმედებებზე. დამნაშავე თავის თავს არწმუნებს, რომ ისინი, ვინც მას მსჯავრს დებენ, თავად არიან უსამართლონი. იგი ყოველთვის ცდილობს მოუძებნოს უარყოფითი მხარე მოსამართლესა თუ პოლიციელს და წარმოიდგინოს ისინი მექრთამეებად და სადისტებად.

დამნაშავეებს ხშირად ეუფლებათ პროტესტის გრძობა. ისინი ფიქრობენ, რომ მოხელეები იღებენ მრავალმილიონიან ქრთამებს, იშენებენ მდიდრულ აგარაკებს და დაუსჯელი რჩებიან. შედარებით უმნიშვნელო დანაშაულისთვის კი თვითონ წლობით უწევთ ციხეში ყოფნა. საზოგადოებას აღიქვამენ უსამართლოდ და, შესაბამისად, მის მიმართ მორალური ვალდებულებისგან თავს ითავისუფლებენ.<sup>9</sup>

## **3. ანგარებიანი დანაშაულები**

სხვადასხვა სახის დამნაშავეებს ახასიათებთ განსხვავებული ფსიქოლოგიური თავისებურებანი. განვიხილოთ ყველაზე ფართოდ გავრცელებული დანაშაულის ჩამდენი პირების ფსიქოლოგიური პორტრეტები:

### **3.1. ქურდები**

ყველაზე სოციალურად ადაპტირებულ დამნაშავეებად ქურდები ითვლებიან. მათი ფსიქოლოგიური თავისებურებანი მნიშვნელოვნად ნაკლებად არის გამოხატული. ქურდები ნაკლებად იმპულსურები და რიგიდულები არიან. მათ ახასიათებთ მოქნილი მოქმედებები და შიშსა და შფოთვის შედარებით დაბალი დონე. ქურდებისთვის იოლია ახალი კონტაქტების დამყარება, კომუნიკაბელურობის წყალობით იოლად ახერხებენ ახალი ნაცნობების შეძენას. ისინი არიან ნაკლებად აგრესიულნი, უკეთესად შეუძლიათ

---

<sup>9</sup> იქვე, 119.

საკუთარი თავისა და ემოციების კონტროლი. ყველაზე ხშირად ქურდები თავს ანებებენ დანაშაულებრივ საქმიანობას და პატიოსანი შრომით ცდილობენ ცხოვრების გაგრძელებას.

### 3.2. თაღლითები

მძარცველების, ქურდებისა და სხვა დამნაშავეებისაგან განსხვავებით თაღლითები გაცილებით „ინტელექტუალური“ არიან. მათ გააჩნიათ „არტისტიზმის“ ელემენტები. თაღლითები ხშირად კარგად ერკვევიან ფსიქოლოგიაში და ადვილად ერწყმიან ცხოვრების თანამედროვე პირობებს. ისინი ანგარების მიზნით იყენებენ ამა თუ იმ ცვლილებებს მოსახლეობის მომსახურების სფეროში, შესაბამისად, ხშირად ახალ-ახალ, პრაქტიკისთვის უცნობ დანაშაულის ჩადენის ხერხებსაც იგონებენ.

თაღლითი პიროვნებები გამოირჩევიან პარაზიტიზმისკენ მკვეთრად გამოხატული სწრაფვით. მათთვის დამახასიათებელია ცივისსიხლიანობა, თავის დაჭერის უნარი, ანგარიშიანობა. მათ უმრავლესობას უყვარს სპირტიანი სასმელების მოხმარება, სიცრუე, უხეშობა. ამასთან, უცნაურია, რომ იმ თაღლითებთან შედარებით რომლებიც ხელყოფენ მოქალაქეთა საკუთრებებს, სახელმწიფო საკუთრების მიმთვისებელ თაღლითებში დაბალია უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი, ზოგადი განათლების დონე და საშუალო ასაკი კი მაღალი.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა თაღლითი ქალების რაოდენობა. მაგალითად, მოქალაქეთა პირადი ქონების ხელში ჩაგდებისთვის სამართალში მიცემულთა რაოდენობის 34% ქალია, ისევე, როგორც სახელმწიფო ქონების ხელში ჩაგდებისთვის გასამართლებულ დამნაშავეთა 30%-ს ქალები წარმოადგენენ.<sup>10</sup>

*ჩეზარე ლომბროზო* ჩაუღრმავდა ქალთა დამნაშავეობის საკითხს. იგი დანტერესდა იმით, თუ რა უბიძგებს ქალს დანაშაულისკენ, რითი შეიძლება იყოს გამოწვეული ქალის ვერაგობის გასაოცარი გამომგონებულობა, სისასტიკის, ბიწიერებისა და სხვა უარყოფითი თვისებების შემთხვევითი თუ სისტემატური გამოვლინება და როგორ არიან ისინი დაკავშირებული ქალის ჭკუისა და ხასიათის თავისებურებებთან. *ლომბროზო*

<sup>10</sup> იქვე, 121-132.

ცალკე განიხილა თანდაყოლილი და შემთხვევითი დამნაშავე ქალები და ზოგადად, ქალის ფსიქოლოგიის თავისებურებები.

### 3.3. თანდაყოლილი დამნაშავე ქალები

*ლომბროზომ* თავისი კვლევების საფუძველზე დაასკვნა, რომ თანდაყოლილ დამნაშავე ქალებს უფრო მკვეთრად გამოხატული საერთო ნიშნები აღმოაჩნდათ, ვიდრე მამაკაცებს. თანდაყოლილი დამნაშავეები ქალები გამოირჩევიან უფრო ინტენსიური გაფუჭებულობით სხვა დამნაშავეებისგან, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დანაშაულამდე მიჰყავს გარეგან შთაგონებას და რომლებსაც ზნეობრივი გრძნობა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ.

„ვერავითარი სასჯელი ხელს ვერ უშლის ამ ქალებს ერთი დანაშაული მეორეს დააზვინონ და მათი გაფუჭებული გონება გაცილებით საზრიანია ახალი დანაშაულების მოგონებაში, ვიდრე სასამართლო ახალი სასჯელეების მოფიქრებაში (conrad ceefes)“.

*ლომბროზოს* ნაშრომთა მიხედვით, ქალთა დანაშაულები ხასიათდება ორი თავისებურებით: მათი მრავლობითობით და სისასტიკით. დანაშაულთა მრავლობითობა გულისხმობს თანდაყოლილი დამნაშავე ქალების მიერ არა ერთი, არამედ რამდენიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენას, რომლებიც მამაკაცებისათვის არაა დამახასიათებელი, სახელდობრ, მკვლელობა და მოწამვლა. თანდაყოლილ დამნაშავე ქალს ვერც იმ რაფინირებულ სისასტიკეში შეედრება რომელიმე დამნაშავე მამაკაცი, რომლითაც ის დანაშაულს ჩადის. მისთვის არასაკმარისია, რომ მისი მტერი კვდება, იგი ამ სიკვდილით უნდა დატკბეს.

რითი აიხსნება მსგავსი მხეცობა დამნაშავე ქალების ხასიათში? ნორმალურ ქალთან ტკივილის შეგრძობა მამაკაცთან შედარებით ნაკლებადაა განვითარებული, სხვისი ტანჯვისთვის თანაგრძნობა კი, როგორც ცნობილია, მასზეა პირდაპირ დამოკიდებული. ასე, რომ მას ადვილი არ აქვს იქ, სადაც ეს გრძნობა საერთოდ არ არსებობს. თანდაყოლილ დამნაშავე ქალს ბევრი საერთო აქვს ბავშვთან: მას სუსტად განვითარებული ზნეობრივი გრძნობა, ეჭვიანობა, გულღვარძლიანობა ახასიათებს და თავისი შურისძიების გამოხატვას რაფინირებული, სასტიკი ფორმით ცდილობს. ეს ის ნაკლოვანებებია, რომლებიც ნორმალურ ქალთან თანაგრძნობის გრძნობით,

დედობრივობით, ფიზიკური სისუსტით და ნაკლები სქესობრივი ენებიანობით ნეიტრალიზდება.

ბევრი დამნაშავე ქალისათვის გადაგვარების განსაკუთრებული მახასიათებელია დედობრივი სურვილის სრული არარსებობა. ისინი დაუფიქრებლად იმეტებენ შვილებს შიმშილით სიკვდილისთვის, კლავენ პირადი ინტერესისთვის, ეჭვიანობისა და შურის ნიადაგზე.

დამნაშავე ქალების უმეტესობისათვის დედობრივი სიყვარულის არარსებობის სხვა მტკიცებულებად გამოდგება ის გარემოება, რომ ისინი შვილებს ხშირად თავიანთი დანაშაულების თანამონაწილეებად აქცევენ. ასეთი ქალებისთვის საკუთარი შვილები უცხონი არიან და მათ მიმართ ზრუნვისა და სიყვარულის გამოხატვის ნაცვლად, საკუთარი ენებების იარაღად აქცევენ და ისეთ საფრთხეში აგდებენ, რომლისაც თავად ეშინათ.

თანდაყოლილი დამნაშავეების საფუძველია ორგანული ანომალია - ანუ ებილეპტიოტიური ნერვოზი, რომელიც გრძნობების ისეთ გაუკუღმართებას იწვევს, რომლის წყალობითაც ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედობრივ გრძნობას კარგავს მსგავსად მონაზუნისა, რომელიც ასეთ შემთხვევაში თავს ანებებს რელიგიურობას, ხოლო ჯარისკაცი კი - არ ემორჩილება დისციპლინას. მონაზონთან ეს პროცესი გამოხატულია ღვთისგმობაში, ჯარისკაცთან კი - თავისი უშუალო უფროსობისთვის შეურაცხყოფის მიყენებისკენ მისწრაფებაში.

თანდაყოლილი დამნაშავე ქალების დამახასიათებელ კიდევ ერთ ნიშანს წარმოადგენს შურისმაძიებლურობა. იგი ნორნალური ქალებისგან განსხვავებით დამნაშავეებში განვითარების უმაღლეს ხარისხს აღწევს და გამოიხატება წვრილმან გაღიზიანებებზე ძლიერი შეუსაბამო რეაქციით. დამნაშავე ქალში შურისძიების გრძნობა, დამნაშავე მამაკაცისაგან განსხვავებით, დღეების, თვეებისა და წლების მანძილზეც კი ნარჩუნდება, ვინაიდან შიში და ფიზიკური სისუსტე თავიდან შურისმაძიებლურობის დამაბუნრუჭებელ გარემოებას წარმოადგენს.

ხშირად ქალების მიერ სიძულვილისა და შურისძიების გამო ჩადენილ დანაშაულებებს რთული სარჩული აქვთ. დანაშავე ქალები ბავშვების მსგავსად ნებისმიერი სახის შენიშვნაზე მტკივნეულად რეაგირებენ. ისინი ძალიან ადვილად ექვემდებარებიან სიძულვილის გრძნობას და ცხოვრებაში მცირე წარუმატებლობაც კი დანაშაულის გზაზე დადგომისკენ უბიძგებთ. ისინი გარემომყოფების მიმართ სიძულვილს მაშინაც ავლენენ, როცა

ამისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობს. ამ ფაქტის ახსნა მხოლოდ მათი თანდაყოლილი, ბრმა ღვარძლიანობით შეიძლება. სიძულვილის გამოვლენის მსგავსად, ისინი ბოროტებასაც უმიზეზოდ ჩადიან, რაც დამახასიათებელია ეპილეპტიკებისა და ისტერიული ავადმყოფებისათვის. მათში სიძულვილი ავტომატურად იბადება, ამიტომ გამოსავალს ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ნახულობენ. მათ ყოველთვის სჭირდებათ მსხვერპლი, რომელზედაც შეძლებენ მთელი ბოღმის გადმონთხევას.

არცთუ ისე იშვიათად თანდაყოლილ დამნაშავე ქალებთან შეიმჩნევა მეტისმეტად კეთილი სწრაფვები, რომელიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის მათ გულქვაობასა და სიბოროტესთან. რეალურად კი საქმე გვაქვს დროებით, წარმავალ ალტრუიზმთან. ეს ქალები უბედურთა მიმართ გამოხატავენ თანადგომასა და სიბრალულს, რადგან ეს უკანასკნელი მათზე უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც თანდაყოლილ დამნაშავეებს საშუალებას აძლევთ, იგრძნონ თავიანთი ფარდობითი კეთილდღეობა. მათ სძულთ ყველა, ვინც მათზე ბედნიერი და უკეთესი ჰგონიათ. მათი ქველმოქმედების ძირითად მიზეზს კი ის სიამოვნება წარმოადგენს, რომელსაც დამცირებულ მდგომარეობაში, მათი მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ხილვა ანიჭებთ.

*ლომბროზო* იმასაც აღნიშნავს, რომ თანდაყოლილ დამნაშავე ქალებს არ უყვართ წერა და ხატვა. მას არ შეხვედრია არც ერთი ჩანახატი, ნაქარგი ან ტატუირება ჩადენილ დანაშაულზე მითითებით. ამის მიზეზი არა მხოლოდ სიფრთხილე, არამედ სურვილის უქონლობაა. მათ ურჩევნიათ, ისაუბრონ ჩადენილ დანაშაულზე, რათა უფრო მეტად დატკბნენ ნამოქმედართ. დამნაშავე ქალთა ერთ ნაწილს ახასიათებს შეუპოვრობა დანაშაულის უარყოფაში. თავის გასამართლებელი უაზრო ისტორიების შეთხზვა, რადგან ღრმად სწამთ, რომ სხვებზე ზემოქმედებას მოახდენენ. მეორე ნაწილი კი მიდრეკილია თვითმხილებისკენ. დამნაშავე ქალი არასოდეს ამხელს დანაშაულის ჩადენის გემას, თუმცა კი შეიძლება ირიბად ისაუბროს მოსალოდნელ შედეგზე.

ასეთია თანდაყოლილი დამნაშავე ქალის ზნეობრივი სახე. ყველა ეს თვისება ცალკეულ ინდივიდებში ამა თუ იმ ხარისხითაა გამოხატული, ამიტომაც დამნაშავე ქალები დამნაშავე მამაკაცებზე უფრო საშინელი არიან.

### 3.4. შემთხვევითი დამნაშავე ქალები

თანდაყოლილი დამნაშავე ქალების გარდა, რომლებიც ყველაზე სრული და აბსოლუტური ზნეობრივი გადაგვარების ტიპური წარმომადგენლები არიან, არსებობს დამნაშავე ქალების სხვა, გაცილებით დიდი ჯგუფი, რომლებსაც შემთხვევითი დამნაშავეები ეწოდებათ.

დამნაშავე ქალების ამ კლასს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული გარეგნული ნიშნები. იგივე შეიმჩნევა მათი ხასიათის ზნეობრივ თავისებურებებთან მიმართებით. ისინი დამნაშავე მამაკაცებზე უფრო მეტად არიან მონანიებისკენ მიდრეკილნი, უფრო მალე ბრუნდებიან სიკეთის გზაზე და უფრო იშვიათად რეციდივირებენ დანაშაულში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ციხეების კედლებზე დამნაშავე მამაკაცების მიერ გაკეთებული წარწერები ხშირად შეიცავს მუქარასა და უხამსობებს, მაშინ როცა ქალების წარწერები მონანიებას და სინანულს ეხება.

შემთხვევითი დამნაშავე ქალების უმრავლესობას განვითარებული აქვს მორცხვობის გრძნობა და დედობრივი სიყვარული. გარდა ამისა, ისინი ქალის ნორმალური ტიპის მსგავსად ეძებენ დასაყრდენს ცხოვრებაში, შეუძლიათ ერთგულება და თავდადება, მაშინ, როცა თანდაყოლილ დამნაშავე ქალს ეს თვისებები საერთოდ არ ახასიათებს.

შემთხვევითი დამნაშავე ქალი დანაშაულს ხშირად საკუთარი სურვილის გარეშეც ჩადის. შთაგონების წყალობით ის სხვისი სურვილისა და ნების შესაბამისად მოქმედებს. დამნაშავეების გარემოცვას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძია სუსტი ნებისყოფის მქონე შემთხვევით დამნაშავე ქალზე.

ქალთა ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ფორმირებას ხშირად იწვევს უპატრონო ბავშვობა. ბავშვობაში უბედური, მიტოვებული, მშობლების ყურადღების გარეშე გაზრდილი გოგონები ხშირად შემთხვევითი დამნაშავეები ხდებიან და პირველივე სასჯელის შემდეგ ჩვეულებრივ დამნაშავეებად გადაიქცევიან, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მუშაობას გადაეჩვივნენ და, მეორეც იმიტომ, რომ საეჭვო წარსულის გამო სამუშაოს ვერ შოულობენ.

ბავშვობაში უპატრონობის პარალელურად ქალის დამნაშავედ ჩამოყალიბების მიზეზი შეიძლება იყოს ცუდი მოპყრობა და ძალადობა. მოძალადედ გვევლინება არა მხოლოდ ოჯახი ან მამაკაცი, არამედ ქალიც,

რომელსაც სოციალური უთანასწორობის გამო სხვა ქალთა მიმართ ზიზღი უჩნდება, რაც ხშირად დანაშაულის მაპროვოცირებელი მიზეზი ხდება.<sup>11</sup>

## დასკვნა

დამნაშავე პიროვნების პრობლემა მუდამ შეინარჩუნებს აქტუალურობას, სანამ არსებობს დამნაშავეობა. ადამიანის ნერვულ-ფსიქიკური გადატვირთვების შეფასება მნიშვნელოვანია მისი ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თანაფარდობის შესწავლისთვის. დამნაშავეს ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლას შეუძლია ზოგიერთი გენეტიკური თუ ფსიქოლოგიური ანომალიის კომპენსირება, თავიდან აცილება, შეცვლა ან შეგუება სრულფასოვან სოციალურ გარემოსთან. დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში, რომელსაც ფსიქიურად გაუწონასწორებელი ან გენეტიკური დაავადებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები სჩადიან, ყველაზე მნიშვნელოვანი მათი პრობლემის კვლევაა. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების რეგულირებას იწყებს არსებობის პირველივე ეტაპზე და ამაში მას ეხმარება ყველა, ვინც მას გვერდით ჰყავს. რაც შეეხება გენეტიკურად ან ფსიქიკურად არასრულფასოვან ადამიანებს, ისინი განსაკუთრებით საჭიროებენ ასეთ დახმარებას.

---

<sup>11</sup> ლომბროზო ჩ., დამნაშავე ქალები და მძევები, ნ. და მ. თურმანიძეების თარგმანი, თბილისი, 2014, 126-187.



**პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის  
განმახორციელებელი ფიგურა**

**ანი იმედაშვილი\***

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

**თეა შაყულაშვილი**

*კავკასიის უნივერსიტეტის*

*ასოცირებული პროფესორი*

**შესავალი**

ქართულ სამართალს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენი ქვეყანა ბევრჯერ იდგა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ადამიანის აზროვნება, შეგნება მუდმივად განიცდიდა განვითარებას. სამართალი და სამართლიანობა, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა შეგნებაში ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეროვნული კანონმდებლობა მუდმივად განიცდის ცვლილებებს, ზუსტდება ნორმები, იხვეწება სამართლებრივი ურთიერთობები, ისაზღვრება ქვეყნის სამართლებრივი პოლიტიკა, რაც საფუძველს უყრის დემოკრატიულ საფუძველზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრიობას.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, დემოკრატიული სახელმწიფოების სისხლის-სამართლებრივი პოლიტიკა შეუქცევადი ლიბერალიზაციის გზას ადგას. დღეს მის მიზნად მხოლოდ მსჯავრდებისა და დასჯის არსებობა, - ეს არის სასტიკი თვალთმაქცობა, „რომელიც ეუფლება თვითკმაცოფილ, ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად ინვალიდ საზოგადოებას.“<sup>1</sup> დემოკრატიული ქვეყნის სისხლის სამართალწარმოებისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი ამოცანაა უდანაშაულო პირისთვის მსჯავრდების აცილება, პროცესის

---

\* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი.

<sup>1</sup> Packer H. L., Two Models of the Criminal Process, The University of Pennsylvania Law Review, №1, 1964, 11.

სხვადასხვა სტადიაზე სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შეცდომის გამოსწორება, საზოგადოებაში ჰუმანურობისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრებაზე ზრუნვა, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენა და მისი მსჯავრდება. ამდენად, დემოკრატიული ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესი „თანაბრად ვალდებულია“, დაიცვას სახელმწიფო და საზოგადოება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და იმავდროულად უნარი შესწევდეს დაიცვას მოქალაქე სხელმწიფოს მხრიდან ძალის ბოროტად გამოყენებისაგან.<sup>2</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. მოკლედ რომ ვთქვათ, სწორედ ეს ინსტიტუტია სამართლიანობის, კანონიერებისა და კანონის აღსრულების მთავარი მექანიზმი. კაცობრიობისთვის ზომ ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო სამართლიანობა, მოქმედებისა თუ ქმედების კანონიერების განსაზღვრა, განცდა იმისა, რომ უსამართლობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დასასრული და კანონის უზენაესობა ყველასთვის, უპირველესად ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, უნდა იყოს პრიორიტეტი.

სისხლის სამართლის პროცესის ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტაში წამყვანი როლი პროკურატურასა და პროცესის უმნიშვნელოვანეს მონაწილე - პროკურორს ეკისრება, ამიტომაც კანონიერება და სამართლიანობა ხშირად სწორედ მათთან ასოცირდება. სტატია ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის - პროკურატურის მამოძრავებელ ადამიანებს - პროკურორებს ეხება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია კანონიერების, ადამიანის, როგორც სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტის, დაცვა, ამიტომაც პროკურორის ფუნქციები, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების კანონიერი საშუალებები, ვფიქრობთ, მეტად აქტუალური თემაა.

ამ თემაზე მსჯელობა მოგვცემს საშუალებას, ნათლად დავინახოთ, რამდენად რეალურია საზოგადოების შეფასება პროკურორთან დაკავშირებით, როცა ის კანონს პირდაპირ ამ ფიგურასთან აკავშირებს.

---

<sup>2</sup> Липман. О., Психология допроса обвиняемого в уголовном процессе, Юридическая психология, Хрестоматия, Москва, 2000, 349-350.

## 1. პროკურატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციები

ისტორიულად ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს მიეკუთვნებოდა. 2010 წელიდან კი საქართველომ სისხლის სამართალწარმოების სრულიად ახალი, ინგლისურ-ამერიკული მოდელი აირჩია, რითაც მეტად უზრუნველყო მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა. ქართულ სამართლებრივ სივრცეში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე განხორციელებული ცვლილებებით პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ორგანოს, ადგილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში განისაზღვრა. დღეს ის იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომლის მთავარ ფუნქციასაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების განუხრელი დაცვით გამოძიებაზე ზედამხედველობა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება წარმოადგენს. პროკურორი უფლებამოსილია, განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ყველა იძულებითი და სხვა მოქმედება, რათა ამხილოს დანაშაულის ჩამდენი პირი და უზრუნველყოს მისი მსჯავრდება. ამასთანავე, ვალდებულია, ამ პროცესში არ დაუშვას პიროვნების ღირსების შელახვა, მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების არამართლზომიერი შეზღუდვა, პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო და დაუსაბუთებელი ხელყოფა.

სისხლის სამართალწარმოების მონაწილე არის ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართალწარმოებაში და აქვს გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართალწარმოების პროცესში წარმოადგენს მათი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას, რომლებიც რეგულირებულია საპროცესო კანონმდებლობით. მათი საქმიანობა არ შეიძლება გასცდეს კანონის ჩარჩოებს.<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი ეხება პროკურატურას და სწორედ ეს მუხლი განსაზღვრავს პროკურატურის ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას. ამ მუხლში ვკითხულობთ, რომ პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოა. მარტო ესეც არის საკმარისი, რომ გავიგოთ, თუ

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ვ. გახოკიძის, მ. მაშიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 105.

რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა პროკურორი, რომელიც აღნიშნულ ქმედებას ახორციელებს.

ჩვენი აზრით, პროკურორის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სისხლისსამართლებრივი დევნისას დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება, რაც ხშირად დაზარალებულთა უკმაყოფილებას იწვევს. ამ დროს სასურველია, პროკურორმა გადაწყვეტილება დაზარალებულთან კონსულტაციის შედეგადაც მიიღოს.

ასევე, პროკურატურის ფუნქციებში შედის გამოძიებაზე ზედამხედველობა, გამოძიების ჩატარება და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები მუხლი მოიცავს ამ ფუნქციებს და რომ დავკონკრეტდეთ, გვეუბნება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.<sup>4</sup>

პროკურატურას ისეთი სხვა უამრავი ფუნქციას აქვს, როგორებიცაა ადადგინოს დანაშაულის ფაქტის დეტალები, დაადგინოს დანაშაულის ჩამდენი პირი, არ იქნეს დაშვებული გამოძიების დროს შეცდომები და სხვა მრავალი, თუმცა ჩვენი სტატიით, შევეცდებით მხოლოდ ზემოთ ხსენებულ 4 კონკრეტულ ფუნქციას დავჯერდეთ და ნათლად დავინახოთ მათი მნიშვნელობა და არსი.

როგორც უკვე ვახსენეთ, პროკურატურა და პროკურორი ფართო ცნებებია და მათი დეტალებში განხილვა, ვფიქრობთ დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს, თუმცა ჩვენ ვეცდებით, რომ მხოლოდ მნიშვნელოვან და კონკრეტულ საკითხებს შევეხოთ. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის აღკვეთა ვერ ხერხდება (რაც პოლიციის მთავარი ფუნქციაა), სწორედ ამის შემდეგ ერთვება მძლავრი მექანიზმი - პროკურატურა, რომელიც დანაშაულის გამოსაძიებლად მთავარ ფუნქციებს ასრულებს.

დანაშაულის გახსნა, მტკიცებულებების შეკრება, მომხდარი ფაქტის სწორად, სრულყოფილად გამოძიება, ურთულესი და უზუსტესი საქმიანო-

---

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

ბაა, რომელიც საბოლოოდ შედეგს მოითხოვს, კერძოდ, ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგენა, მართლმსაჯულების განხორციელება და განაჩენის გამოტანა.

საქართველოს პროკურატურის სტრუქტურა, ორგანიზაცია და ფუნქციები დაკონკრეტდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონით. ამ დროიდან პროკურატურას ჩამოერთვა საზედამხედველო ფუნქციები და მისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი დევნა, ე.ი პროკურორის მიერ გატარებული საპროცესო ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა მიზანია საპროცესო ხელმძღვანელობის გზით დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სამხილების შეგროვება, ბრალდების ფორმულირება და წაყენება, საქმის სასამართლოში წარმართვა, საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონით მიხედვით, საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საუქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.<sup>5</sup> ამ უწყების თანამდებობის პირები არიან პროკურორები, რომლებსაც უამრავი საპასუხიმიგებლო ფუნქციები აკისრიათ, კერძოდ:

1. სისხლისსამართლებრივი დევნა;
2. საპროცესო ხელმძღვანელობა გამოძიების სტადიაზე;
3. სრული მოცულობით გამოძიების ჩატარება;
4. კანონის ერთგავროვან და ზუსტ შესრულებაზე ზედამხედველობა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;
5. თავისუფლებადაკვეთილი პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმება;
6. საქხელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;
7. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია.

მომდევნო თავებში გვეცდებით ჩვენს მიერ დასახელებული ფუნქციები მოკლედ, მაგრამ გასაგებად და ამომწურავად ჩამოვაყალიბოთ.

---

<sup>5</sup> „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

## 2. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4-მე-18 მუხლები ეხება საპროცესო კოდექსის ზოგად პრინციპებს, მე-16 მუხლი კი კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია პროკურორის უფლებამოსილებათა შორის.

სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის მთავარი დანიშნულება არის ბრალდების ფუნქციის განხორციელება. ეს უკანასკნელი იწყება გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნით. სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის – დანაშაულის სავარაუდო ჩამდენის – მიმართ და მისი მიზანია ამ პირის მხილება დანაშაულში. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავების ან ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან.

ბრალის წაყენება არის მომენტი, როცა პროკურორს გამოძიებელი წარუდგენს კონკრეტულ ფაქტებს, მტკიცებულებებს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა დანაშაული ჩაიდინა. აღნიშნულთან დაკავშირებით გვაქვს სტანდარტი, რომელიც ცნობილია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რაც გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.<sup>6</sup>

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ერთ-ერთი მომენტი პირის დაკავება, რა დროიდანაც 48 საათში მას უნდა წარედგინოს ბრალი.

პროკურატურა, როგორც უკვე ვახსენეთ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. მას აქვს კანონით მინიჭებული უფლება, დანაშაულის ჩამდენი პირი ამხილოს და კონკრეტული მტკიცებულებების გათვალისწინებით ამტკიცოს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და წარმართოს სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში, რათა მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს - პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და სასჯელის შეფარდებას. სწორედ

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

ამ საქმიანობის განხორციელების მთავარი პირია პროკურორი, რომელიც თავად არის კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი და ამ დაცულობის გარანტი, რაც იმას გულისხმობს, რომ ბრალდების ტვირთის პროკურორზე დაკისრება საერთოდ არ ნიშნავს პროკურორის უფლებას, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ამტკიცოს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. ამისათვის კი საჭიროა ავთენტიკური, რელევანტური, უტყუარი და ჭეშმარიტი მტკიცებულებების არსებობა, ხოლო ყველა ეს ჩამოთვლილი მტკიცებულება საკმარისი უნდა იყოს პირისათვის ბრალდების წასაყენებლად.

სწორედ ასეთი რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის განხორციელება უწევს პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნისას და, რაც მთავარია, ეს ყოველივე შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან.

### **3. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება**

პროკურორის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტიც გათვალისწინებული უფლება, კერძოდ, პროკურორი უფლებამოსილია, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება, ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (166-ე მუხლი) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და მის განხორციელებაზე პროკურორს სრული დისკრცია გააჩნია, რაც ქართული სამართლებრივი სივრცისთვის, ასევე, სიახლეს წარმოადგენს. სიტყვა „დისკრეცია“ (discretion) ლათინური წარმოშობისაა და ითარგმნება როგორც გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება. საქართველის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი აღნიშნულ ტერმინს განმარტავს, როგორც „თანამდებობის პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებას, კერძოდ და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ერთ ერთი ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“. თუ 1998 წლის სსს კოდექსი პროკურორსა და გამოძიებელს (პროკურორის თანხმობით) ავალდებულებდა, დანაშაულის ნიშნების არსებობის ყველა შემთხვევაში დაეწყოთ გამოძიება, ხოლო კონკრეტული პირის მიმართ გონივრული ეჭვის საფუძველზე – სისხლისსამართლებრივი დევნა, მოქმედი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს ანიჭებს თავისუფლებას, დამოუკიდებლად, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, შეჩერების, შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების გამოყენების თაობაზე.

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას პროკურორი ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენისა და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რაც გულისხმობს იმას, რომ პროკურორს აქვს არჩევანის თავისუფლება, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს დაიწყოს, თუ არა კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა. ზოგიერთის მოსაზრებით, აღნიშნული უფლება პროკურორს ზედმეტ ძალაუფლებას ანიჭებს. ამ აზრის მიმდევრები ფიქრობენ, რომ კონკრეტული ადამიანი, რომელიც დაზარალებულია და ითხოვს დამნაშავეს დასჯას, შეიძლება დარჩეს კანონის უზენაესობის მიღმა, „რაც ხშირად იწვევს დანაშაულის მსხვერპლის განმეორებით ვიქტიმიზაციას,“<sup>7</sup> ამ მოსაზრებას აქვს ლოგიკური საფუძველი, თუმცა გაუარესებულმა კრიმინოგენულმა მდგომარეობამ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ზრდამ, პენიტენციურ სისტემაზე გაწეულმა მზარდმა ხარჯებმა, ევროპული სახელმწიფოების წინაშე დააყენა ადამიანური და მატერიალური რესურსების ეკონომიის აუცილებლობა, ამიტომაც 1987 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, ევროსაბჭოს შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოებს მიმართა რეკომენდაციით, ეროვნულ კანონმდებლობებში დაენერგათ „დისკრეციული დევნის“ პრინციპი, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციას, გზას გაუხსნიდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული სახეებს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის, მეორე მხრივ, კი გამოიწვევდა სისხლის სამართალწარმოების ხარჯების არსებით ეკონომიას.

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში, რომელიც სისხლისსამართლებრივ კონფლიქტს ისტორიულად განიხილავდა „როგორც საკუთრებას,“<sup>8</sup> ის მძიმედ და ძნელად მიიღო, თუმცა დროთა განმავლობაში აღნიშნული ინსტიტუტი დაიხვეწა და ნაციონალური კანონმდებლობის

<sup>7</sup> Davis R., A crisis intervention program for crime victims, Response, №2, 1997, 7-1.

<sup>8</sup> Nils Ch., Conflicts as Property, British Journal of Criminology, №1, 1977, 1.



ორგანულ ნაწილად იქცა. თავდაპირველად საქართველოს სსს კოდექსით პროკურორისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, მართლაც, შეიცავდა სუბიექტივიზმის საფრთხეებს, კერძოდ, ის პრაქტიკულად გამორიცხავდა „კონტროლს“ პროკურორის გადაწყვეტილებაზე, არც დაზარალებული და არც სასამართლო არ ფლობდა ბერკეტს, მოეხდინა პროკურორის გადაწყვეტილების რევიზია, რაიმე ფორმით კორექცია. ერთადერთი უფლება, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა, ეს იყო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას. 2014 წლის 24 ივლისის ცვლილებებით დაზარალებულს მიეცა საშუალება, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე სასამართლოში გასაჩივროს როგორც დაზარალებულად ცნობის შუამდგომლობაზე პროკურორის უარი, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ზემდგომმა პროკურორმა ან სასამართლომ გააუქმა დადგენილება/განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს (მუხლი 108), დაზარალებულის უფლებებს უზრუნველყობს კოდექსის 168-ე მუხლიც, რომლის ძალითაც, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან.

თუმცა გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ პროკურორი არ არის მხოლოდ დასჯაზე და პირისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდება/მოთხოვნაზე ორიენტირებული. ხშირად საზოგადოების წარმოდგენაში პროკურორი არის დესპოტი, რომელსაც მხოლოდ ადამიანების დასჯის სურვილი აქვს და მასში რაიმე ადამიანური ან შემწყალებლური არ არსებობს. ამის დასადასტურებლად გვინდა გამოვიყენოთ პროკურორის დისკრეციული დევნის უფლებამოსილება, რაც გათვალისწინებულია 168-ე მუხლით და გვეუბნება, რომ არსებობს შემთხვევები, როცა პროკურორი უარს ამბობს სისხლისსამართლებრივ დევნაზე. აღნიშნული მუხლი მდგომარეობს შემდეგში: დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სის-

ხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს პროკურორი აფორმებს შესაბამისი დადგენილებით. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი ამ კოდექსის 56-ე მუხლის 51 ნაწილით დადგენილი წესით, ხოლო დადგენილების გამოტანიდან 1 კვირის ვადაში გაუგზავნოს დაზარალებულს დადგენილების ასლი.

ეს გულისხმობს იმას, რომ პროკურორი კონსულტაციებს გადის დაზარალებულთან კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, არწმუნებს მას, რომ პირი, რომელმაც მის წინაშე დანაშაული ჩაიდინა არც ისე საშიშია საზოგადოებისათვის. მაგალითად: ვთქვათ, ი-მ ჩაიდინა ქურდობა და ფარულად დაეუფლა კ-ს მობილურ ტელეფონს. საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა და დაკავებულ იქნა ბრალდებული, ამდებულ იქნა ტელეფონი და გაირკვა, რომ ი. არის 20 წლის სტუდენტი, რომელიც დანაშაულის ჩადენისას იყო ნასვამი; მანამდე იგი ნასამართლევი არ ყოფილა; სოციალური წრე, რომელშიც საქმიანობს დადებითად ახასიათებს. ასეთ დროს პროკურორმა, როგორც საჯარო ინტერესის გამტარებელმა, უნდა იფიქროს, ღირს თუ არა ამის გამო ახალგაზრდა სტუდენტის ნასამართლეობა, რამაც შეიძლება მას მთელი ცხოვრება შეუცვალოს. თუ ეს ახალგაზრდა აღიარებს დანაშაულს და ითანამშრომლებს გამოძიებასთან, ალბათ ღირს, მიეცეს შანსი და ავარიდოთ დევნას. სწორედ ამას გულისხმობს დევნის დისკრეციულობა, როცა პროკურორს უფლება ეძლევა დაზარალებულთან კონსულტაციების შედეგად არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მისცეს კიდევ ერთი შანსი ბრალდებულ პირს, თუმცა დაზარალებულის მოთხოვნისა და სურვილის მიუხედავად, პროკურორი გადაწყვეტილების მიღებაში აბსოლუტურად თავისუფალია. დაზარალებულის პოზიცია მისთვის გასათვალისწინებლად სავალდებულო არ არის. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დაზარალებული სარგებლობს გასაჩივრების უფლებით.

ასევე, მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ უნდა გამოიყენოს პროკურორმა დისკრეცია. პირველ რიგში, აქ არის სახელმწიფო ინტერესი. ხშირ შემთხვევაში ბევრი რესურსი იხარჯება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, ასევე, იხარჯება გამოძიებლის რესურსი, რომელსაც შეიძლება 3-4 საქმე აქვს უფრო რეზონანსული, რთული და მძიმე (მაგა-

ლითად, ყაჩაღობის სამეპიზოდინი სექმე, რომელიც უამრავ რესურს მოითხოვს); სახელმწიფოს ინტერესი კი მოითხოვს ყურადღების გამახვილებას ძალისმიერ დანაშაულებზე.

დისკრეციული დევნის დროს პროკურორს გამოაქვს დადგენილება დევნის არ დაწყების ან სისხლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორი ხშირად უარს ამბობს დევნაზე ან იყენებს ალტერნატიულ გზებს, რომ დამნაშავე პირმა დამნაშავედ იგრძნოს თავი თუმცა უფრო ლოიალური და მსუბუქი „სასჯელი“ მიიღოს.

დისკრეციის ერთ-ერთი გამოხატულებაა განრიდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1681-ე მუხლი ეხება განრიდებას, რომლის თანახმად, პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს:

ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;

ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;

ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;

ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. (ამოქმედეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან)

3. თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

#### 4. საპროცესო შეთანხმება

დისკრეციულობის პრინციპისგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ქართულ სამართალწარმოებაში 10 წელზე მეტია არსებობს და მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ფართოდ და წარმატებით გამოიყენება. საპროცესო შეთანხმება არის ერთგვარი გარიგება პროკურორსა და ბრალდებულის (ადვოკატს სავალდებულო მონაწილეობით) შორის, რის საფუძველზეც ბრალდებულს, აღიარების სანაცვლოდ, უმსუბუქდება ან ეხსნება ბრალდება და/ან სასჯელი, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანია სახელმწიფო თავიდან იცილებს ხანგრძლივ გამოძიებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, ხოლო ბრალდებული - ზედმეტ ნერვიულობას, წინასწარ პატიმრობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა უსიამოვნებებს. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორის მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი შედეგის მიღწევა, რომელიც რაც შეიძლება ახლოს იქნება შედეგთან, რომელიც დადგებოდა პირის, როგორც ბრალდებულის, საქმის სასამართლოში განხილვისას.<sup>9</sup> ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, საპროცესო შეთანხმების დადებაზეც პროკურორს დისკრეციული უფლება გააჩნია, მაგრამ ბრალდებულსა და პროკურორს შორის შეთანხმება არ წარმოადგენს „საბოლოო შედეგს“. შეთანხმება უნდა დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. ამ შემთხვევაში საქმე იხილება გამარტივებული წესით - არსებითი განხილვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად საპროცესო შეთანხმების პროცედურის რიგი ხარვეზებისა, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაზარალებულის ინტერესები სრულიად იგნორირებულია, აგრეთვე, დამკვიდრებული მავნე პრაქტიკისა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულს შეაქვს თანხა ბიუჯეტში, ის ძირითადად მაინც ამართლებს ამ ინსტიტუტის არსებობის მიზანს: ინფორმაციის მოპოვების გაადვილებას, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, სასამართლოების საქმეთა ნაკადისგან განტვირთვას, საპროცესო ვადებისა და ხარჯების დაზოგვას.<sup>10</sup>

<sup>9</sup> სახელმძღვანელო ოურისტებისთვის საპროცესო შეთანხმებასა და მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევებში, თბილისი, 2013, 20.

<sup>10</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 128.

ვინაიდან საპროცესო შეთანხმება მრავლისმომცველი და ფართოდ გასაშლელი თემაა, ვეცდებით, რომ აღნიშნული მაქსიმალურად მოკლედ და კონკრეტულად გამოვცეთ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი მიუთითებს პროკურორის უფლებამოსილებაზე, დადოს საპროცესო შეთანხმება ბრალდებულთან. აღნიშნული ინსტიტუტი ნოვაციაა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბრალდებულთან შეთანხმების დადების უფლება მხოლოდ პროკურორს აქვს. შეთანხმების დადების შემთხვევაში საქმე იხილება გამარტივებული წესით – არსებითი განხილვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე.

## 5. განრიდება და მედიაცია

საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტების დანერგვა და გაფართოება „საზოგადოებებში, სადაც დასავლურმა სამართლებრივმა სისტემამ ჩაანაცვლა ან შეავიწროვა ტრადიციული სამართალი და კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესები, აღდგენითი მართლმსაჯულება იძლევა საშუალებას, მოხდეს ამ ტრადიციების ხელახლა გადახედვა და აღდგენა“.<sup>11</sup> დღესდღეობით საქართველოში წარმატებულად მოქმედებს აღდგენითი მართლმსაჯულების ორი ინსტიტუტი – განრიდება და მედიაცია, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ სახეებს წარმოადგენს. დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ კლასიკური სისხლისსამართლებრივი დევნის ნაცვლად მათი გამოყენება, ასევე, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამები საქართველოში 2010 წლიდან ამოქმედდა და ის მიზნად სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციას, „სასამართლოს რესურსების დაზოგვასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აქტუალიზაციასაც ისახავს“.<sup>12</sup> პროკურორის მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის განრიდება ან

---

<sup>11</sup> ზეპრი ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, ი. რევიშვილის თარგმანი, თბილისი. იხ. < [https://db.ph-int.org/upload/ccf\\_ss/File/GE%20CALLS/restorative%20justice.pdf](https://db.ph-int.org/upload/ccf_ss/File/GE%20CALLS/restorative%20justice.pdf)>.

<sup>12</sup> განრიდების პროგრამა: პირველი ნაბიჯი, ჟურნალი „ტაბულა“, 18 მაისი, 2011.

მედიატორის შუამავლობით დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ პირს შორის მოლაპარაკება და შეთანხმება წარმოადგენს შანსს, პირისთვის განსაზღვრული და შეთანხმებული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ დარჩეს თავისუფლებაში ნასამართლობის არმქონის სტატუსით.

დისკრეციის უფლებამოსილების ერთ-ერთი გამოჩატულებაა მედიაცია. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ბრალდებულთან, რომელიც არასრულწლოვანია.

ამ დროს საქმეში ერთვება მედიატორი, ანუ იგივე შუამავალი და ფსიქოლოგი. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ არასრულწლოვანი ისეთი კატეგორიაა, რომელიც ჯერ თავად უნდა დაარწმუნო აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების მნიშვნელობასა და საჭიროებაში. აღსანიშნავია ის რომ მედიაცია, მედიატორი საქმეში ერთვება მაშინ, როდესაც არსებობს დაზარალებული. მაგალითად, იარაღის უკანონო ტარების დროს არ გვყავს დაზარალებული. ამრიგად, აღნიშნულში ვერ ჩაერევა მედიატორი, თუმცა ფსიქოლოგი ასეთ დროს ყოველთვის ერთვება. ვინაიდან მედიატორის ძირითადი ფუნქცია დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის შუამავლის, მომრიგებლის როლია, ამიტომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული არ გვყავს მედიატორი სრულიად ზედმეტია.

## **5.1. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია**

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს. ეს პროგრამა არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმია.

ამ ინსტიტუტის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნასამართლევ, პირობით მსჯავრდებულ პირთა და პატიმართა რაოდენობის შემცირება, ასევე, პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე პროკურორს აქვს შესაძლებლობა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, თუ ის აღი-

რებს დანაშაულის ჩადენას, მზად არის, აანაზღაუროს ზიანი და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი უკავშირდება სოციალურ მუშაკს და გადასცემს მას არასრულწლოვანის საქმეს. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვანის ბიოფსიქოსოციალურ პორტრეტს, რის საფუძველზე განისაზღვრება, თუ რომელი პირობის შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და შეუწყობს ხელს მის გამოსწორებას. ამის შემდეგ, მედიაციის ფარგლებში, რაც აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტებს მოიცავს, მხარეები შეთანხმდებიან სამოქალაქო ხელშეკრულების პირობებზე, მათ შორის, არასრულწლოვანის პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების შესახებ.

აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დაზარალებული. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე.

არასრულწლოვანის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი, თუმცა შესაძლოა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული ეს შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვანის მიმართ.

აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია, რომ არასრულწლოვანს მისცეს შანსი და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამასთან, პროგრამა ემსახურება დაზარალებულების კმაყოფილების დონის გაზრდასა და არასრულწლოვანთა მხარდამჭერ ღონისძიებებში მათ ჩართვას.

პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა საქართველოს ოთხ ქალაქს: თბილისს, რუსთავს, ქუთაისს და ბათუმს. 2011 წლის ნოემბერში დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2012 წლის თებერვალში - 9 ქალაქი: მცხეთა, კასპი, გარდაბანი, წყალტუბო, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, ვანი და ქობულეთი. 2013 წელს დაემატა კიდევ 10 ქალაქი: ხაშური, ქარელი, მარნეული, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი

და მესტია. 2013 წელს პროგრამა გავრცელდა საქართველოს სრული მასშტაბით.<sup>13</sup>

## 5.2. სრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია

სრულწლოვანთა განრიდება, როგორც სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, საქართველოში დაინერგა 2011 წლის 25 ოქტომბრიდან.

სრულწლოვანთა განრიდება – პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმაა, რომელიც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება, თუკი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი მზადაა, სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს თავისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, ან უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო.

ამ პირობების შესრულების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე მთავრდება ნასამართლობისა და სისხლისამართლებრივი სასჯელის გარეშე.

თავის მხრივ, პირი მზად უნდა იყოს, შეასრულოს კანონით გათვალისწინებული გარკვეული პირობები: სახელმწიფოს გადასცეს უკანონოდ მოპოვებული ქონება, ან აანაზღაუროს ამ ქონების ღირებულება; ჩააბაროს დანაშაულის იარაღი; სრულად, ან ნაწილობრივ აანაზღაუროს თავისი ქმედებით გამოწვეული ზიანი; უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაო.<sup>14</sup>

## 5.3. სტატისტიკური მონაცემები განრიდებასა და მედიაციაზე

განრიდებული არასრულწლოვნების სტატისტიკა:

1. 2010 წელი - 2 არასრულწლოვანი;
2. 2011 წელი - 81 არასრულწლოვანი;
3. 2012 წელი - 120 არასრულწლოვანი;

<sup>13</sup> <[http://pog.gov.ge/geo/projects/current?info\\_id=86](http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=86)> [01.02.2015].

<sup>14</sup> იქვე.



4. 2013 წლის I კვარტალი - 25 არასრულწლოვანი.<sup>15</sup>

განრიდებული სრულწლოვნების სტატისტიკა:

1. 2011 წელი - 130 სრულწლოვანი;

2. 2012 წელი - 1247 სრულწლოვანი;

3. 2013 წლის I კვარტალი - 279 სრულწლოვანი.<sup>16</sup>

## **6. გამოძიებაზე ზედამხედველობა**

გამოძიებაზე ზედამხედველობა უამრავ დეტალს მოიცავს. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი, გავაკეთოთ მოკლე მიმოხილვა: მაგალითად, მოხდა დანაშაული – ჩადენილია ქურდობა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია შევიდა საპატრულო პოლიციაში. გამოძიებელი, ვისაც აღნიშნულ საქმის გამოძიება დაეკისრა, მას აუცილებლად ჰყავს ზემდგომი პირი – ზედამხედველი პროკურორი. აღნიშნულ ინფორმაციას დანაშაულის შესახებ გამოძიებელი აცნობებს პროკურორს და ამის შემდეგ იწყება გამოძიება. გამოძიების დაწყებაზე გამოძიებელს ხელის მოწერით ნებას რთავს პროკურორი. რა იგულისხმება ზედამხედველობაში?! პროკურორი ვალდებულია, პერიოდულად შეამოწმოს გამოძიების მიმდინარეობა. მაგალითად, დაკითხა თუ არა გამოძიებელმა დანაშაულის თვითმხილველები, თუ საჭიროა დანიშნოს ექსპერტიზა და ასე შემდეგ. ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ზედამხედველობის სახეებზე, როგორებიცაა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება და გამოძიებისას სავალდებულო მითითებების მიცემა.

## **7. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება და გამოძიებისას სავალდებულო მითითებების მიცემა**

უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, როგორც ბიცაა დაკითხვა, დათვალეირება, ჩხრეკა, ამოსაცნობად წარდგენა და სხვა, განსაკუთრებულ სიფრთხილესთან არის დაკავშირებული. ეს ქმედებები, ასევე, მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს. ზოგიერთმა საპროცესო მოქმედებამ შეიძლება შეზღუდოს პირის კონსტიტუციური უფლებები, მაგა-

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.

ლითად, პიროვნების ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრება. ამის გამო, პროკურორის აქტიური მოქმედებაა საჭიროა, რათა საგამოძიებო მოქმედებები სწრაფად და ეფექტურად ჩატარდეს. პროკურორმა, ასევე, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს პირის უფლებების დაცვა და, ასე ვთქვათ, ერთგავარად დამცველის როლში მოგვევლინოს.

გამოძიებისას სავალდებულო მითითებების მიცემის უფლებამოსილებას ხაზს უსვამს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის 6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ პროკურორი უფლებამოსილია – გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს. აღნიშნული გულისხმობს მტკიცებულებების მოპოვების თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კონკრეტული მითითებების მიცემას. მაგალითად, როგორც, ზემოთ ვახსენეთ კონკრეტულ საქმისათვის თუ საჭიროა ექსპერტიზა, დაინიშნოს ის და ა.შ. აღნიშნულ ქმედებებში პროკურორის ჩარევა გამართლებულია სწორედ ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ვინაიდან სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველია წინა სასამართლო პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები, მხარეთა მიერ მათი მოძიება-აღმოჩენა, საპროცესო დამაგრება, შემოწმება, პროცედურის მკაცრი დაცვა. საჭიროა, აღნიშნულის სიფრთხილით მიღება.<sup>17</sup> ამასთანავე, მტკიცებულება უნდა იყოს კანონიერი გზით მოპოვებული, რაც მისი დასაშვებობის წინაპირობაა. მტკიცებულებების მოპოვების დროს საპროცესო ნორმათა დაუცველობა აუცილებლად გამოიწვევს ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე ვერ გამოიყენებს მათ ბრალდების დასამტკიცებლად და, თავისთავად, ეს გამოიწვევს გაწეული შრომის წყალში ჩაყვარს.

სწორედ ამაზე ზედამხედველობა და კონტროლი არის პროკურორის ძირითადი ფუნქცია, რასაც, როგორც უკვე ვახსენეთ, ეწოდება გამოძიებაზე ზედამხედველობა.

---

<sup>17</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ვ. გახოკიძის, მ. მაშიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 113.

## 8. პროკურატურა სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორი უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება. აღნიშნულ შემთხვევაში ის იძენს გამოძიებლის სტატუსს, რომელიც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლში, კერძოდ: პროკურორი ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ის უფლებამოსილია, ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება.

საქმეზე გამოძიების წარმოების მიზნით, პროკურორი უფლებამოსილია, ჩაატაროს მთელი რიგი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებისა, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია სსსკ-ის XIV-XVII თავებში. ესენია: გამოკითხვა, დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერტიზა და სხვა.<sup>18</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურორი, ისევე, როგორც ჩვეულებრივი გამოძიებელი, საჭიროებს ზემდგომი პროკურორის მეთვალყურეობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ არის კონკრეტული საქმეები, რომლებიც უშუალოდ პროკურორმა უნდა გამოიძიოს, ანუ მას პირდაპირ ევალება ამა თუ იმ სახის საქმის გამოძიება. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ პროკურატურა ზემდგომი ორგანოა, მეტწილად მიუკერძოებელი და კომპეტენტური. პროკურატურამ აუცილებლად უნდა გამოიძიოს, პარლამენტის წევრის, პოლიციის, კონტროლის პალატისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლების დანაშაულებრივი საქმეები.

ყურადღება მისაქცევია ის ფაქტიც, რომ პროკურორი უფლებამოსილია სხვა უწყების წარმოებიდან ამოიღოს სისხლის სამართლის საქმე და მასზე თავად აწარმოოს გამოძიება. ეს შეიძლება გამომდინარეობდეს საქმის რეზონანსულობისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან.

## 9. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში

სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტი ძველთაგანვე არსებობდა. პროკურორის შესახებ კანონის მიხედვით, პროკურორი სასამართლოში გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი. მას ეკისრება

---

<sup>18</sup> იქვე, 132.

ბრალდების მტკიცების მოვალეობა. პროკურორს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებს ბრალდებას. ეს უარი აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს.

სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას და სააპელაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი, როგორც ბრალდების მხარე, ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ყველა საქმის განხილვაში: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სხვა.

რაც შეეხება საკასაციო წარმოების სტადიას, ამ დროს პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან აზრს გამოთქვამს, როგორც მხარე. ბრალდების მხარდაჭერის მთავარი ფუნქციაა ბრალდებულის მხილების მიღწევა.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე ტარდება წინასასამართლო სხდომა, სადაც სასამართლოს მიერ მხარეთა მონაწილეობით განიხილება მხარეთა შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვების თაობაზე და სხვა. პროკურორმა აუცილებლად უნდა წარმოაჩინოს თავისი პოზიცია ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით

სასამართლო საქმის არსებითი განხილვისას პროკურორმა უნდა წარადგინოს შესავალი სიტყვა. შესავალი სიტყვის დროს პროკურორმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს საქმის არსი, მოპოვებული მტკიცებულებები და ამით ამტკიცოს პირის ბრალეულობა.

მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ პროკურორმა უნდა წარადგინოს დასკვნითი სიტყვა. ამ ქმედებამდე კი მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე ზემდგომი პროკურორის თანხმობით, თუ სახელმწიფო ბრალმდებელი დარწმუნდება, რომ კონკრეტული მონაცემები აღარ ადასტურებს პირის ბრალეულობას. ბრალდებაზე უარიც აუცილებლად უნდა დადასტურდეს.

დასკვნით სიტყვაში პროკურორი გადმოსცემს საქმის შინაარსს, მიუთითებს ქმედების კვალიფიკაციაზე და ამტკიცებს, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია.

აღნიშნულის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის, ორატორულ ნიჭს, უფლებამოსილებების სწორად და თანმიმდევრულად გამოყენებას და მალალ პროფესიონალიზმს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოსთან უშუალო შეხება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილება და პრეროგატივაა და არავის სხვისი!

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტატიაზე მუშაობამ ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია პროკურატურას, კერძოდ, მასში მომუშავე პირებს, პროკურორებს. პრაქტიკულად, მთელი საგამოძიებო პროცესი და შემდგომ სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ვფიქრობთ ჩვენი კვლევით დაგანახეთ ისიც, რომ პროკურატურა მხოლოდ სადამსჯელო ორგანიზაცია არ არის და მასაც გააჩნია მექანიზმები, თუ როგორ აარიდოს ესა თუ ის დამნაშავე ციხეს და გამოიყენოს ალტერნატივა.

სამართლის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრას, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქისა და მთლიანად საზოგადოების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისგან, მეორე მხრივ, კი ამ პროცესში კანონიერად ზღუდავს მათ კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებისთვის ყოველთვის უპირატესი იყო და არის უსაფრთხოება, მშვიდ გარემოში ცხოვრება, სადაც დამნაშავე კანონის შესაბამისად დასჯილია, უდანაშაულო მოქალაქე კი დაცვის ეფექტური და რეალური ბერკეტებითაა უზრუნველყოფილი, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

ამ თემით ჩვენი დაინტერესება გამოწვეულია სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებლის განსაკუთრებული მნიშვნელობით, რასაც ხშირად გადაშფევეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანებისათვის. მათი შეგნება, შეფასება ყალიბდება კანონთან მიმართებით. მსგავსი პასუხისმგებლობა პროკურორს ანგარიშვალდებულს ხდის მოქალაქეების წინაშე, რადგან სწორედ ისინი ახდენენ ზეგავლენას მათ უსაფრთხოებაზე, კანონის ზეობაზე.

ვფიქრობთ, რომ თემა აუცილებლად იქნება საინტერესო, რადგან ჩვენი მიზანია საზოგადოებას დავანახოთ, თუ როგორ ახორციელებს პროკურორი ნაკისრ ვალდებულებას, რამდენად ამომწურავად აწესრიგებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ საკითხს და რა ეტაპები განვლო, რა გამოწვევების წინაშე იდგა ეს ინსტიტუტი და როგორ მოხდა პროკურორის წინა ფლანგზე წამოწევა, მისი ძალაუფლების გაზრდა და რა მიზანი აქვს ამ ფიგურის გაძლიერებას ქვეყნისათვის.

მედიცინის მუშაკის უფლება-მოვალეობები და მისი  
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ავადმყოფის  
განსაცდელში მიტოვების შემთხვევაში

გიორგი ჩაკვეტაძე\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:*

*ელიშერ ფუტყარაძე*

*სამართლის დოქტორი*

*გიორგი ასათიანი*

*დოქტორანტი*

**შესავალი**

უახლესი ისტორია მედიცინაში გამორჩეული აღმოჩენებით აღინიშნა. იმ მეცნიერულმა და ტექნიკურმა განვითარებამ, რომელიც ბოლო საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა, გამოკვეთა მისივე ერთ-ერთი დარგის – მედიცინის ირგვლივ არსებული აქტუალური საკითხები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მედიცინის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები კონკრეტულად სამართალსაც შეეხო. ამ მიმართულებით გამოიკვეთა ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები მედიცინის ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ტრანსფუზიოლოგია, გინეკოლოგია, გენეტიკა, საოჯახო მედიცინა და სხვა. თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა, რომლებიც ორგანულად დაუკავშირდა ადამიანის (ჩვენი კვლევის ფარგლებში კი მედიცინის მუშაკის) უფლებების დაცვის საკითხებს.

ბოლო პერიოდში მთელი რიგი ქვეყნებისა საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე ამუშავებენ და იღებენ საკანონმდებლო აქტებს, რომელთა მიზანია, მედიცინაში დაიცვას არა მარტო პაციენტის, არამედ - მედიცინის მუშაკის უფლებებიც. გამონაკლისი ალბათ არც საქართველოა, თუმცა თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ამ კუთხით არსებობს გარკვეული პრობლემები. სწორედ ამ საკანონმდებლო თუ პროცესუალური

---

\* კაკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი.

ღონის ხარვეზების დადგენა და მათი გამოსწორების გზების დასახვა წარმოადგენს წინამდებარე კვლევის ამოცანას.

საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ მასში შემაჯალმა უმეტესმა ქვეყნებმა თავისი განვითარების კურსი ევროპას დაუკავშირა. სამართლებრივი სფეროც ამ გავლენის ქვეშ მოექცა. ის სახელმწიფოები, რომლებიც უკვე ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ, უახლოვებენ თავიანთ კანონმდებლობას ევროპულ სტანდარტებს. ინტეგრაციის პროცესი ჯანდაცვის კანონმდებლობის სფეროშიც მიმდინარეობს. ამის ნათელი მაგალითია ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ბიო-ეთიკური კომიტეტების ჩამოყალიბება და ჯანდაცვის სფეროს მთლიანი რეორგანიზაცია, ახალი კანონმდებლობის შექმნა.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ადამიანის სხვა უფლებებთან შედარებით, უფრო ახალი უფლებაა, რომელიც ასახულია საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში. ამ უფლებამ მთელი მოცულობით პოვა ასახვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჯანმრთელობის დაცვის უფლებას საფუძველი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაეყარა, კერძოდ, 1853 წელს პარიზში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდინარეობდა სანიტარიის საკითხებს.<sup>1</sup>

სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამართლებრივი აქტები დეტალურად ახდენს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის შექმნისა და რეგულირების საკითხების რეგლამენტაციას, ცდილობს დაადგინოს ის მინიმალური საზღვრები, რომლის ჩარჩოებშიც სამედიცინო პერსონალი უფლებამოსილია, ჩაატაროს სამედიცინო მანიპულაციები (ექსპერიმენტები, მკურნალობა და სხვა) და განსაზღვრავს შესაბამისი სპეციალისტების მოქმედების კანონიერების არეალს.

აღინიშნება, რომ თემა უმნიშვნელოვანესია და მას ყოველდღიური გამოხატვა აქვს საქართველოს რეალობაში. გამომდინარე აქედან, შესწავლილი იქნება ის სისხლისსამართლებრივი მიმართულებები (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება), რომლებიც მედიცინის მუშაკის უფლებების დაცვის ზოგად და პროცესუალურ საკითხებს შეეხება (როგორც ზოგადი, ასევე - საპროცესო), უმეტესწილად სწორედ ჯანდაცვის საკითხებზე დაფუძნებით.

---

<sup>1</sup> Chapman C. B., Physicians, Law and Ethics, New York, London, 1989, 2-9.



## 1. საერთაშორისო კანონმდებლობა

ფაქტია, რომ საექიმო ეთიკის პირველი ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან დღემდე, ჰიპოკრატეს ფიცის შექმნიდან ჟენევის კონვენციამდე,<sup>2</sup> შეიცვალა უმთავრესი თუ მეორეხარისხოვანი დებულებები, ნორმატივები, პუნქტები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ არ შეცვლილა უმთავრესი: ექიმისა და პაციენტის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპები. საექიმო ეთიკა წარმოადგენს დისციპლინას, რომელიც ახორციელებს სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული ღირებულებებისა და სოციალური საკითხების ხედვის ჩამოყალიბებასა და რისკების შეფასებას. სწორედ აღნიშნულს ეფუძნება საქართველოს შიდა კანონმდებლობაც, კერძოდ, ამ ტიპის სისხლისსამართლებრივი საკითხები.

საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროებით, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების საფუძველზე, საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებები აისახა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, რაც, თავის მხრივ, შეეხო მედიცინის მუშაკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ საქართველო თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ფუნქცია გააჩნია ამა თუ იმ ქვეყანაში. ზოგიერთ მათგანში მოცემულია საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები სისხლის სამართლის სფეროში. ამ სახის ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება რომის 1998 წლის 17 ივლისის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სტატუტი“, რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2009 წლის 20 ნოემბრის N2150-II დადგენილებით.

გარდა ამისა, არსებობს არაერთი საერთაშორისო ტიპის დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივ დონეზე განსაზღვრავს მედიცინის მუშაკის კანონიერი მოქმედების არეალს. არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, სისხლის თუ ჯანდაცვისსამართლებრივი საკითხები შესაბამისობაში უნდა მოდიოდნენ ამ აქტებთან.

---

<sup>2</sup> მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის II გენერალური ასამბლეა, ჟენევა, 1948.

## 2. ადგილობრივი კანონმდებლობა

### 2.1. სისხლისსამართლებრივი ნორმების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაერთიანებულია კონტინენტური სამართლის ჯგუფში. კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია მისი საერთო საკანონმდებლო ბაზისგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობა. საქართველოს სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა სისხლის სამართლის კანონი. არც ერთ სხვა აქტში არ შეიძლება გათვალისწინებულ იყოს სისხლისსამართლებრივი ნორმა. ამასთან, სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულადაა კოდიფიცირებული. სრული კოდიფიკაცია შესაძლებელს ხდის საკანონმდებლო მასალის დალაგებას დაცული ობიექტების ღირებულების მიხედვით. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს ხდის დაწესდეს სანქციები აკრძალული ქმედების საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამით, პრაქტიკოს მუშაკებს უადვილდებათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება. ასეთი კომპაქტური კანონმდებლობა ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან (შემდგომში – სსკ) და სხვადასხვა კანონებიდან მიეთითება იმ რამდენიმე მთავარ მუხლზე, რომლებიც განსაზღვრავს იმ ქმედებას, რაც მედიცინის მუშაკის უფლებებსა და ვალდებულებებს შორის არსებული საზღვრის შესაძლო დარღვევაში გამოიხატება. აღინიშნება კონკრეტულად იმ მუხლების შესახებ, რომლებიც სამედიცინო საქმიანობის სფეროს ამ მიმართულებით სრულად ფარავს. თითოეულ მათგანს გააჩნია საკმაოდ დიდი მნიშვნელობა სამართლებრივი რეგულირების სფეროში, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სამართალში არსებული ეს საკითხი, საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლი, შესაბამისი სტატისტიკა და ის შესაძლო რეკომენდაციები, რომლებმაც უნდა გამოკვეთოს და საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩინოს მედიცინის მუშაკის უფლება-მოვალეობები, შესაძლო პროცესუალური გადაცდომები და სხვა აქტუალური საკითხები ამ კუთხით. ზოგადად უნდა იქნეს მიმოხილული ის მუხლები, რომლებიც შესაბა-

მის სფეროს სრულად უკავშირდება, თუმცა, მათ შესახებ შედარებით ნაკლები პრაქტიკა და სტატისტიკა არსებობს. თავის ზმრივ, თითოეული ეს მუხლი დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

საქართველოს ახალ სსკ-ში შესულია მთელი რიგი მუხლებისა, რომლებიც პაციენტთა უფლებების დაცვას შეეხება, მაგრამ ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ისინი შეიცავს შინაარსს, რაც შესაძლოა მედიცინის მუშაკის უფლება-მოვალეობებსაც უკავშირდებოდეს. ახალი (1999 წლის) კოდექსის კერძო ნაწილში, მეშვიდე კარში („დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“), ვხვდებით ისეთი სახის დანაშაულებს, რომლებიც ხელყოფს ადამიანის სიცოცხლესა და მისი სხეულის ხელშეუხებლობას. კერძოდ, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი), რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას „მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით“.<sup>3</sup> აქვე უნდა მიეთითოს იმ მოსაზრებზე, რომ, მართალია, შესაბამისი მუხლები განაპირობებს დაზარალებულის, ანუ პაციენტის უფლებების დაცვას, თუმცა პროცესუალურ დონეზე (და არა მხოლოდ), მართლმსაჯულების განხორციელებისას შესაძლოა დაირღვეს ექიმის უფლებებიც.

შემდეგი მუხლი, რომელიც საკვლევ თემას უკავშირდება, არის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. იგი გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას „მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით“.<sup>4</sup> ასევე, საქართველოს სსკ-ის ცალკე თავშია (XXI) მოქცეული 131-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 133-ე, 134-ე, 135-ე, 135<sup>1</sup>-ე და 136-ე მუხლები. ისინი, ჩვენი კვლევის მთავარ მუხლთან ერთად (130-ე მუხლთან) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნას ეხება.

აღნიშნული სპეციალური ნორმების დახასიათებას დავიწყებთ სსკ-ის 131-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ის გულისხმობს სხვა პირისათვის შიდასი შეყრას გაუფრთხილებლობით პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. იგი შესაბამისი მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით განსაზღვრული შემად-

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

გენლობებისგან არსებითად განსხვავდება. განსხვავებაა როგორც ამსრულებლის, ისე ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში. ამ ნაწილით დახასიათებული დანაშაულის ამსრულებელი შესაძლებელია იყოს მედიცინის მუშაკი - იქნება ეს სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმი (ქირურგი, სტომატოლოგი, გინეკოლოგი), ან ექთანი, მედდა, ფარმაცევტი, სისხლის გადასხმის სადგურის მუშაკი და ა.შ. კანონმდებლობით დარეგულირებულია, რომ მათ მიერ პროფესიული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, რამაც გაუფრთხილებლობით შიდსის შეყრა გამოიწვია, შეიძლება გამოიხატოს არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებაში, დონორის შეუმოწმებელი სისხლის გადასხმაში და სხვა.

131-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. იგი შეიძლება გამოვლინდეს როგორც თვითიმედოვნებით, ასევე, დაუდევრობით.

იმავე მუხლში მოცემულია ქმედების დამამძიმებელი გარემოებები, რაც კვლევის ამ ნაწილის ამოცანებში არ შედის.

შევეჩებით შემდეგ მუხლს. ლათინური ენიდან წარმომდგარი სიტყვა „აბორტი“ (abortus) – მუცლის მოწყვეტას, მუცლის მოშლას, ორსულობის ნაადრევ შეწყვეტასა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევებას ჰქვია ორსულობის 22 კვირის შესრულებამდე. აბორტი უნდა განგასხვავოთ ნაადრევი მშობიარობისაგან (ორსულობის შეწყვეტა 22 კვირის შემდეგ), როდესაც იბადება სიცოცხლისუნარიანი ნაყოფი. 1993 წელს WHO-ს მიერ მოწოდებული, ცოცხლადშობილის ახალი განსაზღვრებით გვიან აბორტის ლიმიტი განისაზღვა 22 კვირით.

აბორტის შესახებ საკანონმდებლო ბაზა მსჯელობის განვითარების თანამდევია ასპექტია. აბორტი შეიძლება იყოს სპონტანური ანუ თავისთავადი და ხელოვნური. მუცლის მოშლას ორსული ქალის თანხმობა ესაჭიროება. თანხმობის გარეშე მუცლის ნაადრევი მოშლა მაშინ შეიძლება მოხდეს ქალის გადარჩენის მიზნით, როცა ქალის თანხმობის მიღება შეუძლებელია. ასეთ დროს საქმე გვაქვს უკიდურეს აუცილებლობასთან, რომელიც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. ობიექტური მხარე ქმედებისა გულისხმობს მოქმედებას. უმოქმედობით ამ დელიქტის ჩადენა შეუძლებელია. მოქმედებას თან უნდა ახლდეს შედეგი - ორსულობის შეწყვეტა, ნაყოფის გამოდევნა დედის ორგანიზმიდან და მიზეზობრივი კავშირი ამ მოვლენებს შორის. მუცლის მოშლა ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მართლსაწინააღმ-

დეგოდ. აბორტი საქართველოში, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, დაშვებულია და მართლზომიერ ქმედებად ითვლება. აბორტი დასაშვებია მაშინ, როცა ორსულობის ხანგრძლივობა არ გასცდენია თორმეტ კვირას. ამ ვადის ზევით ორსულობის შეწყვეტა დასაშვებად არის მიჩნეული, როცა ის საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ასეთი აბორტი, როგორც ითქვა, უკიდურესი აუცილებლობით არის გამოწვეული. აბორტი უკანონოდ ითვლება, როცა ის ხდება ამისათვის დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ. ის დასაშვებია მხოლოდ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში. აბორტი უკანონოა მაშინ, როცა ის კეთდება სახლში ან სხვა შენობაში, თუნდაც სამკურნალო დაწესებულებაში, მაგრამ არა იმ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც სპეციალურადაა მოწყობილი აბორტის გასაკეთებლად.

მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება აბორტი მაშინაც, როცა ქალს აქვს უკუჩვენება ოპერაციის მიმართ, რაც გამოწვეულია ავადმყოფური მდგომარეობით. სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით, ამიტომ ამ მისი მცდელობა ყოველთვის არის შესაძლებელი. 133-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ის, ვისაც სპეციალური მოვალეობა აკისრია, მაგრამ ამსრულებლად შესაძლებელია სხვებიც მოგვევლინონ. თანამონაწილე (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი) შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი. 133-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს რამდენიმე მაკვალიფიცირებელ გარემოებას: 1) იგივე ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ. ამ ნიშნით ქმედება დაკვალიფიცირდება იმ შემთხვევაში, თუ წინა მსჯავრდებისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჯერ კიდევ არ არის (იხ. 76-ე მუხლი, ნასამართლობა). 133-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირდება, აგრეთვე, ქმედება, თუ უკანონო აბორტმა „გამოიწვია შვილოსნობის საბუდამო მოშლა“. ამავე ნაწილით დაკვალიფიცირდება ქმედება, როცა მას მოჰყვა „სხვა მძიმე შედეგი“. აქ უნდა იგულისხმებოდეს ჯანმრთელობის სხვაგვარი მძიმე დაზიანება. 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირდება უკანონო აბორტი, თუ ამ ქმედებას მოჰყვა ქალის სიცოცხლის მოსპობა.

შეევხებით აბორტების ოფიციალური სტატისტიკურ მონაცემს, რომელიც, მართალია, სამეცნიერო ნაშრომის მთავარ საკითხს არ წარმოადგენს, მაგრამ მიუთითებს ამ კუთხით მუშაობის გაძლიერების მნიშვნელობაზე.

სტატისტიკა ძირითადად წარმოებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. მათ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს შორის (2011 წლის მდგომარეობასთან დაკავშირებით) მცირედი განსხვავებებია, თუმცა საქართველოში არსებული აბორტების ზრდის საგანგაშო დინამიკა ორივე დაწესებულების მონაცემებში იკითხება. საგამოძიებო და გამოძიებაზე საზედამხედველო სამსახური, როგორცაა საქართველოს პროკურატორა, მონიტორინგს უწევს უკანონო აბორტების ირგვლივ მიმდინარე გამოძიებებს.

2013 წლის 22 მაისს ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია 2004-2012 წლებში საქართველოში ჩატარებული აბორტების შესახებ. მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ცხრა წლის განმავლობაში (2004-2012 წწ.) საქართველოში ორსულობის შეწყვეტის საგანგაშო რიცხვი – 221082 დაფიქსირდა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აბორტების დინამიკა ყოველწლიურად მატულობს და 2004 წლის მონაცემთან შედარებით 2012 წლის წინასწარი მონაცემი 130%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება ხელოვნური აბორტების რიცხვს, 2012 წლის მაჩვენებლებით, ხელოვნური აბორტების რაოდენობა 300%-ით არის გაზრდილი 2004 წლის მონაცემთან შედარებით, ხოლო 2011 წელთან მიმართებით ზრდა 25%-ს შეადგენს (6785 შემთხვევით მეტი, სულ – 33644 აბორტი). აღნიშნულ პერიოდში ორსულობის შეწყვეტის შემთხვევების დინამიკა წლების მიხედვით ასახულია დიაგრამაზე.<sup>5</sup>

ნაშრომის ზოგად ნაწილში შევეხებით საქართველოს სსკ-ის 134-ე მუხლს. თბილისის საქალაქო სასამართლოში პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ არსებობს. თავის მხრივ, კი ადამიანის ორგანოთა გადანერგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 23 თებერვლის კანონი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში პრაქტიკა არც 135-ე მუხლთან დაკავშირებით არსებობს. სისხლით ან სისხლის კომპონენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „ჯანმრთელობის დაც-

---

<sup>5</sup> <<https://idfi.ge/ge/news-69>>.

ვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 11 ნოემბრის კანონი (21-ე თავი). სისხლისა და სისხლის კომპონენტების დონორობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება ასევე „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მიუხედავად მწირი პრაქტიკისა, ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა (1351-ე მუხლი). ეს ნოვაცია სისხლის სამართლის კოდექსში და ასევე პირობადებულია თანამედროვე მედიცინის მიღწევებით ტრანსპლანტოლოგიაში.<sup>6</sup> უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი საერთაშორისო სამართლის აქტისა თუ ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალულია ადამიანის ორგანოთა კომერციული გარიგების საგნად გადაქცევა. („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლი; „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი და სხვ.) ამან ყველაფერმა (როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ ვალდებულებათა ერთობლიობამ) განაპირობა სსკ-ის ამ მუხლის არსებული რედაქციით ჩამოყალიბება. 1351-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხელყოფს ადამიანის ორგანოთა გადანერგვის სფეროში დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. დანაშაულის ობიექტური მხარე ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, ფაქტობრივად, დანაშაულის ამსრულებელს უნდა გააჩნდეს სპეციალური პროფესიული გამოცდილება და სპეციალიზაცია, რათა ეს დანაშაული ჩაიდინოს. სწორედ ამიტომ, შესაძლოა მუხლი დახასიათდეს სპეციალური ამსრულებელის კუთხით, რომელიც არის ამ სფეროში კარგად ჩახედული ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, აღასრულოს ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი და მიზანი ანგარებითია. გამოწვევის შემთხვევას წარმოადგენს ახლობელი ადამიანის გადარჩენის სურვილი ან პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არსებული რაიმე სხვა გარემოება. აღნიშნული მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან და აწესებს სხვადასხვა სანქციებს დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

<sup>6</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მაძულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 161.

სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთ ნახსენებ მუხლებზე საუბარს დავასრულებთ 136-ე მუხლით. გენეტიკური მანიპულაცია, ესე იგი ადამიანის მსგავსი არსების შექმნა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.<sup>7</sup> საუბარია რა თანამედროვე ეპოქაზე, უკვე არსებულ გამოცდილებასა და სხვადასხვა საკითხებზე, ცხადია უახლეს ეპოქაში გენური ინჟინერიის სფეროში (გენეტიკაში) წარმოებულმა გამოკვლევებმა სამართლის წინაშე ახალი პრობლემები წამოჭრა. რომ არ მოხდეს გენეტიკის მიღწევათა მოსალოდნელი ბოროტი გამოყენება, საერთაშორისო და ადგილობრივმა კანონმდებლობამ მოახდინა ამ საკითხის მიმართულებით ჰარმონიზაცია და მათი დახვეწა. კლონირება, პირველად, 1996 წელს მოხდა.<sup>8</sup> მას შემდეგ, მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა აკრძალეს იგი (დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, კანადამ, ევროპის არაერთმა სახელმწიფომ). მართალია, საქართველოში ძნელი წარმოსადგენია ამჟამად კლონის შექმნა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ამ კუთხით მოწესრიგებულია. გენეტიკური მანიპულაციის კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვას რეპროდუქციული საქმიანობის სფეროში. აქ იგულისხმება ოჯახის დაგეგმვის, ჯანსაღი შთამომავლობის ყოლისა და სხვა ინტერესები, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეექმნას; ასეთი ოპერაციების ჩატარების შედეგად<sup>9</sup> გენურ ინჟინერიებში მანიპულაციები შეზღუდულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლებრივი აქტებით. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით, გენეტიკური გამოკვლევები დაიშვება მხოლოდ სამედიცინო მიზნით, რათა დადგინდეს გენეტიკაში ამა თუ იმ დაავადების ხასიათი და შემუშავდეს მისი მკურნალობის მეთოდი. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 142-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის კლონირება გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით აკრძალულია.<sup>10</sup> ანალოგიურ აკრძალვას შეიცავს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე და 34-ე მუხლები. ამრიგად, ადამიანის გენოტიპში ცვლილებების შეტანა სამკურნალო მიზნის გარეშე, გენეტიკის უხეშად გამოყენება ადა-

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლი.

<sup>8</sup> <<http://news.discovery.com/tech/biotechnology/adult-human-cells-cloned-for-first-time-140418.htm>> [17.04.2015].

<sup>9</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 162-163.

<sup>10</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 142-ე მუხლი.



მიანის რეპროდუქციულ საქმიანობაში და სხვა არასამედიცინო დანიშნულების საქმიანობა გენურ ინჟინერიაში აკრძალულია. საინტერესო საკითხია რომელიც ეხება ამ მუხლის ამსრულებელს. ის შესაძლოა იყოს ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნიშნების მქონე სუბიექტი (ვთქვათ, მეცნიერ-ბიოლოგი). დანაშაულის სუბიექტური მხარე – პირდაპირი განზრახვაა, მოტივი – მეცნიერული ინტერესი, განდიდება, შურისძიება და ა.შ.

## 2.2. მუხლი 130 – ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება

130-ე მუხლით გათვალისწინებულია უმოქმედობის დელიქტი. ეს ფიქცია გამოდინარეობს იქიდან, რომ ამ შემადგენლობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ უმოქმედობით („დანმარების გაუწევლობა“). ავადმყოფი, რომელსაც მედიცინის მუშაკი არ ეხმარება, უნდა იყოს „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში“, რამეთუ დისპოზიციაში საუბარია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობაზე. აღნიშნული ნიშნავს, რომ ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე უნდა ეშუქებოდეს.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება განმარტებულია შემდეგნაირად: „სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება“. ამავე კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე ექიმი მოვალეა, აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. ეს მოვალეობა ექიმს ეკისრება როგორც სამუშაო ადგილზე, ისე არასამუშაო ადგილზე შესაძლებლობების ფარგლებში.<sup>11</sup>

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებელად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.

<sup>11</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 145.

ავადმყოფის დაუხმარებლობისათვის მედიცინის მუშაკს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყვის დახმარების გაწევაზე არასაპატიო მიზეზით. თუ დაუხმარებლობის მიზეზი საპატიო იყო, მაშინ პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. აღნიშნული წარმოადგენს სამართლებრივი შეფასებისა და პროცესუალური წარმოების საკითხს.

სწორედ ამიტომ, მედიცინის მუშაკი პასუხს არ აგებს ამ მუხლით, თუ ავადმყოფი არ არის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და საფრთხე ემუქრება მხოლოდ მის ჯანმრთელობას. სამედიცინო დახმარება არათუ აუცილებელი, გადაუდებელი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ დახმარება დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს. ზოგჯერ წამებს აქვს მნიშვნელობა, რომ ავადმყოფი გადარჩეს. თუ მედიცინის მუშაკი ავადმყოფისაგან ტერიტორიულად დაცილებულია, „გადაუდებელი დახმარება“ ნიშნავს მის დაუყოვნებლივ გამგზავრებას ავადმყოფთან დახმარების მიზნით. ექიმი პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაში, თუ მის მისვლამდე ავადმყოფი გარდაიცვალა.

130-ე მუხლით მედიცინის მუშაკი პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ არ დაეხმარა ავადმყოფს „არასაპატიო მიზეზით“. თუ დაუხმარებლობის მიზეზი საპატიო იყო, მაშინ პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. საპატიოა მიზეზი მაშინ, როცა მედიცინის მუშაკს ხელს უშლიდა რაიმე ობიექტური გარემოება – სტიქიური უბედურება (მაგალითად, წყალდიდობა), უტრანსპორტობა და სხვ.

ერთ-ერთ საპატიო გარემოებად მიჩნეულ უნდა იქნეს მოვალეობათა კოლიზია. 130-ე მუხლით აღწერილი დელიქტი მოვალეობის დელიქტია. მედიცინის მუშაკი ვალდებულია, დაეხმაროს ავადმყოფს, მაგრამ ის შეიძლება ორი სხვადასხვა მოვალეობის შესრულების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდეს. მაგალითად, მედიცინის მუშაკს ერთდროულად წარმოეშვა მოვალეობა, რომ დაეხმაროს ორ სხვადასხვა ავადმყოფს, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქრა. ექიმს არ აქვს შესაძლებლობა, დაეხმაროს ორივეს ერთდროულად და დაეხმარა მხოლოდ ერთს. მეორე დარჩა დახმარების გარეშე და დაიღუპა. ეს იქნება მართლწინააღმდეგობის გამოძრცხველი გარემოება და მედიცინის მუშაკი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსკ-ს 32-ე მუხლის საფუძველზე, რაც, თა-

ვისმხრივ, გულისხმობს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას სხვა მართლზომიერი ქმედების დროს.<sup>12</sup>

საპატიო მიზეზად ჩაითვლება, აგრეთვე, რაიმე ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, ვთქვათ, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა ან სხვა დაუძლეველი ძალა და მისთ.), უტრანსპორტობა, სათანადო სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პრეპარატის) უქონლობა; ასევე, მედიცინის მუშაკის ავადმყოფობა და სხვა გარემოებები, რომლებიც შესაძლებლობას უსპობენ, მას დაეხმაროს ავადმყოფს.<sup>13</sup>

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის დაუხმარებლობა საპატიო მიზეზით მოხდა თუ არა, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. დანმარების აღმოუჩენლობის საპატიო მიზეზად არ ჩაითვლება ისეთი საბაბი, როგორცაა ავადმყოფთან გამოძახება არასამუშაო საათებში, შვებულებაში ყოფნის დროს, სპორტულ ან სადღესასწაულო ღონისძიებაზე წასვლის სურვილი და სხვ. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ექიმი მსახურობს თუ არა (ვთქვათ, პენსიონერია ან უმუშევარი).

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევს არა აქვს შესაძლებლობა, აღმოუჩინოს პაციენტი ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია, მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება. ამ მოვალეობის შეუსრულებლობაც გამოიწვევს პასუხისმგებლობას 130-ე მუხლით.<sup>14</sup>

სსკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია მედიცინის მუშაკი. მედიცინის მუშაკი ფართო ცნებაა და გულისხმობს უმაღლესი და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე დიპლომიან პირებს, რომლებიც ეწევიან სამედიცინო საქმიანობას (ექიმი, ექთანი, ბებია-

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლი.

<sup>13</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი.

<sup>14</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 146.

ქალი და სხვა). მამასადაძმე, სახეზე გვაქვს დანაშაულის სპეციალური ამსრულებელი, რომელსაც სხვადასხვა ნორმატიული აქტით დაკისრებული აქვს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მოვალეობა.

დანაშაულის სუბიექტური მხარე - განზრახვა. მედიცინის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ავადმყოფი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საპატიო მიზეზის გარეშე არ უწყევს დახმარებას. ამასთან, როგორც მართებულად არის შენიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, განზრახვა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობაზე და არა შედეგზე. თუ პირი ითვალისწინებს, რომ მის უმოქმედობას შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, მაშინ იგი პასუხს აგებს არა 130-ე მუხლით, არამედ ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის კონკრეტული შედეგის მიხედვით.

130-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როგორც კი მედიცინის მუშაკი ავადმყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარს იტყვის.

130-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს – იმავე ქმედებას, რამაც გამოიწვია ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა. დახმარების აღმოუჩენლობისა და ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან სიკვდილს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი. ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის მიმართ მედიცინის მუშაკის სუბიექტური დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. ამგვარად, 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა წარმოადგენს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს (სსკ-ის მე-11 მუხლი).

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 37-ე მუხლით, ექიმს უფლება აქვს უარი თქვას პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

საპატიო მიზეზად არ ჩაითვლება ექიმისადმი მიმართვა დაეხმაროს ავადმყოფს არასამუშაო საათებში, შვებულების დროს. ექიმი ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებს 130-ე მუხლით. არც იმას აქვს მნიშვნელობა ექიმი მსახურობს თუ არა (ვთქვათ, პენსიონერია).<sup>15</sup>

ამ დანაშაულის ამსრულებელია მედიცინის მუშაკი. აქვე უნდა ითქვას, რომ მედიცინის მუშაკი ფართო ცნებაა და იგი გულისხმობს ექიმს, ექთანს, ბებია-ქალს, ფერშალს და სხვ. როგორც ვთქვით, ეს დანაშაული მოვალეობის დელიქტია. მაშასადამე, მისი აღსრულება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც აკისრია სპეციალური მოვალეობა, დაეხმაროს ავადმყოფს, ამიტომ ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება,<sup>16</sup> თუმცა სავსებით შესაძლებელია წაქეზება და დახმარება, რადგან სუბიექტურობის მხრივ ეს დელიქტი განზრახი დელიქტია. ამავე დროს არ არის აუცილებელი, რომ წამქეზებელს ან დამხმარეს ეკისრებოდეს სპეციალური მოვალეობა დაეხმაროს ავადმყოფს.

130-ე მუხლით აღწერილი დანაშაული, როგორც ითქვა, მოვალეობის დელიქტია, ამიტომ, მიუხედავად, იმისა, რომ მისი ჩადენა პირდაპირი განზრახვით ხდება, არ შეიძლება ამ დანაშაულის არც მომზადება, არც მცდელობა, რადგან დანაშაული მაშინვე მთავრდება, როგორც კი მედიცინის მუშაკი მოვალეობის შესრულებაზე უარს იტყვის.

### 3. სტატისტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი სტატისტიკა იძლევა საშუალებას სისხლის სამართლის უშუალოდ იმ ასპექტებზე საუბრისა, რომელიც მიმოხილულ იქნა. 2013 წლის სტატისტიკა ოფიციალურად გამოქვეყნებული არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე.<sup>17</sup>

---


<sup>15</sup> Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, Под. ред. В. Т. Томина, Москва, 2002, 285.

<sup>16</sup> გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974, 68.

<sup>17</sup> <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2013-weli-wigni-1kari-sisxli.pdf>> [17.04.2015].

სხვადასხვა კლასიფიკაციებიდან, გამოიყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობის დინამიკა დანაშაულის სახეების მიხედვით.

კვლევის მიზნებისათვის, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, ალბათ, უნდა იყოს დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.



სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან მიღებული მონაცემებით (თბილისი, 2013 წლის იანვარი), პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დასმული ექიმების პასუხისმგებლობის საკითხთა რაოდენობა წლების განმავლობაში ვარირებს. ხშირი სამედიცინო შეცდომები და გადაცდომები იწვევს სამედიცინო მომსახურების ხარჯების გაზრდას, რესურსების არაადეკვატურ ხარჯვასა და შეიძლება გახდეს პაციენტის მდგომარეობის გაუარესების, რიგ შემთხვევებში კი ლეტალური გამოსავლის მიზეზი. ეფექტურობის ამ სუბ-კომპონენტის შეფასებისათვის შერჩეული ინდიკატორის სანდოობა შედარებით დაბალია და აღნიშნული მონაცემებით სამედიცინო მომსახურების ხარისხზე მსჯელობა არაზუსტი იქნება. საჭიროა შემდეგი ანგარიშის მომზადებისას შემუშავდეს სათანადო ინდიკატორ(ებ)ი, რათა ზუსტად შეფასდეს მომსახურების ხარისხის.<sup>18</sup>

<sup>18</sup> <<http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2013/01/jandacvis-sistemis-efekturobis-angarishi.pdf>> [17.04.2015].

რაც შეეხება მოცემული კვლევის ერთ-ერთი უმთავრეს მიმართულებას – ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებას – მის ირგვლივ მსჯელობისას მოხმობილ უნდა იქნეს შესაბამისი მონაცემები. პირველ რიგში, უნდა შევეხოთ არსებულ შემთხვევებსა და ფაქტობრივ გარემოებებს.

ასეთ შემთხვევას წარმოადგენს 2009 წლის 10 ივნისს გარდაცვლილი ბავშვის მშობლების მიერ გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ექიმების დასჯის მოთხოვნა. 5 წლის მეტი ხაზიურის მშობლები გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექიმების დასჯას ითხოვდნენ ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების მუხლით, გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.<sup>19</sup>

გახმაურებულსა და კვლევისათვის მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენს დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ყოფილი ექიმის გიორგი სეხნიაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება, რომელიც 3 წლის ამილ გასანოვის განსაცდელში მიტოვების გამო იყო ბრალდებული 2011 წელს.<sup>20</sup>

2012 წლის 30 მაისს სასამართლომ ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრის წინააღმდეგ რუსუდან ფუტკარაძის სარჩელი დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვთა საავადმყოფოს დაზარალებული-სათვის 27000 ლარი უნდა გადაეხადა. სისხლის სამართლის საქმე კი, რომელიც ფაქტზე 130-ე მუხლით იყო აღძრული და რაც ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებას გულისხმობდა, გაგრძელდა.<sup>21</sup>

ბოლოდროინდელი ერთ-ერთი გახმაურებული საქმეა ნუგზარ ათაბაძის ნათესავების დავა აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს წინააღმდეგ.

2012 წლის 20 ივნისიდან აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს შემაღ-გენლობაში არსებული სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო სწავლობდა საქმეს ორი ექიმის წინააღმდეგ, რომელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მათ ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება ედებოდათ ბრალად. გარდაცვლილის ახლობლები ჯანდაცვის მინისტრს ექიმების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასა და რესპუბლიკური საავადმყოფოს მიერ დაკისრებული დავალიანების – 14141 ლარის გადახდისგან გათავისუფლებას

<sup>19</sup> <<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=11143&lang=geo>> [17.04.2015].

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> <<http://www.batumelebi.ge/GE/batumelebi/news/11387/>> [17.04.2015].

სთხოვნენ. ქობულეთის მკვიდრი 33 წლის ნუგზარ ათაბაძე საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, 2 დღეში, გარდაიცვალა. იგი ჰემორაგიული პანკრეატიტით იყო ავად.<sup>22</sup>

ზემოთ მოყვანილი მოყვანილი ფაქტობრივი მასალა საერთო სურათზე წარმოდგენასა და რეზიუმირების შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

#### 4. რეკომენდაციები

გამომდინარე საკითხის სპეციფიკიდან, მედიცინის მუშაკებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რათა საჭიროებისამებრ ისარგებლონ ფართო მასშტაბიანი იურიდიული კონსულტაციით. მართალია, იურისტები წარმოადგენენ მათ საერთო სასამართლოების ყველა საფეხურზე (საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი), მაგრამ გამართული კანონმდებლობაც მედიცინის მუშაკების უფლება-მოვალეობების განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ ამას შეეხება ეს კვლევა და მოხმობილი საკანონმდებლო ბაზის, მისი ანალიზის, უახლესი ინფორმაციებისა და სტატისტიკის საფუძველზე განვსაზღვროთ მოცემული საკითხის ირგვლივ არსებული შესაძლო პრობლემები, მოვახდინოთ მათი შეფასება და გარკვეულწილად კიდევ ერთხელ დავსახოთ რეკომენდაციები.

აქვე მივუთითებთ, რომ 2003 წლის 6 მაისს საქართველოს ექიმთა კონგრესი იღებს „საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსს“. კოდექსში ჩამოყალიბებულია პაციენტთან, კოლეგასთან, მთლიანად საზოგადოებასთან ექიმის ურთიერთობის განმსაზღვრელი ეთიკური პრინციპები. ამ დოკუმენტმა ასევე დაადგინა და განსაზღვრა მედიცინის მუშაკების მოქმედების პროფესიული არეალი.

როგორც აღვნიშნეთ, გარდა სამართლის სხვა დარგებისა, მედიცინის მუშაკები განსაკუთრებით ფიგურირებენ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში, კერძოდ, სსკ-ის განხილულ მუხლებში. ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი ზმირ შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი ვერ იქნება. ისინი კვალიფიციური კადრები არიან. ზოგადად მიმოვიხილოთ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 131-ე, 133-ე, 134-ე, 135-ე, 135<sup>1</sup>-ე

---

<sup>22</sup> <[http://www.tv25.ge/?page=news&news\\_id=2628](http://www.tv25.ge/?page=news&news_id=2628)> [17.04.2015].



და 136-ე მუხლები. კვლევის განსაკუთრებული აქცენტი კი სსკ-ის 130-ე მუხლზე მოვახდინეთ, რაც ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებას გულისხმობს.

იურისტების მიერ განხორციელებული სამართლებრივი მომსახურება, რაც გამოიხატება მედიცინის მუშაკების სისხლის სამართლებრივ დაცვაში, ასახავს საქართველოში არსებულ რეალობას. მედიცინის მუშაკები, რომლებიც საპროცესო განხილვების მონაწილეები, ხშირად განიცდიან კვალიფიციური იურიდიული კადრების ნაკლებობას და რთულ პროცესუალურ საკითხებთან შეგჯახებისას რთულ ვითარებაში აღმოჩნდებიან ხოლმე. მათ უჭირთ კვალიფიციური ადვოკატის პოვნა, რომელსაც აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება მათი საქმეების გაძღოლისათვის. ამ ტიპის იურისტების მთავარი ფუნქცია საქართველოში (ისევე, როგორც ინგლისში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში) არის ის, რომ წარმოადგენდნენ მედიცინის მუშაკებსა და სამედიცინო დაწესებულებებს სისხლის სამართლებრივ პროცესში. ექიმების დაცვის ეს თითქმის უალტერნატივო მექანიზმი ასევე იძლევა მათი წარმოდგენის საშუალებას გამოძიების მიმდინარეობისას. ეს საკითხები ძირითადად სწორედ რომ სამედიცინო მომსახურებას, მეკურნალობას (გაწეულ ან გაუწეველ დახმარებას) შეეხება. კონკრეტულ შემთხვევებზე დაფუძნებით, ეს შეიძლება იყოს მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. თითოეული კაზუსი უნდა გადაწყდეს კანონმდებლობისა და კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობით დაცული არის (მიუხედავად დასმული პრობლემებისა) და უნდა იყოს არა მხოლოდ პაციენტის უფლებები, არამედ მედიცინის მუშაკისაც. სამედიცინო მომსახურება უნდა განხორციელდეს გადაუდებლად, რათა არ დაინგალიდდეს, გარდაიცვალოს ან მნიშვნელოვნად არ შეერყეს ჯანმრთელობა პაციენტს. თუ ამ შემთხვევებში სამედიცინო მომსახურების გამწევს (კლინიკას, სამშობიაროს და სტომატოლოგიურ განყოფილებას და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებას) არ გააჩნია შესაძლებლობა, აღმოუჩინოს პაციენტს საჭირო დახმარება, იგი ვალდებულია, მიაწოდოს პაციენტს ან მის ნათე-

სავს, ან კანონიერ წარმომადგენელს სრული, ამომწურავი ინფორმაცია, თუ სად შეიძლება განხორციელდეს სამედიცინო მომსახურება. ამასთან, მსჯელობის მთავარ საკითხს წარმოადგენდა მედიცინის მუშაკის უფლებებისა და გარანტიების დაცვა სასამართლოში. ეს საკითხი წარმოჩენილია წინამდებარე ნაშრომში, რაც მედიცინის მუშაკის უფლება-მოვალეობებს შეეხება.

სამედიცინო მომსახურების გამწევს არ აქვს უფლება, არ აღმოუჩინოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება იმ პირს, რომელიც შესაძლებელია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე გარდაიცვალოს, დაინვალიდეს, ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდეს. ეს ვალდებულება გამომდინარეობს სამედიცინო პერსონალის პროფესიული მოვალეობებიდან, აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლიდან, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პაციენტის განსაცდელში მიტოვებისათვის.

მედიცინის მუშაკის მიერ დახმარების გაუწევლობა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებისას იწვევს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას. ექიმი მოვალეა, აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. მედიცინის მუშაკის სისხლისმართლებრივ პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ არასაპატიო მიზეზით დახმარებაზე უარის თქმისას, რაც ხშირად მოკვლევა/გამოძიებისა და დაკვალიფიცირების დროს რთული შესაფასებელი ხდება.

მამაკაცის მიერ ბავშვის მოვლის გამო შევებულებით  
სარგებლობის უფლების პრაქტიკული რეალიზაციის  
პრობლემები საქართველოში

მარიამ ცისკარაშვილი\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

*მაკა მხატვრიშვილი*

*დოქტორანტი*

შესავალი

გენდერული თანასწორობის საკითხი დიდი ხანია არის და, ალბათ, მომავალშიც იქნება ცხარე განხილვის საგანი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. გასულ წლებთან შედარებით, ჩვენი საზოგადოების მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით საგრძნობლად გაუმჯობესდა: ისეთი პოპულარობით ვეღარ სარგებლობს ინკვიზიციის დროს გავრცელებული მითები „კუდიანი“ ქალების შესახებ, აღარც მაცდური, შეუბრალებელი ქალის პორტრეტის წარმოჩენას ცდილობს დღეს მსოფლიო თუ ქართული მწერლობა.<sup>1</sup>

საუკუნეების წინ ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე წერდა: „სამი რამ შეიძლება ჩავთვალოთ ბედნიერებად: ის, რომ შენ ველური ცხოველი არ ხარ, რომ შენ ბარბაროსი არ ხარ, რომ შენ კაცი ხარ და არა ქალი.“<sup>2</sup> ბოლო წლებში განხორციელებულ ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება ქალის სტატუსის ცვლილება. როგორც *ჰერი უილსი* იტყვოდა, მან ადამიანური რასის ნახევარი გამოანთავისუფლა.<sup>3</sup>

საზოგადოებაში დამკვიდრებული ქალთა ტრადიციული როლის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მათდამი სტერეოტიპული დამოკიდებულება

\* კავკასიის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი.

<sup>1</sup> კიკნაძე თ., ფემინიზმის ფილოსოფია, მ. მელაშვილის თარგმანი, ა. ცამციშვილ-ფიცხალაურის რედაქტორობით, თბილისი, 1997, 3.

<sup>2</sup> იქვე, 4.

<sup>3</sup> იქვე, 36.

მაინც ძალიან ხშირია. შესაძლოა, ერთი შეხედვით, ბევრი იზიარებდეს პაღე მოციქულის სიტყვებს: „ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ - ქმარი და არც ქმარია თავისი სხეულის უფალი, არამედ - ცოლი.“<sup>4</sup> მაგრამ აშკარაა, რომ საქართველოში კვლავ პატრიარქალური საზოგადოებაა და გენდერული თანასწორობის თემა საკმაოდ მწვავედ ღვას. ჯერ კიდევ ვერ დამსხვრეულა ისეთი სტერეოტიპები, როგორებიცაა: „ბავშვის აღზრდა მხოლოდ ქალის საქმეა“, „ფულის შოვნა კაცის საქმეა“, „ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს“ და ა.შ. ქალების როგორც დედაბა და ცოლებად აღქმის შეცვლა და ქალების ინდივიდუალად და მამაკაცის თანასწორ სუბიექტებად მიჩნევა აუცილებელია მათ შორის თანასწორობის მისაღწევად.<sup>5</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი დამოკიდებულების მსხვერპლნი, ჩვენდა გასაკვირად, შესაძლოა, თავად მამაკაცებიც კი აღმოჩნდნენ.

არის თუ არა ბავშვის აღზრდა მხოლოდ ერთი მშობლის მოვალეობა? რატომ აწყდებიან დაბრკოლებას ქარველი მამაკაცები დამსაქმებელთან ურთიერთობისას საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლით გარანტირებული უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით? ცდილობენ თუ არა ისარგებლონ აღნიშნული უფლებით? მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აქვთ თუ არა ბავშვის მოვლის შვებულების უფლებით სარგებლობის განსხვავებული შესაძლებლობები დედებსა და მამებს? შეიძლება თუ არა იგი დავაკავალიფიციროთ როგორც დისკრიმინაცია, ანუ მსგავს მდგომარეობაში მყოფი ცალკეული პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა?<sup>6</sup> და საერთოდ, ამ კუთხით არის თუ არა შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან?

შედარებით სამართლებრივი მეთოდისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნაშრომი პასუხს გასცემს ზემოთ ხსენებულსა და სხვა ისეთ კითხვებს, რომლებიც ამ პრობლემური საკითხის ირგვლივ ტრიალებს.

---

<sup>4</sup> პავლეს ეპისტოლენი პირველ კორინთელთა მიმართ, თავი 7.

<[http://www.orthodoxy.ge/tserili/akhali\\_agtqma/1korintelta-7.htm](http://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/1korintelta-7.htm)> [5.05.2015].

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე Konstantin Markin v. Russia.

<sup>6</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 იანვრის განჩინება საქმეზე Hoogendik v. the Netherlands.

## 1. ზოგადი მიმოხილვა

ორსულობის, მშობიარობისა თუ ბავშვის მოვლის გამო მიცემულ შვებულებას ხშირად იხსენიებენ საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებული ტერმინით – „დეკრეტული შვებულება“. იგი არასამართლებრივი ტერმინია.

საბჭოთა რუსეთში 1917 წლის 14 ნოემბერს სახალხო საბჭოს კომისარმა (CHK) მიიღო „დახმარება ფეხმძიმობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით“ დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა სამუშაო ადგილის შენარჩუნებასა და შვებულების ანაზღაურებას ფეხმძიმობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ 112 დღის ოდენობით (8 კვირა დაბადებამდე და 8 კვირა დაბადების მერე). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული შვებულების გამოყენების უფლება მიეცათ სწორედ სახალხო საბჭოს კომისარის მიერ გაცემული დეკრეტით, ამ შვებულებას უწოდეს „დეკრეტული შვებულება“. აღნიშნული ტერმინი იმდენად არის დამკვიდრებული, რომ 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტიის<sup>7</sup> მე-8 მუხლის პირველი პუნქტი – “to provide either by paid leave, by adequate social security benefits or by benefits from public funds for employed women to take leave before and after childbirth up to a total of at least fourteen weeks”<sup>8</sup> – ოფიციალურ თარგმანში გადმოტანილია შემდეგნაირად: „ანაზღაურებადი შვებულებით, ადეკვატური სოციალური უზრუნველყოფით ან სახელმწიფო ფონდებით გათვალისწინებული შეღავათებით უზრუნველყონ დასაქმებული ქალებისათვის ბავშვის დაბადებამდე და ბავშვის დაბადების შემდეგ არანაკლებ თოთხმეტი კვირის ხანგრძლივობის დეკრეტული შვებულება.“ შესაბამისად, მიუხედავად ამ ტერმინის არასამართლებრივი ხასიათისა, ოფიციალურ თარგმანშიც იმკვიდრებს იგი ადგილს, თუმცა ამ ნაშრომში აღნიშნული შვებულება მოხსენიებული იქნება როგორც ორსულობის, მშობიარობისა თუ ბავშვის მოვლის გამო მიცემული შვებულება.

## 2. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია. ამ მუხლის მიზანია, უზრუნველყოს თანას-

<sup>7</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წლის 1 ოქტომბერს.

<sup>8</sup> <[http://www.hrcr.org/docs/Social\\_Charter/soccharter5.html](http://www.hrcr.org/docs/Social_Charter/soccharter5.html)> [20.02.2015].

წორება კანონის წინაშე, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ ან პირიქით.<sup>9</sup> თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს და იგი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში.<sup>10</sup>

საინტერესოა, რამდენად თანასწორია მოპყრობა ქალებისა და მამაკაცების მიმართ, როდესაც საქმე ბავშვის მოვლის შევსების ალბას უკავშირდება? აღნიშნული უფლების რეალიზაცია, თავისი არსით, პირდაპირ კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთანაც, რომელიც თითოეული პირის შრომითი უფლებების გარანტს წარმოადგენს. ამ უკანასკნელს, სოციალურ ხასიათთან ერთად კლასიკური უფლების მნიშვნელობაც აქვს, რომლის ძირითადი დანიშნულება გამოიხატება სახელმწიფოს უკანონო ჩარევისგან თავის დაცვაში.<sup>11</sup>

ბავშვის მოვლის შევსების ალბა რამდენიმე ძირითად ეტაპს მოიცავს. თითოეული მათგანის დაწვრილებით განხილვა მკითხველს გაუადვილებს პრობლემის არსში ჩაწვდომასა და გადაჭრის გზების დასახვას:

### ➤ საქართველოს შრომის კოდექსი

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა უფლება, ისარგებლოს ორსულობის, მშობიარობისა თუ ბავშვის მოვლის გამო შევსებით. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილი გადმოცემულია შემდეგი სახით: „დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და

---

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პუნქტი 2.

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პუნქტი 4.

<sup>11</sup> იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 276.

ბავშვის მოვლის გამო შევებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით.“ აქ ვხვდებით ტერმინს - „დასაქმებული“, რაც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების<sup>12</sup> საფუძველზე დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. შესაბამისად, მითითებული ნორმა არ აწესებს სქესის მიხედვით დიფერენცირების შესაძლებლობას და სუბიექტთა წრეს ექსკლუზიურად არ განსაზღვრავს.

➤ **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები**

ზემოთ ხსენებული შევებულების უფლების რეალიზაციას უკავშირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება<sup>13</sup> - „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შეილად აყვანის გამო შევებულების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.“ ეს უკანასკნელი არეგულირებს საჯარო მოსამსახურეებისა და დასაქმებულთათვის დახმარებისა და კომპენსაციის დანიშნვის ანგარიშებისა და გაცემის საკითხებს. აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შეილად აყვანის გამო, დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულზე/მოსამსახურეზე შევსებული საავადმყოფოს ფურცელი. საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესი კი მოწესრიგებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ ბრძანებით<sup>14</sup>. აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, მშობიარობის ფურცელი გაიცემა მეან-გინეკოლოგის ან მკურნალი ექიმის მიერ ორსულობის 26-ე კვირიდან 183 კალენდარული დღით, ხოლო გართულებული მშობიარობისას ან ორი და მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში - 200 კალენდარული დღით. რაც შეეხ-

---

<sup>12</sup> გარდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირებისა, აღნიშნული ნორმა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ასევე ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე.

<sup>13</sup> იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანება.

<sup>14</sup> იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანება.

ება მის მიმღებ პირს, ამავე ბრძანების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, იგი მამაზე ან ბავშვის უშუალოდ სხვა მომვლელზე გაიცემა 183 კალენდარული დღით, გამოყენებული დღეების გამოკლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშობიარობის შემდეგ დედა გარდაიცვლება.

➤ **„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი**

განსხვავებულად წესრიგდება საკითხი სამხედრო სექტორში დასაქმებულ პირებთან მიმართებით. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ქალს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისათვის შვებულება ეძლევა საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>15</sup> ეს ჩანაწერი შესაძლებელია, არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდეს. თუ აღნიშნულ მუხლს განვიხილავთ როგორც საქართველოს შრომის კოდექსთან შეუსაბამოს, ნორმათა კოლიზიის დროს უპირატესობა მიენიჭება იერარქიულად უფრო მაღლა მდგომს, საქართველოს ორგანულ კანონს - შრომის კოდექსს.

➤ **შუალედური დასკვნა**

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სექტორში დასაქმებულთა მიმართ საქართველოს შრომის კოდექსი არ აწესებს არანაირ შეზღუდვას მშობლის სქესის მიხედვით ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბავშვის მოვლის გამო შვებულების სარგებლობისათვის აუცილებელია საავადმყოფო ფურცელი, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მამაზე მხოლოდ დედის გარდაცვალების შემთხვევაში გაიცემა. რაც შეეხება სამხედრო სექტორში დასაქმებულ პირებს, აქ კანონმდებლობა პირდაპირ უთითებს ამ უფლებით მოსარგებლე სქესს - „ქალს.“<sup>16</sup> ეს უკანასკნელი ევროპული კანონმდებლობის მიერ ჩამოთვლილ დისკრიმინაციის აკრძალვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს,<sup>16</sup> მაშასადამე აღნიშნული ნორმები წარმოადგენს სქესის ნიშ-

---

<sup>15</sup> „სამხედრო მოსამსახურის სტატუსი შესახებ“ 1998 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონი (2015 წლის 30 იანვრის მდგომარებით).

<sup>16</sup> მენაბდე ვ., შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - უნივერსალური გამოწვევა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და



ნით დისკრიმინაციას და წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ პრინციპებთან.

დისკრიმინაციის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და კიდევ დიდხანს გაგრძელდება მსჯელობა მის არსში სწორად წვდომის მიზნით, თუმცა დისკრიმინაციული კონცეპტი არის უდავოდ სასარგებლო ფენომენი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ღრმად ჩამჯდარი, მანკიერი პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.<sup>17</sup> ასეთი პრაქტიკა მართლაც რომ ვერ გაამართლებს მამაკაცისთვის ბავშვის მოვლის შევებულების უფლების ჩამორთმევას. ქალების აღქმა, ბავშვების მომვლელებად და მამაკაცების - ოჯახის მარჩენლებად, თავისთავად, ვერ იქნება განხილული როგორც საკმარისი გამართლება განსხვავებული მოპყრობისათვის. ისინი ისევე ვერ გამოდგება, როგორც სხვა მსგავსი სტერეოტიპები კანის ფერთან, რასასა თუ წარმოშობასთან დაკავშირებით. ბავშვის მოვლის შევებულება მჭიდროდ უკავშირდება მამაკაცის როლს ოჯახურ ცხოვრებაში, რადგან ის საშუალებას იძლევა, არსებობდეს ჭეშმარიტი პარტნიორობა პასუხისმგებლობის განაწილების თვალსაზრისით ქალსა და მამაკაცს შორის როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში. მამაკაცებისადმი განსხვავებული მოპყრობა, რაც გამოიხატა ბავშვის მოვლის შევებულების არ/ვერ მიცემაში, წარმოადგენს დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე. შესაბამისად ირღვევა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან კავშირებით. ასეთ შემთხვევებში განსხვავებული მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს არ ექვემდებარება. „საზოგადოებაში დამკვირდებული სტერეოტიპები, რომ „ოჯახის რჩენა კაცის საქმეა“, „ბავშვის აღზრდა დედის საქმეა“ და სხვა, ეწევა, როგორც კაცების დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებას (ოჯახურ ცხოვრებაში), ისე ქალების დისკრიმინაციას (შრომითი უფლების რეალზიზაციათან მიმართებით).<sup>18</sup> ქალების და კაცების ჩაკეტვა ტრადიციულ გენდერულ როლებში კი იწვევს

---

საქართველო, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011, 158.

<sup>17</sup> იქვე, 154.

<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე Konstantin Markin v. Russia.

თანადგომის ნაკლებობას იმ ადამიანების მიმართ, ეს ეხებათ ქალებსაც და კაცებსაც, რომლებიც არ ასრულებენ ტრადიციულ როლებს.“<sup>19</sup>

### 3. შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან

საქართველო ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ხანგრძლივ პროცესს გადის. იმ ერთიანი მიზნის განსახორციელებლად, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას ევროკავშირის მიერ დადგენილ ნორმებთან, საკონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგულია არაერთი ნაბიჯი:

- 1997 წლის 2 სექტემბრის საქართველოს პარლამენტის №828-ე დადგენილებით „ევროპის საერთაშორისო სტრუქტურებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესების განვითარების, სამართლებრივი სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის, ევროპის კავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება - „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“<sup>20</sup> დადგენილების თანახმად „პირველი რიგის ამოცანაა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის არსებითი სრულყოფა, რაც უნდა მოხდეს არსებული სამართლებრივი ბაზის შეფასების, რეკომენდაციების შე-

---

<sup>19</sup> იქვე, პარაგრაფი 119.

<sup>20</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილება.

მუშაებისა და ცვლილებების პაკეტის მომზადების გზით;“<sup>21</sup>

- 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ამ ხელშეკრულების 228-ე მუხლის თანახმად, „მხარეები აღიარებენ თითოეული მხარის უფლებას, განსაზღვრონ ქვეყნის მდგრადი განვითარების პოლიტიკა და პრიორიტეტები, შექმნან ადგილობრივი გარემოსა და შრომითი ურთიერთობების დაცვის დონე და შესაბამისად მიიღონ ან შეცვალონ კანონები და პოლიტიკა, რათა მოხდეს მათი თანხვედრა ამ შეთანხმების 229-ე და 230-ე მუხლებში მოცემულ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და შეთანხმებებთან.“

ევროპულ ოჯახში შესასვლელად სახელმწიფოს მიერ წინადადებულ ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ ხსენებულ დადგენილებებსა და შეთანხმებებზე ხელის მოწერა, თუმცა, ქვემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების განხილვით ნათელი ხდება, რომ დღევანდელი კანონმდებლობა განხილულ საკითხთან დაკავშირებით არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან.

### **3.1. ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია**

1979 წლის 18 დეკემბრის „ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის<sup>22</sup> მე-3 მუხლით განმტკიცებულია თანასწორობის პრინციპი, რომელიც შეიცავს მონაწილე სახელმწიფოებისადმი მიმართულ მოთხოვნას, მიიღონ „ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება მამაკაცებთან თანასწორობის

---

<sup>21</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილება, დანართი №1, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, 3.1.

<sup>22</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 22 სექტემბერს.

საფუძველზე“. აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის, სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავიანთი შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესები.“ საქართველო, როგორც ამ კონვენციის ხელშემკვერი მხარე, ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა დედობის სოციალური ფუნქცია სწორად იქნეს გაგებული და ბავშვის აღზრდის საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობა იყოს აღიარებული.

### **3.2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია;**

თანაბარი შრომითი ურთიერთობების აუცილებლობაზე საუბარია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციაში<sup>23</sup> - „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“. იგი აყალიბებს დისკრიმინაციის ცნებას და ამ ტერმინში გულისხმობს ყოველგვარ განსხვავებას, დაუმუშავლობას ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, პოლიტიკური მრწამსის, უცხოელობის ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობების მოსპობას. შესაბამისად, შვებულებით სარგებლობის წესის სქესის ნიშნით გამოიკვანა, აღნიშნული კონვენციის მიხედვით, ჩაითვლება დისკრიმინაციად.

### **3.3. ევროკავშირის დირექტივები**

თანასწორობის პრინციპის არსს ავითრებს ევროკავშირის არაერთი დირექტივა. კერძოდ, ევროკავშირის 1976 წლის 9 თებერვლის დირექტივის (76/207/EEC)<sup>24</sup> მე-2 მუხლის თანახმად, თანასწორობის პრინციპი ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი დისკრი-

---

<sup>23</sup> იხ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1958 წლის №111 კონვენცია.

<sup>24</sup> <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31976L0207:EN:HTML>> [08.02.2015].

მინაცია სამსახურებრივ საქმიანობაში, ოჯახური მდგომარეობისა და სქესის გამო. აღნიშნული დირექტივის მიხედვით, ორივე სქესის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა დაწინაურების ხელმისაწვდომობასა და თანაბარ სამუშაო პირობებთან.

ევროკავშირის 2010 წლის 8 მარტის დირექტივა (96/34/ EEC)<sup>25</sup> ადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენების წესსა და პირობებს, რომლის მიხედვითაც, ქალიც და კაციც, მიუხედავად მათი შრომითი ხელშეკრულების ტიპისა, თანაბარ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებულნი. აღნიშნულ დირექტივებთან აშკარა შეუსაბამობაშია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №2816 ბრძანება „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“, ვინაიდან იგი საავადმყოფო ფურცლის გაცემას მამაზე ითვალისწინებს მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვის დედა გარდაიცვლება.

### 3.4. ევროსაბჭოს ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა

„პირველი ქვეყანა, რომელმაც მამებს დეკრეტული შვებულების გამოყენების საშუალება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მისცა, ნორვეგია გახლდათ. მოგვიანებით, იგივე კანონი დიდმა ბრიტანეთმაც მიიღო. ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების აღება ორივე მშობელს ერთი წლის ვადით ერთდროულად შეეძლო. გერმანიაში კი ყველაფერი კარიერული დანაკარგის გარეშე ხდებოდა - მამაკაცები შვებულების შემდეგ სამსახურში იმავე თანამდებობაზე დაბრუნების გარანტიას იღებდნენ. პორტუგალიელები არსებული კანონის მიუხედავად, დეკრეტული შვებულებით არ სარგებლობდნენ, ამიტომ 2001 წელს მამაკაცს ცოლის მშობიარობის შემთხვევაში ხუთდღიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების აღების ვალდებულება დაეკისრა.“<sup>26</sup>

ბავშვის მოვლის გამო შვებულება განსხვავებულად რეგულირდება სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო სექტორში დასაქმებულთა შორის.

<sup>25</sup> <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32010L0018>> [08.02.2015].

<sup>26</sup> გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, თბილისი, 2014, 59.

რის ევროსაბჭოს ქვეყნებშიც. ევროპის საბჭოს 33 ქვეყნიდან<sup>27</sup>, 28 სახელმწიფოში ქალებსა და მამაკაცებს ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. განსხვავებაა დანარჩენ ქვეყნებში, კერძოდ: სომხეთსა და შვეიცარიაში თუ პირი არის სამოქალაქო მოსამსახურე, შვებულების აღების უფლება აქვს მხოლოდ ქალს; თურქეთში კერძო სექტორში დასაქმებული მამაკაცი ვერ იღებს შვებულებას, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებული იღებს; ბოსნია-ჰერცეგოვინაში მამაკაცი მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის დროს, როდესაც დედას არ შეუძლია ბავშვზე ზრუნვა, იღებს შვებულებას. ალბანეთში კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს ბავშვის მოვლის გამო შვებულებას.<sup>28</sup>

მაშასადამე, ევროსაბჭოს ქვეყნების დიდი უმრავლესობა ერთნაირად აძლევს შესაძლებლობას ორივე სქესის წარმომადგენელს, ისარგებლოს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით.

#### 4. საქართველოში არსებული სტატისტიკური მდგომარეობა

საქართველოში ქალების მხოლოდ 59%, ხოლო კაცების 77% ითვისებს სამუშაო ძალის ნაწილად. ეს მაჩვენებელი ქალებისთვის ნაკლებია 18%-ით იმიტომ, რომ დიასახლისი ქალები არ განიხილებიან სამუშაო ძალად (ამ მონაცემით საქართველო 73-ე ადგილზეა 136 ქვეყანას შორის)<sup>29</sup>.

რაზე მეტყველებს ეს ნიშნები? ამ შედეგის ახსნა ორი მიმართულებით შეიძლება:

1. ან უნდა ჩაითვალოს, რომ ქალები კაცებზე ნაკლებად სრულფასოვანები არიან;

---

<sup>27</sup> ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ზორვატა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ფინეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, მაკედონია, საფრანგეთი, გერმანია, საქართველო, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვის რესპუბლიკა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო.

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე Konstantin Markin v. Russia, პარაგრაფი 71.

<sup>29</sup> საქართველოს შესახებ მონაცემები აღებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშიდან. იხ. The Global Gender Gap Report 2013, World Economic Forum. იხ. <[http://www3.weforum.org/docs/WEF\\_GenderGap\\_Report\\_2013.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2013.pdf)>.

2. ან უნდა აღიარონ, რომ საზოგადოებათა უმრავლესობაში ქალებს სისტემატურად ავიწროებენ და ჩაგვრის ობიექტნი არიან.<sup>30</sup>

დაწყებით და საშუალო განათლებას ქალები და კაცები თითქმის თანაბრად იღებენ, ხოლო უმაღლესი განათლებით ქალები (33%) 1,2-ჯერ მეტი არიან მამაკაცებზე (27%).<sup>31</sup> ამ მაჩვენებელს თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, მეორე მოსაზრებას უფრო მეტი ადამიანი მიემხრობა. ეს მონაცემები პირდაპირ კავშირშია ამ ნაშრომში დასმულ პრობლემასთან. დაიხ, ქალები ჯერ კიდევ განიხილებიან როგორც დედად, დიასახლისებად, ცოლებად და არა როგორც საზოგადოებაში მამაკაცის თანასწორ ინდივიდებად. სწორედ ამიტომ, ბავშვის მოვლის გამო შევებულებით მოსარგებლე სულ რამდენიმე კაცი თუ მოიძებნება საქართველოში.

იმისათვის, რომ გარკვეულიყო, 2013-2014 წელს თუ რამდენმა მამაკაცმა ისარგებლა საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლით გათვალისწინებული შევებულებით, 25 საჯარო დაწესებულების მაგალითზე კვლევა ჩატარდა.<sup>32</sup> პასუხი მოვიდა 24 დაწესებულებიდან. მონაცემების

---

<sup>30</sup> გზამკვლევი ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისთვის, ადამიანის უფლებების სწავლისა და მონიტორინგის ცენტრი, თბილისი, 2014, 20.

<sup>31</sup> საქართველოს შესახებ მონაცემები აღებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშიდან. იხ. The Global Gender Gap Report 2013, World Economic Forum. ix: <[http://www3.weforum.org/docs/WEF\\_GenderGap\\_Report\\_2013.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2013.pdf)>.

<sup>32</sup> საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (რეგ. №2430/17); საქართველოს ეროვნული არქივის ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივს (რეგ. №353); აღსრულების ეროვნულ ბიუროს (რეგ. №409); სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას (რეგ. №57); საქართველოს პროკურატურას (რეგ. №01/13-1462); განათლების სამინისტროს (რეგ. №6823); საჯარო სამსახურის ბიუროს (რეგ. №90); სსიპ ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს (რეგ. №19); სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (რეგ. №947/09); სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს (რეგ. №122); სსსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (რეგ. №92); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (რეგ. №01/263); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (რეგ. №275/11); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (რეგ. №1290); გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (რეგ. №240); საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (რეგ. №238) შინაგან საქმეთა სამინისტროს (რეგ. №40996) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (რეგ. №24861) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას (რეგ. №1/402); ეროვნუ-

თანახმად, ამ უფლებით ისარგებლა სსიპ განათლების დაწესებულების მანდატურის სამსახურში მომუშავე მხოლოდ ერთმა მამაკაცმა. შესაძლებელია, არსებული მდგომარეობა, რომ მამაკაცები თითქმის არ სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, გამოწვეულია როგორც საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობით, ასევე, საქართველოში არსებული სტერეოტიპული შეხედულებითა და იმ საკანონმდებლო ხარვეზებით, რომლებზეც თემის მთავარ ნაწილში იყო საუბარი.

## დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ბავშვის მოვლის შევსებულებასთან არსებული კანონმდებლობა, აღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებთან და სამართლებრივ ნორმებთან; ამ საკითხთან მიმართებით მიმოხილულია ევროსაბჭოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და წარმოჩენილია ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც მამაკაცების მიერ ბავშვის მოვლის შევსებულების აღებას უკავშირდება. გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ უფლების რეალიზაცია შესაძლოა საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობის გამო კიდევ უფრო გართულებულია. ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღრმად ფესვებგადგმული სტერეოტიპების აღმოფხვრა, რათა ოჯახში როგორც ქალის, ისე მამაკაცის უფლებები იყოს დაცული.

ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა ქალი მზად არ არის დედობისთვის (თუნდაც მისი მცირე ასაკის გამო), როდესაც მას აქვს მშობიარობის შემდგომი დეპრესია, რის გამოც მშვიდი და გავონასწორებული მამა უკეთეს მზრუნველობას გაუწევს ახალშობილს, ან/და თუკი ქალი გაცილებით მეტს გამოიმუშავეს, ვიდრე მამაკაცი, ასეთ დროს, ალბათ, უკეთესი იქნება, რომ მამამ ისარგებლოს ბავშვის მოვლის შევსებულებით და არა დე-

---

ლი სატყეო სააგენტოს (რეგ. №539) სოციალური მომსახურების ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის (რეგ. ნომერი არ მიუნიჭებიათ); საქართველოს მთავრობის კანცელარიას (რეგ. №487); სოფლის მეურნეობის სამინისტროს (რეგ. ნომერი არ მიუნიჭებიათ); სოციალური მომსახურების ვაკე-საბურთალოს ცენტრს (რეგ. ნომერი არ მიუნიჭებიათ); სსიპ განათლების დაწესებულების მანდატურის სამსახურს (რეგ. №6824);



დამ, როგორც ეს დღევანდელ რეალობაში გაცილებით უფრო ხშირად ხდება. უფრო მეტიც, როდესაც ბავშვის მოვლის შევსება განიხილება როგორც „ქალის ვალდებულება“ და არა როგორც „მშობლის ვალდებულება“, ამით იძულებული ხდებიან დედები, რომ ჩამოშორდნენ თავიანთ სამსახურს, ამ ხნის განმავლობაში აღარ მოხდეს მათი სამსახურებრივი გადამზადება, რითაც მათი კარიერული წინსვლის შესაძლებლობები იზღუდება. ეს, მართალია, არ არის ჩაგვრის ისეთი ტიპური ფორმა, როგორცაა ძალადობა ანდა კულტურული ჩაგვრა, მაგრამ მანდილოსნები გარკვეული დოზით ნამდვილად არიან ექსპლუატაციისა და მარგინალიზაციის ობიექტნი.<sup>33</sup> ქალები ასრულებენ საოჯახო და ემოციურ სამუშაოს, რაც არ ამალღებს მათ სტატუსს საზოგადოებაში, არამედ ზრდის მამაკაცის ძალასა და სტატუსს; ეს განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის არის მათი ექსპლუატაცია. ამის შედეგად, ქალები შეიძლება განდევნილ იქნენ ფორმალური შრომის ბაზრიდან, ეს კი უკვე მათი მარგინალიზაციაა.<sup>34</sup>

სწორედ ამიტომ ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც ამ საკითხს უკავშირდება, რაც შეიძლება დროულად უნდა იქნეს აღმოფხვრილი. პირველ რიგში, ეს ეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“. იგი არის დისკრიმინაციული, ვინაიდან მამაკაცზე საავადმყოფო ფურცლის გაცემას ითვალისწინებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: „თუ დედა გარდაიცვალა.“ იგი წინააღმდეგობაშია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-14, ისე ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან, რომლის თანახმადაც, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. შესაბამისად, ცვლილება უნდა შე-

---

<sup>33</sup> Feminist Theory, A philosophical Anthology, Edited by A. E. Cudd and R. O. Andreasen, Blackwell, 2004, 91-104.

<sup>34</sup> გზამკვლევი ადგილობრივი თვითმართვლობის არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისთვის, ადამიანის უფლებების სწავლისა და მონიტორინგის ცენტრი, თბილისი, 2014, 26.

ვიდეს აღნიშნულ ბრძანებაში და საავადმყოფო ფურცელი გაიცეს „მშობელზე“ და არა „დედაზე“ მხოლოდ. ამასთანავე, ბავშვის მოვლის გამო შევბულების მიცემის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მშობლის ინტერესი და მშობლებმა ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელი მათგანი ისარგებლებს ამ შევბულებით.

ასევე დისკრიმინაციულია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი, რომელიც ბავშვის მოვლის შევბულების აღების უფლებას ითვალისწინებს მხოლოდ ქალი სამხედრო მოსამსახურეებისათვის. აქაც, ამოღებული უნდა იქნეს სიტყვა „ქალი“ და ჩაიწეროს „მოსამსახურე“, რომელიც ორივე სქესის წარმომადგენელს გაითვალისწინებს.

ზემოთ ხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ, თუ არ მოხდება ამ საკანონმდებლო ნორმების დროული დახვეწა, ვერ შესრულდება ვერც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოსა და საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის დადგენილებები, რომელთა თანახმადაც, საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ საქართველოს მიერ მიღებული ყველა კანონი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. ასევე, ვერ შესრულდება ვერც ასოცირების შესახებ შეთანხმება. თითოეული ხარვეზი თუ ორაზროვანი ნორმა კი კიდევ უფრო შეუწყობს გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული დოკუმების ჩანერგვას ადამიანთა ცნობიერებაში, რითაც საბოლოო ჯამში დაზარალებიან ორივე სქესის წარმომადგენლები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მიზნის მიუღწევლობაზე, რასაც ჰქვია „ევროპასთან ინტეგრაცია“.

## შრომის უფლების საკანონმდებლო მოწესრიგება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში

ნინი ჩიხრაძე\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

**სულხან გოგინავა**

*სამართლის დოქტორი*

### შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე განხილვადი დოკუმენტია. უმაღლესი საკანონმდებლო აქტით აღიარებულია სიტყვისა და რწმენის თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, აღმსარებლობის, სოციალური სტატუსის და სხვა ნიშნებით.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონსტიტუცია პირველი დოკუმენტია, რომელშიც ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები დეტალურადაა განსაზღვრული, განსაკუთრებით კი სწავლა-განათებისა და შრომის უფლებებზეა ყურადღება გამახვილებული, იწვევს განცდას, რომ საკონსტიტუციო კომისიების მუშაობის შედეგი გარემოსთან ნაკლებად შესატყვისია.

„სოციალური უფლებები არის ძვირი უფლებები, რომელთა რეალიზაცია უმეტესწილად დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე.“<sup>2</sup> იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საქართველო მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, შესაძლებელია, გაჩნდეს კითხვა,

---

\* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი.

<sup>1</sup> პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედოდან, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ბათუმი, 2011.

<sup>2</sup> სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, სოციალური ინტეგრაციის ევროპის კომიტეტის მე-8 სხდომის ანგარიში, საქართველოს ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს თარგმანი, თბილისი, 2007, 35.

თუ რამდენად რეალური იქნებოდა ამ უფლებათა მომწესრიგებელი ნორმების ფაქტობრივი განხორციელება.

კონსტიტუციის კონკრეტულ ნორმებზე მსჯელობისას სისტემურ, ლოგიკურ, ენობრივ, შეფასებით და სხვაგვარ ახსნა-განმარტებათა გვერდით განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. ისტორიული გაშიფრვის მეთოდი; შრომითი უფლებების შესწავლისას საჭირო ხდება გავარკვეოთ ისტორიული პირობები, ფაქტორები, რომლებმაც ამა თუ იმ ნორმატიული აქტის დადგენა თუ სანქცირება აუცილებელი გახადა. ამის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავანალიზოთ, თუ რა მატერიალურ წყაროზეა დაფუძნებული ნორმა და რამდენად განიცადა მან სახეცვლილება.

რადგან ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა ფაქტორებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ სოციალური უფლებების განხორციელებაზე, ამ ნორმათა ფაქტობრივი განხორციელების შესაძლებლობის შესახებ სწორედ 1918-1921 წლების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობაზე დაყნობით უნდა ვიმსჯელოთ. პოლიტიკური კურსის ზოგადი მიმოხილვით კი შესაძლებელი იქნება, გაიმიჯნოს რეალობა და იდეოლოგია ერთმანეთისაგან.

## **1. კონსტიტუციის სამართლებრივი რეგულირების ობიექტები**

კონსტიტუცია საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ურთიერთობების გარდა საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას არეგულირებს. ე.წ. პირველი ტაღლის კონსტიტუციების რეგულირების სფერო საკმაოდ ვიწროა და ძირითადად, უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაციას, სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობასა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს (მათ კლასიკურ ტრიადას უწოდებენ) აწესრიგებს,<sup>3</sup> თუმცა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მხოლოდ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს არ გულისხმობს. კლასიფიკაციის კლასიკური ვარიანტის მიხედვით გამოყოფენ: ადამიანის მატერიალური უფლებებსა და თავისუფლებებს (სადაც ერთიანდება ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები), საპროცესო უფლებებს (რომლებიც მატერიალური უფლებების დაცვას სახელმწიფოში შექმნილი პირობებითა და გარანტიებით

<sup>3</sup> დემეტრაშვილი ავ., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 41.

უზრუნველყოფს) და სოციალურ უფლებებს, რაც გულისხმობს საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას, შრომის, გაფიცვის, განათლების მიღების, ჯანმრთელობის დაცვის უფლებებს და ა.შ.<sup>4</sup>

XX საუკუნის მეორე მეოთხედიდან სახელმწიფო გარკვეულწილად ერევა მოქალაქის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ურთიერთობათა რეგულირებაშიც, რამაც კონსტიტუციური ნორმების ახალი ბლოკების გაჩენა გამოიწვია.<sup>5</sup>

## 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის რეგულირების ობიექტები

საზოგადოდ, სოციალური უფლებების განხორციელება სახელმწიფოს დიდ მატერიალურ ბაზას მოითხოვს, ამიტომ ხშირად თავს არიდებენ მათ კონსტიტუციურად განმტკიცებას (მაგალითად, აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუციით ადამიანის სოციალური უფლებები საერთოდ უგულებელყოფილია და ვაკუუმი მე-9 შესწორებით ივსება<sup>6</sup>), თუმცა ფრანგი მეცნიერის, *ორიუს* აზრით, ადამიანის უფლებები შეადგენს „სუპერკონსტიტუციურ სამართალს“, ე.ი. მოქმედებს მაშინაც, როდესაც არ არის ფიქსირებული კონსტიტუციაში.<sup>7</sup>

ამ მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია გამორჩეულია. ის ეკონომიკური კრიზისის ფონზეც კი დეტალურად განსაზღვრავს მოქალაქის სოციალური და ეკონომიკური უფლებების გარკვეულ ნაწილს. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო აქტს არ უმოქმედია, ამიტომ ძნელი სათქმელია, რამდენად იყო შესაძლებელი სახელმწიფოს მიერ თითოეული ნორმის განუხრელად დაცვა („ფორმალურად არსებული კონსტიტუცია ფაქტობრივად ფიქციაა, თუ მასში ჩაწერილი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება რეალურად შეუძლებელია“<sup>8</sup>).

<sup>4</sup> საყვარელიძე ფ., ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები, თბილისი, 2000.

<sup>5</sup> დემეტრაშვილი ავ., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 41.

<sup>6</sup> The Constitution of the United States, The 9th Amendment.

<sup>7</sup> სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, მეექვსე გამოცემა, თბილისი, 2009, 12.

<sup>8</sup> იქვე, 127.

### 3. ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა

დღეს ადამიანის უფლების თანამედროვე გაგება გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლებისგან დაცვის საშუალებას, არამედ მისგან დახმარების მიღებასაც, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უნარი მათი რეალიზაცია პიროვნების სასარგებლოდ მოახდინოს.<sup>9</sup>

სოციალური პოლიტიკის კონცეფციის გათვალისწინებით განასხვავებენ 3 იდეოლოგიურ ინტერპრეტაციას: ლიბერალურს, კონსერვატიულსა და სოციალურ-დემოკრატიულს.

სოციალური კეთილდღეობის სამივე მოდელის აკარგინობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემებს.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი სოციალურ-დემოკრატიულ პოლიტიკა აღმოჩნდა, რადგან კონსტიტუციით სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ასეთი ურთიერთობა განმტკიცებული. სოციალური კეთილდღეობის ეს მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სოციალურ დაცვაზე, რომელიც მოქალაქეთა დასაქმებასა და სოციალურად დაუცველთა შემწეობაზე ორიენტირებული. აღნიშნული მოდელის მიხედვით, შრომითი ურთიერთობები სახელმწიფო დონეზე უნდა დარეგულირდეს და სახელმწიფომ უმუშევრობის დონის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მნიშვნელოვანი საბიუჯეტო თანხები უნდა გაიღოს.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დაცვის არცერთი სისტემა არ უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ ხარისხს, რადგან ეს ინდივიდუალური ზრუნვის საგნად მიიჩნევა. სოციალური პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო მხოლოდ ცდილობს შექმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც მოსახლეობას სიღარიბისგან თუ სხვა სოციალური რისკებისაგან, მაგალითად, უმუშევრობისაგან დაიცავს და მას გარანტირებულ საარსებო მინიმუმს შეუქმნის.

---

<sup>9</sup> ლოკო ფ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, მ. ბალავაძისა და ნ. ცქიტიშვილის თარგმანი, ვ. კეშელავას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 110-111.

„სოციალური დაცვის მთავარი მიმართულება უნდა მდგომარეობდეს არა შემწეობებისა და დახმარებების საგადასახადო სისტემის, არამედ იმ პირობების შექმნაში, რომლებშიც ყოველ ადამიანს, მუშაობითა და მიღებული ანაზღაურებით, ოჯახის შენახვის თანაბარი შესაძლებლობა ექნება.“<sup>10</sup> ამ პრინციპს სრულად შეესაბამება 1921 წლის კონსტიტუციაში ფორმულირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, განსაკუთრებით კი - შრომის უფლებები, რომლებიც დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთებს არეგულირებს და დასაქმებულს განსაკუთრებულ გარანტიებს და ღირსეულ შრომის პირობებს უქმნის.

#### **4. საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება – ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური მიმართულებისა და იდეოლოგიის საკითხები**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამწლიან პერიოდში ხელისუფლება უამრავ პრობლემას წააწყდა. მსოფლიო პოლიტიკური კრიზისი, რაც პირველ მსოფლიო ომს მოჰყვა, აისახა საერთაშორისო ვაჭრობაზე. ვაჭრობის დაქვეითებას თან სდევდა გარე სამყაროსგან იზოლაცია, ენერგეტიკული კრიზისი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოშლა; შესაბამისად, გამწვავდა მასობრივი უმუშევრობის პრობლემა და სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა.

რესპუბლიკაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის და მთავრობის აშკარად გამოკვეთილი სოციალისტური იდეოლოგიის გამო, უცხოელი კაპიტალისტები, ასევე, ადგილობრივი ბურჟუაზია ვერ ბედანვდნენ წარმოებაში ან სოფლის მეურნეობაში ფულის დაბანდბას. *ნოე ჟორდანიას* კითხვაზე, თუ რა დახმარებას უნდა მოელოდეს მენშევიკური საქართველო ინგლისელებისაგან, გენერალმა *უოკერმა* უპასუხა: „რაც შეეხება კერძო კაპიტალის მოდენას, თქვენში არსებული სოციალიზმის პირობებში მოკავშირეთა კაპიტალები აქ ვერ მოვლენ“.<sup>11</sup>

<sup>10</sup> საქართველოში პროფესიული ორიენტაციისა და ფსიქოლოგიური დაცვის რესპუბლიკური ცენტრი, სოციალური დაცვის კონცეფცია, 1990.

<sup>11</sup> ანნაბაძე ვ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი. იხ. <<https://burusi.wordpress.com/2010/02/14/anchabadze/>>.

კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარება, რაც დემოკრატიული სოციალიზმის დამკვიდრების საფუძველი უნდა გამხდარიყო, სახელმწიფომ სათანადოდ ვერ უზრუნველყო. სოციალიზმის ეს ევროპული მოდელი სახელმწიფოს, დიდი ბიზნესისა და პროფკავშირების ჰარმონიულად თანამშრომლობის პრინციპზე აღმოცენდა.<sup>12</sup> „ამ კონცეფციის მიხედვით, საქართველოს მთავრობას თავიდან უნდა აერჩია ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების გზა, რომელიც საფუძველს მოამზადებდა მომავალი სოციალიზმისათვის.“<sup>13</sup>

„მთავრობა ცდილობდა კომპრომისული ხაზის გატარებას, შერეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის ჩამოყალიბებას. მართალია, თავისუფალ გასაქანს აძლევდა კერძო ინიციატივას, კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ არც კოოპერაციული სოციალიზმის იდეას დალატობდა და თავის მიზნად მოსახლეობის დაბალი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კლასობრივ ანტაგონიზმის აღმოფხვრასაც ისახავდა.“<sup>14</sup>

ასეთ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ოპოზიციონერები. ერთ-ერთ სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით *სპირიდონ კელიამ* განაცხადა:

„დამფუძნებელი კრების წევრნო, არასდროს ასეთი სიმკაცრით არ გამოვლენილა წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის.“<sup>15</sup>

## 5. შრომის უფლებების საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროება

ინფლაციის გამო ბიუჯეტი სანახევროდაც ვეღარ ფარავდა რეალურად არსებულ ხარჯებს. „დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველ შვიდ თვეში სახელმწიფო შემოსავალმა შეადგინა 96 მილიონი მანეთი, გასავალმა კი მიაღწია 342 მილიონ მანეთს. (...) საშუალო ფენების ცხო-

---

<sup>12</sup> ტერაშვილი ნ., სოციალიზმის შვედური მოდელი, გაზეთი „თბილისი“, 23 დეკემბერი, 1989.

<sup>13</sup> ანჩაბაძე ჯ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი. იხ. <<https://burusi.wordpress.com/2010/02/14/anchabadze/>>.

<sup>14</sup> ბენდიაშვილი ალ., დაუშვილი ალ., ნათელაძე მ., საქართველოს ისტორია: ოთხ ტომად, საქართველო XIX-XX საუკუნეებში, მ. ნათელაძის რედაქტორობით, ტომი IV, თბილისი, 2012, 240-242.

<sup>15</sup> იქვე, 240-242.



ერების დონე 3,5 ჯერ დაეცა; 1920 წლის მიწურულამდე ხალხის ეკონომიკური ყოფა კიდევ 2-3- ჯერ გაუარესდა.<sup>16</sup>

ერთ-ერთ თათბირზე *ნოე ჟორდანიამ* განაცხადა: „ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრვ კატასტროფისაკენ მივდივართ. (...) დღეს კი თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის, რომ ჩვენ არა მარტო მივდივართ კატასტროფისაკენ, არამედ უკვე მივედით იქ.“<sup>17</sup>

ვაჭრობის, თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების და მეურნეობის გამოცოცხლების, ასევე, ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია უფრო აქტიურად ჩაბმულიყო შრომის ბაზრის რეგულირების საკითხებში. ზრდადი უმუშევრობის პირობებში შრომითი უფლებების საკანონმდებლო მოწესრიგება დასაქმებულთა დაცულობის განცდის ხარისხს გაზრდიდა, რაც სიტუაციის სტაბილიზაციის წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო. „შრომის ბაზარზე მხარეთა უთანასწორო მდგომარეობიდან გამომდინარე ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ განისაზღვროს სოციალურად მიუღებელი შრომის პირობები. კანდიდატები დასაქმების მიზნით ხშირად მძიმე საშუალო პირობებს თანხმდებიან. კანონმდებელმა კი სოციალური სამართლიანობის დაცვისთვის უნდა გამოსცეს ისეთი აქტები, რომელიც წინ აღუდგება ამ მდგომარეობას.“<sup>18</sup>

სოციალური დაცვა პრიორიტეტული საკითხია არა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა ან სოციალური საფრთხის წინაშე მდგარ პირთათვის, არამედ თავად სახელმწიფოსთვისაც. სწორედ ამ საკითხს მიმოიხილავს გერმანელი ავტორი *ფრანც კაუფმანი* თავის ნაშრომში - „ფიქრები სოციალური პოლიტიკის შესახებ“. იგი მსჯელობს სოციალური დაცვის მნიშვნელობაზე, ასევე, მის კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტზე. მაგალითად, ეკონომიკური თვალსაზრისით სოციალური დაცვა ჰუმანური კაპიტალის დაცვების საშუალებაა, რაც ხელს უწყობს წარმოების ზრდას.<sup>19</sup>

---

<sup>16</sup> იქვე, 244.

<sup>17</sup> იქვე, 250.

<sup>18</sup> ცნობილადე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2004, 371.

<sup>19</sup> Kaufmann F. X., Thinking about Social Policy, the German Tradition, 2013, 41-43.

## 6. 1921 წლის კონსტიტუციის მე-13 თავი

შრომის ბაზრის სისტემის რეგულირებისათვის, მოქალაქეთა უფლებების თანაბარი რეალიზაციისა და ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის 1921 წლის კონსტიტუციით მოწესრიგებულია შრომითი უფლებები.

კონსტიტუციის მე-13 თავი მთლიანად ეძღვნება მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, უმეტესწილად – შრომის უფლებებს.

კონსტიტუციის მიხედვით, რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისთვის, რაც მიუთითებს იმ კონცეფციის გაზიარებაზე, რომ სოციალური უფლებები ადამიანის ღირსებასთან არის დაკავშირებული. ღირსება ადამიანის დაბადებითი და განუყოფელი თვისებაა და არ არის დამოუკიდებელი ადამიანის პიროვნულ თვისებებზე; პიროვნული ღირსებისაგან განსხვავებით, ის ერთნაირად აქვს როგორც ზნესრულ, ასევე ამორალურ ადამიანს, ე.ი. არ არის დამოკიდებული ადამიანის ცხოვრების სტილსა თუ ზნეობაზე.

სწორედ ე.წ. სოციალურ-დემოკრატიულ პოლიტიკაზე მიგვიანიშნებს, რომ კონსტიტუციის მიხედვით, მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

შესაძლებელია, პარალელი გავაგლოთ დაახლოებით სამი ათწლეულის (1949წ.) შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიღებული კონსტიტუციის მე-15 თავთან, რომლის მიხედვითაც მიწა, ნატურალური რესურსი და წარმოების საშუალებები, სოციალიზაციის მიზნით, შესაძლებელია საზოგადოების საკუთრებაში გადავიდეს, კომპენსაციის სახეს კი დაარეგულირებს კანონი.<sup>20</sup>

საქართველოს თანამედროვე კონსტიტუცია შრომის უფლებავალდებულებებთან დაკავშირებით შედარებით ლიბერალურია და შრომის თავისუფლებას აცხადებს, განსხვავებით 1921 წლის კონსტიტუციისაგან, სადაც შრომა განიხილება როგორც რესპუბლიკის საფუძველი, შესაბამისად, მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის მოვალეობადაა მიჩნეული.

---

<sup>20</sup> „Grund und Boden, Naturschätze und Produktionsmittel können zum Zwecke der Vergesellschaftung durch ein Gesetz, das Art und Ausmaß der Entschädigung regelt, in Gemeineigentum oder in andere Formen der Gemeinwirtschaft überführt werden.“  
იხ. Das Grundgesetz für Bundesrepublik Deutschland, 1949.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია ქალთა, ბავშვთა, დედათა შრომის პირობებს. ასევე, საუბარია უმუშევართა დასაქმების, შრომის ბირჟისა და ე.წ. საშუამავლო კანტორის დაარსების შესახებ. განმარტებულია შრომისუნარდაკარგული და შრომისუნარო მოქალაქეების უფლებები.

ადგილობრივ თვითმმართველობას ევალებოდა, დაეარსებინა შრომის ბირჟა, საშუამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავდა უმუშევართ და შუამავლობას გაუწევდა სამუშაოს შოვნაში. რესპუბლიკა იღებდა პასუხისმგებლობას, სამუშაო ან დაზღვევა აღმოეჩინა უმუშევრად დარჩენილი მოქალაქისათვის. დღეს მოქმედი კონსტიტუციით სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს, მაგრამ ყურადღებას არ ამახვილებს დაზღვევაზე ან სხვა რაიმე შემწეობის აღმოჩენაზე. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ბიუჯეტიდან გამოყოფდა თანხას ყველა ისეთი პირისთვის, რომელსაც თავის რჩენა არ შეეძლოთ, რადგან მოხუცებულობის, დაავადებით ან სხვა რაიმე მიზეზით მოკლებული იყო, შრომის უნარს და არ ჰყავდა მეძვედრე ან მზრუნველი.

კანონმდებლობით მოწესრიგებული იყო იმ მუშათა შრომითი უფლებებიც, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სამსახური. დამქირავებელი ვალდებული იყო ხელფასის შესაბამისად დაეზღვია ისინი.

განსაზღვრული იყო სამუშაო საათები, მუშაობის პირობები მცირეწლოვანთათვის და ქალებისათვის, მინიმალური ხელფასი. ასევე განსაზღვრული იყო კვირაში სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა (48 საათი). აკრძალული იყო ღამით მუშაობა 15 წლამდე პირთათვის, ასევე, ქალეზისთვის.

ბავშვთა და ქალთა სამუშაო უფლებებზე ყურადღებას ამახვილებს მოქმედი კონსტიტუციაც, თუმცა შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება არა კონსტიტუციით, არამედ შრომის კოდექსით.

კონსტიტუციით არსდება ორგანო, შრომის ინესპექცია, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შრომის ნორმალური პირობების არსებობას; რესპუბლიკასა და ადგილობრივ მმართველობას ეკისრებათ დედებისა და ბავშვების დაცვის უზრუნველყოფა, შრომის უფლებების დარღვევისთვის კი გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ბელგეელი სოციალ-დემოკრატი ებილ ვანდერველდე სტატიაში - „პირველი სოციალისტური მთავრობა“ – წერდა: „სოციალ-დემოკრატიის სიბრძნე, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, მტკიცე საფუძველს ქმნის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების, მთელი ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისთვის“.<sup>21</sup>

## დასკვნა

„მიუხედავად უამრავი სიძნელისა და გაჭირვებისა, რომლის წინაშეც სახელმწიფო აღმოჩნდა აგრესიული იმპერიული ძალების გამო, რესპუბლიკის აღსასრული არა შინაგანი კოლაფსის, არამედ ანექსიის შედეგად დადგა,“<sup>22</sup> – წერს სტივენ ჯონსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ.

შრომის ინსპექციის, შრომის ბირჟის, საშუაშელო კანტორის დაარსება საკმაოდ დიდ ხარჯებთან ასოცირდება, რომლის დაფარვაც, საშინაო და საგარეო პრობლემების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ბიუჯეტისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. ერთი მხრივ, საწარმოების შემცირებისა და დაზურვის ფონზე არაეფექტური და პოლიტიკურად წამგებიანი ნაბიჯი იყო დამსაქმებლისათვის მუშახელის სადაზღვეო საკითხებზე პასუხისმგებლობის დაკისრება, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანური რესურსის რაციონალიზაციის მცდელობა შრომის ბაზარზე არსებულ პრობლემებს დააბალანსებდა.

სოციალური უფლებების საკანონმდებლო განმტკიცებისთვის აუცილებელი მატერიალური ბაზა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა. ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ყოველი მცდელობა უსაფუძვლო იქნებოდა, თუ ჯანსაღი სამუშაო პირობები არ ჩამოყალიბდებოდა. პრობლემისადმი სწორად მიდგომა და მისი აღმოფხვრის მიზანსწრაფვა აშკარად იკვეთება კონსტიტუციაში. „კონსტიტუციებში წინამორბედი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული

---

<sup>21</sup> ბენდიაშვილი ალ., დაუშვილი ალ., ნათქვამე მ., საქართველოს ისტორია: ოთხ ტომად, საქართველო XIX-XX საუკუნეებში, მ. ნათქვამის რედაქტორობით, ტომი IV, თბილისი, 2012, 250.

<sup>22</sup><https://matiane.wordpress.com/2009/08/30/stephen-jones-on-the-90th-anniversary-of-the-democratic-republic-of-georgia/>.

შიში აისახება. თუ კონსტიტუციაში მომავლის ხედვაა ჩადებული, მაშინ ეს ხედვა სწორედ ამ შიშის თავიდან აცილებას უნდა ემსახურებოდეს“.<sup>23</sup>

დაცარიელებული ხაზინით შრომის უფლების საკანონმდებლო მოწესრიგება ერთგვარ ფიქციად ჩაითვლება, თუ უგულებელვყოფთ რაჟდენ არსენიძის სიტყვებს: „კრიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ არათუ ომისა და რევოლუციის ხანაში, სრული მშვიდობიანობის დროსაც, რამდენიმე თვესა და წელიწადშიც კი შეუძლებელია ეკონომიკის არსებითად გაჯანსაღება.“<sup>24</sup> კონსტიტუციაში ასახული ნორმები წარმოადგენდა არა „არსს“, არამედ „ჯერარსს“, შესაბამისად, მათი დაკნინება იმ მიზეზით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს თანხას, ხალხს კი კეთილდღეობას ვერ შემატებდნენ, არასწორია.

„კონსტიტუცია სახელისუფლო ურთიერთობის ავტობიოგრაფიაა, მატერიალური და სულიერი; ის აღამიანთა ნებისმიერი ჯგუფისათვისაა განკუთვნილი, ე.ი. ყველა სხვა ავტობიოგრაფიის მსგავსად აუხდენელ ფანტაზიებსაც შეიცავს და განდევნის ზოგიერთ ისეთ ბოროტებასაც, რომელიც, პირიქით, ზედმეტად სიცოცხლისუნარიანია“.<sup>25</sup>

---

<sup>23</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 3.

<sup>24</sup> ბენდიამვილი აღ., დაუშვილი აღ., ნათქვამი მ., საქართველოს ისტორია: ოთხ ტომად, საქართველო XIX-XX საუკუნეებში, მ. ნათქვამის რედაქტორობით, ტომი IV, თბილისი, 2012, 246.

<sup>25</sup> Finer H., Theory and Practice of Modern Government, 1970, 12.

# აღნაგობის უფლება ძველი ქართული სამართლისა და რომის სამართლის მაგალითზე

გიორგი კვირიკაშვილი\*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

**სულხან გოგინავა**

*სამართლის დოქტორი*

## შესავალი

აღნაგობის უფლება შეიძლება ითქვას, რომ თავისი ორიგინალობით კერძო სამართალში დამკვიდრებულ ყველა სხვა უფლებიდან გამოირჩევა. იგი წარმოშვა რომის სამართალმა და თავისივე წიაღში განავითარა როგორც სრული სანივთო უფლება, თუმცა სანამ იგი დღევანდელი სახით ჩამოყალიბდებოდა საქართველოში, განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლო. ნაშრომში მიმოხილული იქნება როგორც ამ უფლების რომაული ფესვები, ისე მისი განვითარება საქართველოში, რაც, უნდა ვაღიაროთ, საკმაოდ რთული პროცესი გახლდათ. რეალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უშუალოდ საკვლევ საკითხზე მასალის სიმწირის გამო კვლევა საკმაოდ რთულად წარიმართა, თუმცა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა და როგორც ქართული, ისე რომაული სამართლის ძეგლების ანალიზმა საშუალება მოგვცა სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნოდა ქართულ „აღნაგობაზე“, რომელსაც ბევრი ნაკლი ჰქონდა. სწორედ მათ წარმოსაჩინად გამოვიყენებთ შედარებით მეთოდს რომაულ სამართალთან და შევეცდებით, ჩავუღრმავდეთ ზემოხსენებულ ნაკლთა წარმოშობის მიზეზებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ განსხვავებით რომის სამართლისგან, რომელმაც ეს უფლება სრულ სანივთო უფლებად აღიარა, საქართველოში მას ვალდებულებითი ურთიერთობის, კერძოდ კი ქონებრივი ქირავნობის ჭრილში განიხილავდნენ. სწორედ ამიტომ, ნაშრომში განხილულ იქნება ნების გამოვლენის თავისუფლების მახასიათებლები ქართული სამართლის მიხედ-

---

\* კაკვასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი.

ვით. ვინაიდან საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ნორმები უშუალოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სანთლითაა საქებარი, გადავწყვიტეთ საკანონმდებლო მასალად უშუალოდ კრებულში შემავალი, უმეტესად, ბერძნული სამართლის გამოყენება, ვინაიდან მისი მნიშვნელობა XVIII საუკუნის საქართველოში არცთუ ისე მცირე იყო. იმისათვის, რომ საკითხზე სრული წარმოდგენა შეგვექმნას ნაშრომში ზოგადად იქნება განხილული ისტორიულ-პოლიტიკური ექსკურსი, რადგან, ვფიქრობთ, ამ ვითარების გაანალიზების გარეშე შეუძლებელია საკითხი შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იქნეს განხილული. აგრეთვე, ვნახავთ, თუ როგორ წესრიგდებოდა აღნაგობის საკითხი ეკლესიის მიწებთან მიმართებით და თვალსაჩინოა, რომ გარკვეულ შემთხვევაში უძრავი ნივთის, მიწის ან ნაგებობის გაქირავება თავად მოქირავნესაც კი შეეძლო. კვლევის მიზანი არის რამდენიმე, კერძოდ, აუცილებელია მოხდეს ქართული აღნაგობის უფლების სრულად გამოკვეთა მასთან დაკავშირებული ნორმებისა და სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მათი სისტემატიზაციის გზით, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა საკვლევ საკითხზე მასალა საკმაოდ მწირია ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაშრომი იქნება მცირე წინგადადგმული ნაბიჯი და წარმოშობს უფრო მეტ ინტერესს აღნაგობისადმი ძველ ქართულ სამართალში.

## 1. აღნაგობის წარმოშობა ძველ რომში

რომაელი იურისტების უზომო პროგრესულობა და აზროვნების სიღრმე ჩანს ისეთი ინსტიტუტის შექმნაში, როგორც აღნაგობის უფლების ანალოგი სუპერფიცისა (Superficies). რომმა იგი ადრევე შექმნა და შემდგომში პრეტორების ძალისხმევით ძალიან დიდ სიმაღლეზე აიყვანა. „სუპერფიცისი იყო სანივთო უფლება, რომელიც აღმოცენდება სხვის მიწაზე, სხვის ადგილმამულზე აგებული სახლის ან სხვა ნაგებობის აღმართვის შედეგად“.<sup>1</sup> როგორც *პროფესორი მ. გარიშვილი* აღნიშნავს: „ქირავნობისა და იჯარისგან სუპერფიციაში და ემპითევისი ყველა სახის დარღვევისგან ამ უფლების დაცულობით განსხვავდებოდა“.<sup>2</sup> დაცვის გარანტიაზეა სწორედ აღნიშნული იუსტინიანეს დიგესტებში, რომ „სუპერფიციათს სარ-

<sup>1</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 83.

<sup>2</sup> გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2013, 331.

ჩელის აღებრა შეუძლია მიწის მესაკუთრის ან გამყიდველის წინაშე ვის საკუთრებაშიც არის მიწა“.<sup>3</sup> სანტერესოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველად შენობა, რომელიც ამ უფლების საფუძველზე შენდებოდა, იყო მიწის ნაკვეთის და არა უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილი ვინაიდან, „(...) სუპერფიციესი თან უნდა ახლდეს მიწის ნაკვეთს“;<sup>4</sup> ამასთან დაკავშირებით, იუსტინიანე დიდის დიგესტებში აღნიშნულია: „სუპერფიციესის უფლებით გაქირავებულ მიწაზე აგებულ შენობაზე, სამოქალაქო და ბუნებითი სამართლით საკუთრების უფლება მიწის მეპატრონეს აქვს“.<sup>5</sup> სუპერფიციარი ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობდა შენობას, მისი მესაკუთრე კი კვლავ მიწის მესაკუთრე იყო, ხოლო სუპერფიციარს ეკისრებოდა ყოველწლიური ქირის - სოლარიუმის (Solarium) გადახდის ვალდებულება;<sup>6</sup> გარდა ამისა, „სუპერფიციარი სახელმწიფო გამოსალესაც იხდიდა“.<sup>7</sup> სუპერფიციესის უფლების ვადა კი მხარეთა შეთანხმებით დგინდებოდა.<sup>8</sup> ამასთან დაკავშირებით, ასევე, მსჯელობს *პროფესორი იოჟე*: „იურიდიულად მიწასა და მასზე აგებულ ნაგებობათა შორის ისეთივე თანაფარდობა არსებობდა, როგორც მთავარსა და დაქვემდებარებულ ნივთს შორის და იმ წესიდან გამომდინარე, რომ დაქვემდებარებული მთავარი ნივთის ბელს იზიარებდა, გამომდინარეობდა დასკვნაც: სუპერფიციესი თან უნდა ახლდეს, მისდევდეს მიწის ნაკვეთს“.<sup>9</sup> იმავეს ამტკიცებს *გაიუსის* ინსტიტუტებში მოყვანილი ნორმა: „ (...) თუ ვინმემ ჩვენს მიწაზე ააგო, თუნდაც, თავისთვის ბუნებითი სამართლით ჩვენი გახდება, რადგან მიწის ზედაპირზეა აშენებული მიწას ეკუთვნის“,<sup>10</sup> თუმცა როგორც *პროფესორი გ. ნადარეიშვილი* აღნიშნავს: „სოციალური პრაქტიკა იცვლებოდა, პრეტორმა შედარებით უფრო ფართო დაცვა მიანიჭა სხვის ადვილ-მაძულში სახლის, შენობის ამშენებელს.“<sup>11</sup> მას უკვე შეეძლო უფლების მემკვიდრეო-

<sup>3</sup> Justinian Digest, Volume 4, Translated by A. Watson, Pensilvania, 1998, 104-105.

<sup>4</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 83.

<sup>5</sup> Justinian Digest, Volume 4, Translated by A. Watson, Pensilvania, 1998, 105.

<sup>6</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 83-84.

<sup>7</sup> გარიშვილი მ., ზოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2013, 333.

<sup>8</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 83.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუტები, ნ. სურგულაძის თარგმანი, თბილისი, 2011, 71.

<sup>11</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 83.



ბით გადაცემა, გასხვისება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას თავისი უფლების დაცვა შეეძლო. ზ. ჭეჭელაშვილი მიუთითებს, რომ „აღნაგობის უფლებად მიიჩნეოდა სარგებლობისა და ნაყოფის მიღების მემკვიდრეობით გადაცემადი და გასხვისებადი სრული სანივთო უფლება“.<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ მოყვანილი დანაწესები VI საუკუნეში შექმნილ საკანონმდებლო ძეგლებშია შესული და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უფრო ადრინდელიცაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნაგობის უფლების თანამედროვე გაგებასთან იგი თითქმის სრულ შესაბამისობაშია მაშინ, როდესაც ძველი ქართული სამართლის გაგებით, მოქირავნეს სხვის მამულში მხოლოდ „ეჭირა“ ნაგებობა, რომელიც მიწის მეპატრონის საკუთრებაში იყო,<sup>13</sup> რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად მიმოვიხილავთ.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რომაელებმა აღნაგობის უფლება თითქმის სრულყოფილად დაამუშავეს, რაც მათი აზროვნების სიღრმისა და საკუთრი შესაძლებლობებისადმი უდიდესი რწმენის შედეგია; ამის კიდევ ერთ გამოვლინებად წარმოგვიდგება ის, რომ „სუპერფიციისის და ემპითევისის დროს გვევლინება არა ერთიანი, არამედ დანაწევრებული საკუთრება“.<sup>14</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ სუპერფიციისის ან ემპითევისის დროს, მიწის მესაკუთრე ამავდროულად არ იყო ნაგებობის მესაკუთრე და საკუთრების უფლება მათ შორის იყო დანაწევრებული. ეს ნაშრომი, როგორც შესავალში აღინიშნა, იმის დადგენასაც ემსახურება, თუ რატომ ვერ მოახერხეს რომაელების მსგავსმა ადამიანებმა XVIII საუკუნეშიც ის, რომ ვალდებულებითი ურთიერთობების ჭრილში განხილული აღნაგობა დაეხვეწათ და საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის უფრო ეფექტურად გამოეყენებინათ, მითუმეტეს, რომ ამისთვის საჭირო არსებითი პირობები რომაელების დამსახურებით უკვე არსებობდა, იგულისხმება „დანაწევრებული საკუთრების თეორია რომელიც პირველად მიუსადაგეს ფეოდალურ, ხოლო მოგვიანებით გამოიყენეს სხვა ისტორიული საკუთრებითი

---

<sup>12</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2006, 371.

<sup>13</sup> ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 74.

<sup>14</sup> იოფე ს., ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 1994, 96.

ურთიერთობების ანალიზისას“<sup>15</sup>. შემდგომ თავში განვიხილავთ აღნაგობის უფლების განვითარების გზას ძველ ქართულ სამართალში.

## 2. აღნაგობა, როგორც ვალდებულებითი ურთიერთობა ქართულ სამართლის ძეგლებში

ამ საკითხის განხილვისას მასალების სიმცირის გამო, როგორც აღინიშნა, გამოვიყენებთ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომსა და უპირატესად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესულ ბერძნულ სამართალს, ვინაიდან საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ქონებრივ ქირავნობასთან დაკავშირებული ნორმები ძალზე იშვიათად გვხვდება. ასევე, თითქმის არაა ქონებრივ ქირავნობასთან დაკავშირებული ნორმები ბექა-ალბუღას და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნებში, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნშიც, ამიტომ გამოვიყენებთ მხოლოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესულ ბერძნულ სამართალს და შესაბამისად კვლევაში საუბარი იქნება უპირატესად XVIII–XIX საუკუნის საქართველოზე. მიწის სამშენებლოდ ქირავნობის შემთხვევას თავის ფუძემდებლურ ნაშრომში - „ქართული სამართლის ისტორია“ - მეცამეტე საუკუნის საბუთზე დაყრდნობით ვგაჩვენებს *აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი*: „შიომღვიმის მონასტრის კრებულს ზოსიმე ბერისთვის მიცემულ საბუთში ნათქვამი აქვს: შენსა გამზრდელ როანეს მამას მუბერს მიწა აელო ვენახის საშენებლად ხელ გიორგისა. და რაი აღაშენა ორად გაჰყო, ნახევარი იოანეს მამას დეჭირა, მუბერს, ნახევარი მიწის პატრონს“<sup>16</sup> *აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი* ამბობს, რომ მიწის აღება საშენებლად სწორედ ვენახის ახლად აშენების მიზნით დადებული ხელშეკრულება იყო, რომლის გასრულების შემდეგაც გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ამშენებელს ერგებოდა, თუმცა მას ასევე შეეძლო ნაგებობაზე საკუთრების უფლების ნაცვლად მეპატრონისაგან საზღაური მოეთხოვა. მეცნიერი ამ შემთხვევას იჯარას უწოდებს და მისი დასახელებული ნაშრომის მიხედვით ჩანს, რომ მიწის სამშენებლოდ ქირავნობა ცალსახად იჯარას ნიშნავდა,<sup>17</sup> თუმცა რამდენიმე მიმოხ-

<sup>15</sup> იქვე, 95-96.

<sup>16</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1929, 440.

<sup>17</sup> იქვე, 437.

ილული ნორმისა და, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს როგორც სასყიდლიან აღნაგობის უფლებასთან, რომელმაც უკვე მომავალში განიცადა ცვლილებები და ბევრად უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო (თუ არ ჩავთვლით, რომ რომისაგან განსხვავებით თითქმის მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში ნაგებობა მიწის არსებით შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა). „ნაგებობის ხელშეკრულებით დათქმული ვადის გასვლის შემდეგ რჩებოდა მიწის მესაკუთრეს, რომელსაც მასზე საკუთრების უფლება მისი აშენებისთანავე წარმოემოხლოდა, სამაგიეროდ მოქირავნეს გამქირავებლისგან შენობის ღირებულება ერგებოდა“<sup>18</sup>. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მოქირავნეს არც ვადის განმავლობაში და არც მისი გასვლის შემდეგ, არ შეეძლო შენობის მოშლა.<sup>19</sup> რეალურად ჩვენს თვალწინ, უკვე ჩამოყალიბებული სასყიდლიანი აღნაგობა დგას. უშუალოდ საზღაურის საკითხს განსაზღვრავს ბერძნული სამართლის 342-ე მუხლი. მასში ნათქვამია, რომ, თუ პირმა ვალდებულება დაარღვია, ანუ ქირის მიცემის ვადას გადააცილა „არამართო ქირა გამოერთვას, არამედ რაც რომ საქირაოდ აქუს იმ კაცს, ის საქონელი უნდა დაუფასონ და მისი ფასიც უნდა გამოართვან“.<sup>20</sup> დაახლოებით იმავეს ამბობს თანამედროვე საქართველოს კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, როდესაც საზღაურის საკითხს განსაზღვრავს: „სათანადო ანაზღაურებად არ ჩაითვლება თანხა, რომელიც არ შეადგენს ნაგებობის ღირებულების 2/3-ს მაინც.“ აღნიშნული სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს იმ მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ბერძნული სამართლის ერთგვარი შემავსებლის ფუნქციას მეფის სამართლის წიგნთა კრებულში. საინტერესოა სახელშეკრულებო ვადების საკითხის განხილვაც, იგი თითქმის ყველა შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით დგინდებოდა, უფრო ზუსტად კი იგი „განუსაზღვრელი ვადით იღებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე აიღებდა სხვის მიწას რაიმე ნაგებობის ასაშენებლად“ (როდესაც საუბარია არაეკლესიის მიწებზე)<sup>21</sup>. თუმცა

---

<sup>18</sup> ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 82.

<sup>19</sup> იქვე, 74.

<sup>20</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1963, 206-207.

<sup>21</sup> ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 71.

„პრაქტიკაში იგი 20-25 წელს არ აღემატებოდა“.<sup>22</sup> დებულება, რომლითაც ქონებრივი ქირავნობისას „ორმხრივი ხელშეკრულებით მხარე კისრულობს ვალდებულებას, საზღაურის გადახდის პირობით გადასცეს მეორე პირს რაიმე ნივთი დროებითი სარგებლობისათვის, რისთვისაც, ასევე, მეორე მხარემ უნდა გადაიხადოს ქირა და ნივთი გამოყენების შემდგომ დაუბრუნოს გამქირავებელს“<sup>23</sup>, სერიოზულ ხარვეზებს შეიცავს, ვინაიდან, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია ზოგადად აღნაგობის უფლების გამოკვეთა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ *პროფესორ ი. ფუტკარაძის* მიერ მოყვანილ თეზისს - „უსასყიდლობის შემთხვევაში სახეზე გვექნება უქირაოდ ჭერა, რაც სრულიად სხვა სამართლებრივ ურთიერთობას - ნათხოვრობას გულისხმობს“<sup>24</sup>. ამ ციტატიდან გამომდინარე, ნათელი ხდება ერთი მარტივი მოცემულობა: ქართული სამართლის განვითარება იმ დონეზეც კი ვერ მივიდა, რომ მოწესრიგებული ცნება მაინც შეექმნა ქირავნობის ხელშეკრულებისა, რაც თავისთავად მიუთითებს საზოგადოებრივი განვითარების ძალიან დაბალ დონეზე, ვინაიდან კერძო სამართლის განვითარება, თავისი ბუნების გათვალისწინებით, მთლიანადაა დამოკიდებული სოციალური პრაქტიკის დინამიურ დახვეწაზე. როგორც უკვე აღინიშნა, მაგალითად, რომის სამართალში, როდესაც თავდაპირველად მიწის მესაკუთრე ასევე იყო იმ შენობის მესაკუთრე, რომელიც მასზე სუპერფიცის (Superficies) უფლების განხორციელების შემდგომ აიგებოდა, მაგრამ, სოციალური პრაქტიკის შეცვლასთან ერთად, პრეტორმა გააცნობიერა ვითარების ალოგიკურობა და უფრო ფართო დაცვა მიანიჭა პირს, რომელიც სხვის მიწაზე აშენებდა ნაგებობას<sup>25</sup>, მაშინ, როდესაც „ძველი ქართული სამართლის გაგებით, მოქირავნეს სხვის მამულში მხოლოდ „ჭვირა“ ნაგებობა, რომელიც მიწის მებატონის საკუთრებაში იყო“.<sup>26</sup> მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ქართული სოციალური პრაქტიკა, ყოველ შემთხვევაში პროგრესული ნამდვილად არ იყო. მოდით, უკეთ გავერკვეთ, რას ნიშნავს სოციალური პრაქტიკა. იგი საზოგადოების

---

<sup>22</sup> იქვე, 71-72.

<sup>23</sup> იქვე, 69.

<sup>24</sup> იქვე, 69.

<sup>25</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 83.

<sup>26</sup> ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 74.

ზრდის გამომხატველი ტერმინია; ზრდაში კი მოიაზრება, უპირველესად, სახელმწიფოებრიობის განცდის და, შესაბამისად, თავისუფლების შეგრძნების დონე. სწორედ ამას ეფუძნება კერძო სამართალი. შეუძლებელია, იგი არსებობდეს თავისუფალი აზროვნების გარეშე. მართალია რომის იმპერიას, რომელმაც მონათმფლობელობის ინსტიტუტი ფაქტობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა და საკუთარი სოციალური სტრუქტურის საფუძვლად აქცია, სახელმწიფოებრივი ნების დონეზე თავისუფლებისმოყვარეობას ვერ დაეწამებოდა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროის კონტექსტის გათვალისწინებით, თავისუფლებასთან ამგვარი დამოკიდებულება ლოგიკურია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით რომის სამართალში არსებულ აღნაგობის უფლების განვითარების დონეზე, რომელიც მის თანამედროვე გაგებას ნამდვილად არ ჩამოუვარდება. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში „სოციალური პრაქტიკის ცვლილებაში“ იგულისხმება ყველაზე მალე მდგომი ფენის განწყობათა და მიდგომათა ცვლილება და არა მთელი საზოგადოებისა, რამაც საბოლოოდ რომაული აღნაგობის საკითხი საოცრად დახვეწა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მუხლების ანალიზის საფუძველზე კი ცხადი ხდება, რომ დროის კონტექსტის გათვალისწინებით იგი განვითარების მაღალ დონეს ნამდვილად არ აჩვენებს, უპირველესად, კვლავ თავისუფლებასთან დამოკიდებულების გამო. საკითხის ამ კონტექსტში განხილვას განაპირობებს ის, რომ ძველ ქართულ სამართალში აღნაგობის უფლება ვალდებულებით ჭრილში იყო განხილული. ი. ფუტკარაძე აღნიშნავს: „ვახტანგ VI კერძო სამართლებრივ სფეროში ნების თავისუფლებას აღიარებს და ქონების ქირავნობის ხელშეკრულებას სწორედ ნების თავისუფლებას აფუძნებს“<sup>27</sup>. ზოგადად, კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში თავისუფლებაზე საუბარი პირობითია, ვინაიდან არსებობდა ნაწილი, რომელსაც ზოგადად ნების ქონის უფლებაც კი არ ჰქონდა (თუნდაც მონებს). თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ ქართველ ყმათა მდგომარეობა არანაკლებ მძიმე იყო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ვითარებაში საქართველოშიც არსებობდა ნაწილი, რომელსაც ნების ქონის უფლებაც კი არ გააჩნდა. ვახტანგის სამართლის წიგნის 250-ე მუხლი, რომელიც მიწას ოთხ ნაწილად ყოფს, აკანონებს, რომ „ამათშივე შერიგება უნდა მოხდეს მისის პატრონის პირო-

---

27 იქვე, 70.

ბით“<sup>28</sup>. ამ მუხლიდან გამომდინარე, აშკარად ჩანს მეფის მხრიდან ნების თავისუფლებისადმი საკმაოდ უცნაური მიდგომა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მიწასთან დაკავშირებული გარიგებები, მათ შორის, ქონებრივი ქირავნობის (აღნაგობის), ნების თავისუფალ გამოვლენას არ შეიძლება დაეფუძნოს, ვინაიდან მესაკუთრის უპირატესობა აქ აშკარაა, თუმცა „მესაკუთრის უფლებაზე უპირატესი ზრუნვა ზოგადსამართლებრივი მოვლენაა. იგი საერთოდ მრავალგვარ ქონებრივ ურთიერთობასაც ემჩნევა“<sup>29</sup>. საკითხს ეხება ბ. ზოიძე თავის ნაშრომში - „ქართული სანივთო სამართალი“<sup>30</sup>. იგი ცალსახად მხარს უჭერს საკუთრების სოციალურ ფუნქციას, ამ თეორიის დადებით გამოხატულებად კი იმდროისთვის თანამედროვე ქირავნობაში დამკვიდრებულ უპირატესი შესყიდვის უფლებას ასახელებს. ამ საკითხის დეტალური განხილვა ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცდება, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ციტატის მაგალითზე ვნახავთ, რომ სოციალური ფუნქციის თეორიის პრაქტიკაში განხორციელება არანაკლებ ცუდია ნების თავისუფლებისთვის, ვიდრე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მოყვანილი ნორმა. ბ. ზოიძე წერს: „კერძო ინტერესებს მონატრებულ საზოგადოებას ყოველთვის როდი შესწევს უნარი, დაიცვას ზომიერება“<sup>31</sup>, ან კიდევ - „საკუთრების უფლება არ არის კუნძულზე განმარტოებული რობიზონ კრუზოს საკუთრება და იგი შებოჭილია სოციალური ფუნქციით.“<sup>32</sup> საყურადღებოა, აგრეთვე, რ. კლუტმანის მოსაზრება ამ კუთხით საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. იგი წერს: „სადაც კერძო სამართლის სფეროში ეგოლენ ღრმად იჭრება სახელმწიფო, კერძო სამართლის მნიშვნელობა მცირდება.“<sup>33</sup> ეს ფრაზა რომ განვაზოგადოთ, დავასკვნით, რომ ნების თავისუფლების არსებობის გარეშე, კერძო სამართალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სპეციალურ სავარძელში მჯდარ სუბიექტად გვევლინება, რომელსაც წამოღდომის შანსი არ აქვს, საქართველოში კი ამ მხრივ სიტუაცია - ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ზოგადი სულისკ-

---

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე, 71.

<sup>30</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 20-21.

<sup>31</sup> იქვე, 19.

<sup>32</sup> იქვე, 20.

<sup>33</sup> ფუტყარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 70.

კეთების გათვალისწინებით, არცთუ ისე სახარბიელოა. ნების თავისუფლებასთან მიმართებით უკვე აშკარა პროგრესი იგრძნობა ერეკლე II-ის მიერ 1777 წელს გამოცემულ ერთ-ერთ საბუთში, რომლითაც მან გამჭირავებელს სთხოვა, როგორც შუამავალმა, რომ დამჭირავებელი ზამთარში სახლიდან არ გაეგდო<sup>34</sup>. ეს სიტყვები ეკუთვნის მეფეს, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მსგავსი მიდგომა ერეკლე II-გან იშვიათობა ნამდვილად არ ყოფილა. თუკი ისევ რომს მივუბრუნდებით და განვიხილავთ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებს ნების თავისუფალ გამოვლინებასთან მიმართებით, იუსტინიანეს ინსტიტუციებში მოყვანილი ცნება ნათლად გვაჩვენებს სურათს, რომელიც ამ კუთხით იყო რომში: „ვალდებულება, სამართლის ბორკილია, რომლის ძალით ჩვენ გვევალება რომ ჩვენი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, ვინმეს რაიმე შევეუსრულოთ“<sup>35</sup>. ამ ცნებაში გადატანითი მნიშვნელობით არცერთი სიტყვა არაა ნათქვამი, ვინაიდან „უძველეს პერიოდში განუვითარებელი აღებმცემობის პირობებში ვალდებულებანი მხოლოდ სასტიკად განსაზღვრულ და მცირერიცხოვან შემთხვევებში წარმოიშობოდა. ვალდებულების შედეგად პასუხისმგებლობა კი პიროვნული გახლდათ (მოვალის დაკაბალება და სხვა). მსგავსი მიდგომა მხოლოდ რესპუბლიკის პერიოდიდან იცვლება და წინა პლანზე მოვალის ქონებრივი პასუხისმგებლობა დგება“<sup>36</sup>. მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდი იყო განსხვავება ნების თავისუფლების მხრივ რომსა და საქართველოს შორის, თუმცა ეს განსხვავება მაშინვე უფერულდება, როდესაც დროის კონტექსტს შევხედავთ: ერთი მხრივ, გვაქვს ძველი წელთაღრიცხვის 510 წელს<sup>37</sup> დაარსებული რომის რესპუბლიკა, ხოლო, მეორე მხრივ, XVIII საუკუნის საქართველო, რომელმაც კიდევ ვერ დაძლია შიში თავისუფლებისა, განსაკუთრებით კერძო სამართლებრივი მიმართულებით.

სამშენებლო მიზნით მიწის ქირავნობა ბევრად უფრო მკაცრად წესრიგდებოდა ეკლესიასთან მიმართებით, ვინაიდან სახელმწიფოსთვის სამწუხაროდ, ეკლესიის ქონებრივი სიძლიერე მუდამ მნიშვნელოვანი იყო. ეკლე-

<sup>34</sup> იქვე, 66-67.

<sup>35</sup> რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ნ. სურგულაძის თარგმანი, ვ. მეტრეველის რედაქტორობით, თბილისი, 2002, ტიტული XIII.

<sup>36</sup> ნადარეიშვილი ვ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 91.

<sup>37</sup> მეტრეველი ვ., რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2012, 19.

სიასთან მიმართებით მიწის ქირავნობას სამშენებლოდ არეგულირებდა, ასევე, ბერძნული სამართალი, რომლის 227-ე მუხლი ამბობს: „უკეთუ ვინმე შეურიგნეს მონასტრის მამულსა ზედა მონასტრის ბერებს მონასტრის მამულზე სახლი ააშენოს ანუ ვენახი ან ხილი დარგოს, პირველ ქირაზე უნდა შერიგდნენ და წიგნი გამოართვან წელიწადში ამდენი ქირა მოგცეო. რადგან ასე შერიგდნენ მას უკან იმ ალაგზე, რაც უნდა ის ააშენოს“.<sup>38</sup> ეს მუხლი საინტერესოა იმ კუთხით, რომ გამოკვეთს ქირავნობის ხელშეკრულების დადების ფორმას და ნებისმიერი ნაგებობის აშენების უფლებას ანიჭებს მხარეს ქირავნობის ვადის განმავლობაში, მხოლოდ ისე, რომ მას არ აქვს მისი მოშლის უფლება ვადის გასვლის შემდეგ.<sup>39</sup> აგრეთვე, საინტერესოა იმავე ბერძნული სამართლის 228-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ეკლესიიდან ქირით აღებულ მიწაზე ვენახის გაშენების ხილის დარგვისა თუ სახლის აშენების შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება ქირა, რომლის სამი წლის განმავლობაში გადაუხდელობისთვის, ქონება ნაგებობითურთ, საზღაურის მიცემის გარეშე, მონასტერს უბრუნდება. ნორმის შემდეგი ნაწილი უფრო საინტერესოა: „თუ ის ყოველ წელიწადს არ დააკლოს იმ მამულის გამოსართმევად, ხელი აღარ აქვს არც მეფესა და არც ეკლესიის გამგეთა“<sup>40</sup>. თუ ამ ციტატას ერთიან კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ 3 წლის გასვლის შემდეგ დაქირავებული მიწა ნაგებობითურთ მოქირავნის საკუთრებაში გადადის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოქირავენ ამ შემთხვევაში ახორციელებს გაფართოებულ მფლობელობას მასზე.

*პროფესორი ი. ფუტყარაძე* აღნიშნავს: „ფაქტობრივი მასალებით დასტურდება ქონებრივი ქირავნობის ფართოდ გავრცელება ქართულ სინამდვილეში“<sup>41</sup>. *პროფესორი ბ. ზოიძე* კი ამბობს: „ძველი ქართული სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხშირად მიწის ნაკვეთის ქირავნობა ხდებო-

---

<sup>38</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1963, 206-207.

<sup>39</sup> ფუტყარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 75.

<sup>40</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1963, 206-207.

<sup>41</sup> ფუტყარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 60.



და ნაგებობის სამშენებლოდ.“<sup>42</sup> სასამართლო განაჩენების თვალსაზრისით, საკმაოდ იშვიათია ღოკუმენტი ნაგებობის სამშენებლოდ გაცემაზე, განსახილველად ყველაზე უფრო მეტად საინტერესოა ფეოდალურ საქართველოს (ქართლ-კახეთის) სასამართლოს 1776 წლის 18 იანვრის განაჩენი საეკლესიო მიწაზე, ნალბანდიანების მიერ ღუქების აშენების საკითხზე, რაც ზუსტად მიესადაგება თანამედროვე აღნაგობას. განაჩენში ცხადადაა მოცემული სასყიდლიანი აღნაგობის უფლება თითქმის ყველა კრიტერიუმით. ასევე, ნათლად ჩანს, რომ აღნაგობის ფარგლებში აშენებულ ნაგებობაზე გაფართოებულ მფლობელობას ახორციელებენ ამშენებლები - „ნალბანდიანების შენობა თავისია“<sup>43</sup>. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, ცალსახად უნდა ვიგულისხმოდ გაფართოებული მფლობელობა და არა საკუთრება კლასიკური გაგებით, ანუ ნაგებობა კვლავ მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილია. რეალურად ამ განაჩენით<sup>44</sup> ვხედავთ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში დახვეწილი ფორმითაა დადგენილი მიწის სამშენებლოდ ქირავნობის, ანუ აღნაგობის უფლების საკითხები, თუმცა აღნაგობით აშენებული ნაგებობა კვლავ მიწის, მესაკუთრის საკუთრებაშია, რაც პროგრესულად ვერ ჩაითვლება, თუ გავითვალისწინებთ რომაული აღნაგობის განვითარების ღონეს. ასევე, აღსანიშნავია, რომ „1792 წლის ერთ-ერთ საბუთში პირდაპირაა მინიშნებული, რომ ქირავნობა გამორიცხავდა ნაქირავები მიწის სამაშულოდ, ანუ მემკვიდრეობით გადაცემას“<sup>45</sup>. აქედან გამომდინარე, უფლების მემკვიდრეობით გადაცემა არ შეიძლებოდა (რომისაგან განსხვავებით). არსებობს მეორე გადაწყვეტილებაც, თუმცა მას მხოლოდ სადემონსტრაციოდ მოვიყვანთ, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი არაფერი იკვეთება, უბრალოდ მისი მოყვანა სასარგებლოდ მიგვაჩნია სასამართლო პრაქტიკის განვითარების საილუსტრაციოდ: შერმაზამნაშვილი და ზაზა მდივანი საკუთარ ძმასთან ერთად ჩიოდნენ, რომ მათი ღუქანი 30 თუმნად ავეტიქას (მისივე აშენებული) ჰქონდა მიქირავებული, მაგრამ ალა

<sup>42</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 216.

<sup>43</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1977, 215.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976, 69.

მაჰმად ხანის შემოსევისას იგი გადაწვეს. სასამართლომ დაადგინა, რომ ავეტიქას მიმართ ზიანის 40 თუმანის (აშენების თანხა) ანაზღაურების ვალდებულება ძმებს დაეკისრათ, ხოლო ავეტიქას კი - ღუქნის დაბრუნება<sup>46</sup>. რეალურად ერთადერთი, რასაც ეს განაჩენი ნათლად აჩვენებს, ისევე ქართული აღნაგობის განვითარების საოცრად დაბალი დონეა დროის კონტექსტის გათვალისწინებით, ვინაიდან მიწაზე აგებული ნაგებობა კვლავ მის არსებით შემადგენელ ნაწილად განიხილება, რაც მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას, გააქირაოს, გაასხვისოს და მემკვიდრეობით გადასცეს. მაშინ, როდესაც VI საუკუნეში რომში პრეტორებმა დაინახეს სოციალური პრაქტიკის ცვლილება და მიიღეს გადაწყვეტილება სუპერფიციის (Superficies) მფლობელის უფლებათა გაფართოებაზე. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი კულტურის დაბალი დონის მიზეზი არის სწორი სოციალური პრაქტიკის არქონა. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში შეჩერებული იყო საზოგადოებრივი განვითარება და ეს არის სწორედ ის, რაც კვებავს სამართალს. აღნაგობის უფლება, თავისი განსაკუთრებული სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებდა ერთადერთს - ძალიან მძლავრ, იდეებით დამუხტულ საზოგადოებას, რაც ჩვენმა ქვეყანამ ვერ მიიღო უბრალოდ იმიტომ, რომ არ სურდა, ყოფილიყო ასეთი.

საქართველოში, შიდა და გარე ფაქტორებმა, 500 წლით უკან დაგვხია, რაც ქართული აღნაგობის უფლების მოწესრიგებასაც აშკარად შეეცყო.

## დასკვნა

ჩვენი განხილვის თემა იყო აღნაგობის უფლება ძველ ქართულ სამართალში; საკითხის პრობლემატურობის სრულყოფილად წარმოსაჩენად გამოყენებულ იქნა შედარებითსამართლებრივი მეთოდი რომის სამართალთან მიმართებით (სუპერფიციისა და ემპითეკვისის დამუშავების გზით). კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ თავისი ორიგინალობით ყველაზე გამორჩეული აღნაგობის უფლება ძველ ქართულ სამართალშიც არსებობდა, თუმცა, ვინაიდან საკვლევ საკითხზე მასალები მეტად მცირეა, გამოყენებულ იქნა XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის

---

<sup>46</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1977, 162.

წიგნში შემავალი ბერძნული სამართალი. განხილული მასალის საფუძველზე ნათლად დავინახეთ, თუ რამდენად დიდია სხვაობა XVIII-XIX საუკუნის საქართველოს სამართლებრივ დონესა და ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებულ რომს შორის.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ ნების გამოვლენის თავისუფლების დუალისტური თავისებურებანი ძველ ქართულ სამართალში, ვინაიდან აღნაგობის უფლება სწორედ ქონებრივი ქირავნობის ჭრილში იყო განხილული ძველ საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სიტუაციას ერეკლე II აუმჯობესებს, როდესაც მხარეებს შორის უბრალო შუამავლის პოზიციას იკავებს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას.

საკანონმდებლო მასალაზე დაყრდნობით მიმოვიხილეთ, საკლესიო მიწის სამშენებლო ქირავნობასთან დაკავშირებით დამკვიდრებული განსაკუთრებული მიდგომა და განვსაზღვრეთ მისი თავისებურებანი. ნაშრომში მოყვანილ იქნა ქართული სასამართლო პრაქტიკაც, რათა უკეთ გვეჩვენა ის, თუ როგორ წესრიგდებოდა აღნაგობა ძველ საქართველოში და რომ არა სხვადასხვა ხელოვნურად შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, რომელთა ნაწილი ნაშრომში ზოგადად მიმოვიხილეთ, ქართული აღნაგობა ბევრად მაღალ დონეზე განვითარდებოდა.